საქართველოს
ბიბლიოთეკა

# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №72 (2445) შაბათი, 29 მარტი, 1997 წელი. ფასი 40 თეთრი. თბილისის გარეთ 45 თეთრი.

## თანამეგობრობა და კონფლიქტები შეუთავსებელია

### დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი ქვეყნების მეთაურების საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება გააფართოოს აფხაზეთში უშიშროების ზონა

**მოსკოვი, 28 მარტი (საქინფორმის სპეც. კორ. ნოდარ ბროლაძე, ედუარდ ედიბერიძე).** 28 მარტს რუსეთის დედაქალაქში გამართული დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი ქვეყნების უმაღლეს ხელმძღვანელთა შეხვედრა საქართველოსათვის ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტის მიღებით აღინიშნა. ეს არის გადაწყვეტილება აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში მშვიდობის მხარდამჭერ ოპერაციათა განვითარების შესახებ. და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი ქვეყნების მეთაურების საბჭოს განცხადება ამ რეგიონში კონფლიქტის მოწესრიგების პროცესის მიმდინარეობის თაობაზე.

თანამეგობრობის თორმეტივე წევრი ქვეყნის პრეზიდენტებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ ერთგულობენ საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, მიიღეს ქართული მხარის წინადადებები და შესაბამისი გადაწყვეტილებით შეასხეს ხორცი. მათ საჭიროდ ცნეს გაეფართოებინათ აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტისა და მხარეთა დაშორიშორების შესახებ 1994 წლის 14 მაისს მიღწეული შეთანხმებით გათვალისწინებული უშიშროების ზონა. ამასთან, კონფლიქტის მონაწილე მხარეთა თხოვნით, აფხაზეთის (საქართველო) კონფლიქტის ზონაში მშვიდობის მხარდამჭერი კოლექტიური ძალების ყოფნის ვადა გახანგრძლივებულია 1997 წლის 31 ივლისამდე, ანუ იმ დრომდე, სანამ ერთ-ერთი მხარე მოითხოვს სამშვიდობო ოპერაციის შეწყვეტას.

როგორც მიღებულ გადაწყვეტილებაშია აღნიშნული, კოლექტიური ძალების სარდლობას, მხარეებთან ურთიერთმოქმედებით, დაევალა ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს სამშვიდობო ქვეგანაყოფების დისლოკაციის ადგილის შეცვლის და უშიშროების გაფართოებულ ზონაში ლტოლვილებისა და იძულებით ადგილნაცვალ პირთა ორგანიზებულ დაბრუნებასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებების გეგმა. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ზონა, რომელსაც აკონტროლებდნენ სამშვიდობო ძალები 12 კილომეტრის ფარგლებში, ამიერიდან მოიცავს გალის რაიონის მთელ ტერიტორიას. ამრიგად, თუ დღემდე კონტროლს დაქვემდებარებული იყო სულ 57 დასახლებული პუნქტი, ახლა სამშვიდობო ძალებს ეკისრებათ უშიშროების უზრუნველყოფა ამ ტერიტორიაზე, რაც გულისხმობს საჭირო პირობებისა და წანამძღვრების შექმნას მშობლიურ კერებში ლტოლვილების ძალდაუტანებელი დაბრუნებისათვის, ისევე როგორც ამ ტერიტორიაზე მათი შემდგომი უსაფრთხო ცხოვრებისათვის.

ამ უმნიშვნელოვანესი მოთხოვნიდან გამომდინარე, მშვიდობის მხარდამჭერი კოლექტიური ძალების სარდლობას მითითება მიეცა განახორციელოს დაუყოვნებელი ღონისძიებანი კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ქვეგანაყოფების მართვის სისტემის სრულყოფის მიზნით. გაერთიანებული შტაბი განლაგდება ამ ქვეგანაყოფების დისლოკაციის ადგილის მახლობლად, აგრეთვე გაცემულია სპეციალური მითითება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს მათი შტაბების მუშაობის კოორდინაცია. ამავე დროს მოიწონეს რუსეთის წინადადება გაძლიერდეს კოლექტიური ძალების პირადი შემადგენლობა. ეს უნდა მოხდეს იმ გზით, რომ შეიცვალოს მთელი რიგი ამჟამად გამოუყენებელი ქვეგანაყოფები სამშვიდობო ფუნქციებისათვის სპეციალურად მომზადებული სხვა ძალებით. კონკრეტული დავალება მიეცა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრების საბჭოს. მისი დროული შესრულება, უთუოდ უნდა გახდეს მნიშვნელოვანი ეტაპი ლტოლვილთა დაბრუნებისათვის რეალური პირობების მომზადების პროცესში. საქმე ეხება თანამეგობრობის ქვეყნების სპეციალისტების მიერ აფხაზეთში დანაღმული ტერიტორიების მონიშვნისა და მათი განნაღმვის სამუშაოთა განხორციელებას. ამასთან დაკავშირებით, გადაწყდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს მიმართონ თხოვნით ფინანსური დახმარების გაწევის შესახებ. დოკუმენტის ერთ-ერთი პუნქტი ავალებს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს და თავდაცვის მინისტრების საბჭოს „დაინტერესებულ მხარეებთან ერთად განახორციელონ ერთობლივი მუშაობა სამშვიდობო ძალების მანდატში საჭირო დამატებათა შეტანის მიზნით, კონფლიქტის ზონაში ვითარების შეცვლის გათვალისწინებით, და სამუშაო წესით წარმოადგინონ ისინი თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს განსახილველად“.



მოსკოვის სამიტზე.



ტელეფოტო.

ალბათ, უპრიანია შევახსენოთ, რომ საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მოსკოვის სამიტის წინ ხაზი გაუსვა ქართული მხარის წინადადებათა მიღების დიდ ალბათობას. მას არაერთგზის აღუნიშნავს, რომ აფხაზეთში კონტროლის ზონის გაფართოება იქნება პირველი მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი, პირველი მნიშვნელოვანი ეტაპი კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგების პროცესის გზაზე.

ამრიგად, ქართული მხარის წინადადება მიღებულია... ამავე დროს, თანამეგობრობის სახელმწიფოთა ლიდერებმა დაგმეს აფხაზური მხარის პოზიცია, რომელიც ხელს უშლის აფხაზეთის კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგებისათვის, მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში ლტოლვილებისა და ადგილნაცვალ პირთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნებისათვის გამიზნულ მორიგებათა მიღწევას. აზრთა კონსტრუქციული და უაღრესად გულახდილი გაზიარების ატმოსფეროში მიღებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ მოლაპარაკების პროცესის გარკვეული გააქტიურების მიუხედავად, დღემდე არ არის დაძლეული უთანხმოება ვითარების მოწესრიგების ძირითადი პრობლემების თაობაზე, მათ შორის, აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრის შესახებ. სახელმწიფოთა მეთაურების საბჭომ განაცხადა, რომ თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოები შეეცდებიან რაც შეიძლება სწრაფად მიაღწიონ კონფლიქტის სრულმასშტაბიან პოლიტიკურ მოწესრიგებას, ლტოლვილებისა და ადგილნაცვალი პირების მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნებას. დოკუმენტში ყურადღება გამახვილებულია იმაზე, თუ რაოდენ საჭიროა მთლიანად განხორციელდეს მოსკოვის 1996 წლის 19 იანვრის სამიტის გადაწყვეტილებანი „აფხაზეთის (საქართველო) კონფლიქტის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ“ და მისი შესრულებისადმი კონტროლი, როგორც ამას ახალი დოკუმენტი მოითხოვს, არათუ გაგრძელდება, არამედ გაძლიერდება კიდეც.

აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებისა და ტაჯიკეთის რესპუბლიკაში სამშვიდობო ძალების ყოფნის ვადის გახანგრძლივების საკითხების განხილვას წინ უძღოდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის საინტეგრაციო განვითარების პრობლემებზე მსჯელობა. აზრთა გაზიარების შემდეგ პრეზიდენტებმა გამოთქვეს თავიანთი პოზიციები თანამეგობრობის ეკონომიკური საინტეგრაციო განვითარების კონცეფციის შესახებ, შემდეგ განიხილეს 1997 წლისათვის საინტეგრაციო განვითარების ძირითადი ღონისძიებანი.

სხდომის მონაწილეებმა კონცეფცია მთლიანად მოიწონეს, მაგრამ მთავრობათა მეთაურების საბჭოს დაავალეს განაგრძოს მასზე მუშაობა.

თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად რუსეთის პრეზიდენტი ბ. ელცინი ახალი ვადით აირჩიეს ამ საბჭოს თავმჯდომარედ.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების სამხედრო თანამშრომლობის საკითხთა საკოორდინაციო შტაბის უფროსად დანიშნულია გენერალი ვ. სამსონოვი.

* * *

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა ჩვენი თხოვნით ასე განმარტა უმაღლესი დონის შეხვედრის შედეგები:

— აფხაზეთში ვითარების მოწესრიგების შესახებ გადაწყვეტილება — როგორც სამშვიდობო ოპერაციის განვითარების, ისე მთლიანად, სამშვიდობო მოწესრიგების პროცესის გააქტიურების ღონისძიებათა თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია.

***— ხომ არ არის დაგვიანებული დასკვნის გამოტანა იმის თაობაზე, რომ თანამეგობრობა და კონფლიქტები შეუთავსებელია, მით უმეტეს, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შექმნის დღიდან უკვე 5 წელი გავიდა?***

— ამ დროის განმავლობაში მოხდა ბევრი რამ, მაგრამ, როგორც სამიტზე აღინიშნა, უპირველესი და უმთავრესია ის, რომ ჩამოყალიბდნენ დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფოები. თუკი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობამ რითიმე შეასრულა თავისი როლი, ეს, გარკვეულწილად, ეხება სახელმწიფოთა ჩამოყალიბებას.

მაგრამ ის გარემოება, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობამ ვერ შეძლო გადაეჭრა თანამეგობრობის წევრი მრავალი სახელმწიფოსათვის ერთ-ერთი ყველაზე საჭირბოროტო პრობლემა — აგრესიული სეპარატიზმის ნეიტრალიზება, ეს დიდი ხანია გახდა კრიტიკის საგანი, და სავსებით ლოგიკურია, რომ ასეთი სერიოზული ასპექტის უაღრესად დიდი მნიშვნელობა, ბოლოს და ბოლოს, აღიარეს დღეს.

იმედი გვაქვს, რომ აფხაზეთის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებანი ხელს შეუწყობს მშვიდობიანი მოწესრიგების პროცესს, ლტოლვილთა დაბრუნების უშიშროებისათვის თუნდაც მინიმალური პირობების შექმნას. თუ მიღებულ გადაწყვეტილებათა შედეგები განხორციელდება, შემიძლია განვაცხადო, რომ სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს სხდომა საკმაოდ ეფექტიანი და ნაყოფიერი იყო.

ამავე დროს, ილუზიები არ უნდა გვქონდეს. გადაწყვეტილებანი თავისთავად ვერ ამოქმედდება, საჭიროა ისინი განვახორციელოთ მრავალი უწყების ერთობლივი ძალისხმევით. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ მათ რეალური შედეგები გამოიღონ.

* * *

დოკუმენტების ხელმოწერის შემდეგ გამართულ შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს თავმჯდომარემ ბორის ელცინმა დიდი შეფასება მისცა გაწეულ სამუშაოს. „ალბათ, მთელი ამ წლების განმავლობაში მე ვერ გავიხსენებდი ასეთ გულახდილ საუბარს, ყველა ორატორი გულწრფელად მსჯელობდა იმაზე, თუ რა ბედი ელის მომავალში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას, როგორ ვიცხოვროთ ერთად — ჩემი აზრით, გამოვიტანეთ ძირითადი დასკვნა იმის თაობაზე, რომ თანამეგობრობის შექმნა დროით იყო ნაკარნახევი და იგი შეიქმნა კიდეც“.

ბორის ელცინმა დამსწრეთ აცნობა, რომ სხდომის დროს დიდი ყურადღება დაეთმო თანამეგობრობის საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებებსა და ხარვეზებს. კერძოდ, ეს ეხება მისი მექანიზმების მოქმედების ეფექტიანობას, მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას. როგორც ბორის ელცინს მიაჩნია, ამჟამინდელ სხდომაზე ინტეგრაციას მიეცა მძლავრი პოლიტიკური იმპულსი, ხოლო შეხვედრის პოლიტიკური შედეგი გახდა სახელმწიფოთა მეთაურების მიმართვის მიღება თანამეგობრობის ხალხებისა და მსოფლიო საზოგადოებრიობისადმი. მან განაცხადა, რომ რეგიონული კონფლიქტები — აფხაზეთში, დნესტრისპირეთში, მთიან ყარაბაღსა და ტაჯიკეთში უშლის ხელს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი ქვეყნების ეფექტიან ეკონომიკურ ინტეგრაციას და ისინი რაც შეიძლება სწრაფად უნდა აღმოიფხვრას. როგორც რუსეთის პრეზიდენტმა თქვა, „სახელმწიფოთა მეთაურები აღნიშნავდნენ, რომ თანამეგობრობა ვერ იარსებებს, თუ მასში იქნება კონფლიქტები“.

შემდეგ თანამეგობრობის წევრი ქვეყნების ყველა პრეზიდენტმა უპასუხა ჟურნალისტთა კითხვებს.

* * *

იმავე დღეს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ გამართა ხანმოკლე შეხვედრები თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოების პრეზიდენტებთან. კერძოდ, იგი შეხვდა უკრაინის, ყაზახეთის, უზბეკეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის, თურქმენეთის, ყირგიზეთის პრეზიდენტებს.

საღამოს საქართველოს მოსკოვის საელჩოში გაიმართა საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის პირველი სამუშაო შეხვედრა მოლდოვის რესპუბლიკის პრეზიდენტთან პეტრე ლუჩინსკისთან.

---

## პრეზიდენტის ფოსტა

### ჯორჯ ბუში: „მეამაყება, რომ თქვენი მეგობარი ვარ“

**ამ დღეებში საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ წერილი მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტის ჯორჯ ბუშისაგან.**

„გუშინ საღამოს მეტროპოლიტენ მუზეუმს ვეწვიე ნიუ-იორკ სიტიში. იქ გამოფენილ უძვირფასეს ხატებსა და სხვა ნივთებთან ერთად ფანტასტიკური ოქროს თასი ვნახე. გავიგე, რომ ეს მშვენიერი ნივთი მეტროპოლიტენის შესანიშნავ გამოფენაზე თქვენი პირადი დამსახურებით მოხვდა. როგორც ამ ღონისძიების სპონსორმა, მინდა გულწრფელი მადლობა გადაგიხადოთ სულგრძელობისათვის, რომელმაც ჩვენც მოგვცა შესაძლებლობა გვენახა ერთ-ერთი ნივთი თქვენი ქვეყნის საგანძურიდან“, ნათქვამია წერილში, რომელიც 12 მარტით არის დათარიღებული. ჯორჯ ბუში გამოთქვამს საქართველოს პრეზიდენტთან კვლავ შეხვედრის გულწრფელ სურვილს და სთხოვს მას ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოფნის დროს ესტუმროს ტეხასში ან მეინის რეზიდენციაში.

„მე ვამაყობ იმ თვისებებით, რომლებიც თქვენ გამოიჩინეთ, როგორც ლიდერმა. ასევე მეამაყება, რომ თქვენი მეგობარი ვარ“, — სწერს იგი ედუარდ შევარდნაძეს.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

## დეპეშა თვითმფრინავიდან

### მის აღმატებულებას საქართველოს პრეზიდენტს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

მეგობარი ქვეყნის ტერიტორიაზე გადაფრენისას, წერს ინდოეთის პრემიერ-მინისტრი, მოგესალმებით და ყოველივე საუკეთესოსა და აყვავებას ვუსურვებ საქართველოს ხალხს ინდოეთის მთავრობისა და ხალხის სახელით, აგრეთვე მივესალმებით ჩვენი ორი ქვეყნის მეგობრობასა და თანამშრომლობას. ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ პირადად თქვენს აღმატებულებას, აგრეთვე აყვავებას ვუსურვებ ქართველ ხალხს.

## ხაზინა

### სახელმწიფო ბიუჯეტს - სახელმწიფოებრივი მიდგომა

28 მარტისთვის შეიტანეს

| | |
|---|---|
| **თბილისი** | |
| **ნაძალადევი** | |
| თბილისის მეტრომშენის მატერიალურ-ტექნიკური მომსახურეობის სამმართველო | – 5 000 ლარი |
| **ვაკე** | |
| „ეარ ჯორჯიას“ სააგენტო | – 7 565 ლარი |
| **საბურთალო** | |
| სპეც. სამშენებლო-სარემონტო სამმართველო | – 5 824 ლარი |
| **კრწანისი** | |
| შპს „ინტერპოლი“ | – 18 517 ლარი |
| **გორი** | |
| შპს „ნაკადული“ | – 2000 ლარი |
| საბინაო საექსპლუატაციო სამმართველო | – 500 ლარი |
| **ხაშური** | |
| ზემო ქართლის ს/სამეურნეო საწარმო | – 700 ლარი |
| **ქარელი** | |
| ბრეთის გამგეობა | – 800 ლარი |
| **კასპი** | |
| ს/ს „კასპიგზა“ | – 5 000 ლარი |

## რუსეთი საქართველოს ერთიანობის პოზიციიდან გამოდის

რუს მესაზღვრეებს არა აქვთ უფლება იმყოფებოდნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე. ასეთი დასკვნა გამოიტანა ამ ოვითმარქვია რესპუბლიკის პარლამენტმა. კონფლიქტმა, რომელიც თებერვლის მიწურულს წარმოიშვა რუსეთის ფედერალურ სასაზღვრო სამსახურსა და აფხაზეთის ხელისუფალთ შორის, აშკარად გამოხატული პოლიტიკური ელფერი შეიძინა.

პარლამენტარებმა, რომ იტყვიან, ცეცხლზე ნავთი დაასხეს. მათ დასვეს კითხვა: რის საფუძველზე იმყოფებიან რუსი მესაზღვრეები აფხაზეთში? — და დაადგინეს, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელებს არ მოუწერიათ ხელი არავითარი შეთანხმებისათვის ფედერალურ სასაზღვრო სამსახურთან.

არადა, საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ რუსეთი საქართველოს ერთიანობის პოზიციიდან გამოდის და აფხაზეთი მის განუყოფელ ნაწილად მიაჩნია. შესაბამის შეთანხმებას ჯერ კიდევ 1994 წელს მოეწერა ხელი თბილისში. ახლა აფხაზებს დაუჯერებიათ, რომ ფედერალურმა სასაზღვრო სამსახურმა მათ დაუდოს ანალოგიური ხელშეკრულება. მაგრამ იგივე დეპუტატებს არ შეიძლება არ ესმოდეთ, რომ აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრამდე, ქართველ-აფხაზთა კონფლიქტის მთავარი საკითხის გადაწყვეტამდე ფედერალური სასაზღვრო სამსახური არც ერთ ოფიციალურ ქაღალდზე არ მოუწერს ხელს სოხუმის ხელისუფალთ.

**იგორ ჩერნოვი,**

(გაზ. „ტრუდი“, 26/III-97.)

---

## ინფორმაცია

### საქართველოს წინსვლა ჩვენს არაკეთილმოსურნეებს აშინებთ

„საქართველო ძალიან რთული წლების შემდეგ გადის იმ ეტაპზე, როდესაც უსაფრთხოება გარანტირებული იქნება როგორც შიგა, ასევე ძალიან სერიოზული საერთაშორისო ფაქტორებითაც, პრესკონფერენციის ძირითადი მიზანიც სწორედ ის არის, თქვენი ყურადღება მივაქციო იმ გარემოებას, რომ ამგვარი სახის განვითარებას ძალიან ბევრი არაკეთილმოსურნე განიცდის, როგორც საშიშროებას საკუთარი გრძელვადიანი ინტერესების მიმართ“, — განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ ჟურნალისტებისათვის გამართულ პრესკონფერენციაზე და შეხვედრის კონკრეტულ მიზეზად დაასახელა 26 მარტის „ნეზავისიმაია გაზეტაში“ გამოქვეყნებული პუბლიკაცია სახელწოდებით „ესენგე: ისტორიის დასაწყისი თუ დასასრული“, რომელსაც პარლამენტის თავმჯდომარემ მეზობელი რუსეთის საკმაოდ გავლენიანი ძალებისათვის სამუშაო დოკუმენტი უწოდა. აღინიშნა, რომ სტატიას ლაიტმოტივად გასდევს ძირითადი აზრი — თუ რუსეთს სურს შეინარჩუნოს ჰეგემონია ამიერკავკასიაში და ცენტრალური აზიის სახელმწიფოებში, მან არ უნდა დაუშვას ძალაუფლებისა და სახელმწიფოების შემდგომი კონსოლიდაცია იმ ხელისუფლების გარშემო, რომელიც არსებობს დღეს საქართველოში და აზერბაიჯანში. „ძალიან ბევრი პროცესი, რომელიც იწყება საქართველოში, ძალიან წააგავს გამოქვეყნებული გეგმის ცალკეულ ნაწილებს“, — აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ და ყურადღება გაამახვილა საქართველოს სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანეს მომენტებზე.

### თელავთან ნავთობს ეძიებენ

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ მიიღო ბრიტანული კომპანია „რამკო ოილ ენდ გეზ“-ის პრეზიდენტი სტივ რემპი და ამ კომპანიის სხვა წარმომადგენლები.

„რამკო“ ნავთობის ცნობილი კომპანიაა და მან დასავლური კომპანიებიდან პირველმა განახორციელა სერიოზული კაპიტალდაბანდებები პოსტსაბჭოურ სივრცეში. ბატონ სტივ რემპის თქმით, ისინი საქართველოში კონკრეტული პროექტების განხორციელებას აპირებენ. ერთ-ერთი მათგანია თელავის მახლობლად ნავთობმომპოვებელი სამუშაოების დაწყება.

### ლტოლვილი ბავშვები ესპანეთში დაისვენებენ

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზურაბ ერქვანია შეხვდნენ ესპანეთის დელეგაციას. ვიზიტის მიზანია ესპანეთის ასოციაცია „დახმარება ბავშვებს“ და ჰუმანიტარულ ინიციატივათა და ბიზნესის სამეგრელოს რეგიონული ცენტრის მიერ საზაფხულო არდადეგების პერიოდში სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვების, მათ შორის, უმთავრესად, აფხაზეთიდან დევნილი ბავშვების, ესპანეთში სამკურნალოდ, ფიზიკური გაჯანსაღებისა და დასვენების მიზნით გამგზავრების თაობაზე დადებული ხელშეკრულების ორგანიზაციული საკითხების მოგვარება.

### კონფლიქტის ზონებში

ცხინვალში, სამშვიდობო ჯარების 26 საგუშაგოდან მხოლოდ 15 დარჩა — ეს გადაწყვეტილება ცხინვალში გამართულ ტრადიციულ შეხვედრაზე ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების შერეულმა კომისიამ მიიღო. აღინიშნა, რომ ერთობლივი მუშაობა კვლავ გაგრძელდება და საგუშაგოებზე კონტროლს ქართულ-ოსური პოლიციის შერეული ჯგუფები განახორციელებენ.

ერთ კვირაზე მეტია ყოფილ ზნაურის რაიონს ქართული მხარე აწვდის ელექტროენერგიას. ქალაქ ცხინვალსაც შეძლებისდაგვარად გრაფიკის დაცვით მიეწოდება ელექტროენერგია.

არ დავუშვებთ რუსეთის სამშვიდობო ძალების მანდატის ცალმხრივად შეცვლას და საკონტროლო პუნქტის მდინარე ღალიძგამდე გადატანას — ითქვა ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკის სახალხო კრების, პარლამენტის და საზოგადოებრიობის საგანგებო სხდომაზე. მიმართვის ტექსტში, რომელიც მათ დსთ-ს ქვეყნების მეთაურთა შეკრებაზე გააგზავნეს, ნათქვამია: ის, რაც შევარდნაძემ ომით ვერ მოახერხა, პოლიტიკური გზით სურს მიაღწიოს.

### „გრუზია“ და „არმენია“

საქართველოში განლაგებული რფ-ის სამხედრო შტაბიდან გვაცნობეს, რომ, ამჟამად, რფ-ის პრეზიდენტის ბრძანებით შექმნილია ორი სამხედრო დაჯგუფება: „არმენია“ (რომელიც სომხეთშია განლაგებული) და „გრუზია“ (საქართველოში). „გრუზიაც“ და „არმენიაც“ ორივე ჩრდილოკავკასიის სამხედრო ოლქს დაექვემდებარება, რომელიც სტავროპოლშია განლაგებული, ხოლო ამიერკავკასიის სამხედრო ოლქი ცალკე აღარ იარსებებს. „გრუზია“-საც და „არმენია“-საც ცალკე სარდლობები ეყოლებათ.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: პარლამენტის პრესსამსახურმა - საქინფორმმა, „იბერიამ“ „მოამბე - ექსპრესმა“.

---

## შევეწიოთ!

### მშენებლობა გრძელდება



წმიდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობაზე მუშაობა გრძელდება. ქველმოქმედთა წყალობით დღითი დღე მატულობს შეწირულობანი.

ახლახანს წმიდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობის ფონდის მესვეურებმა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში დადგმული, შემოწირულობებისათვის განკუთვნილი ყულაბები გახსნეს. ამ გზით შეგროვილმა თანხამ ერთი თვის განმავლობაში მთლიანად 1390 ლარი და 203 დოლარი შეადგინა. ეს თანხა თავისთავად ცოტა არ არის და, ამასთან, საზოგადოებრიობის მხარდაჭერასაც გამოხატავს, მაგრამ, ამავე დროს, გულისტკივილით გვინდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ რამდენიმე ადგილას ყულაბა.. დაზიანებული და ცარიელი დაგვხვდა.

### ტაძრის მშენებლობას შეეწივნენ:

| | |
|---|---|
| შპს ფირმა „ქაჩი“ | – 1000 ლარი; |
| „საქართველოს ბანკის“ მთაწმინდის ფილიალი | – 515 ლარი; |
| „საქართველოს ბანკის“ ყვარლის ფილიალი | – 114 ლარი; |
| ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნულ ურთიერთობათა კომიტეტი | – 15 ლარი |
| მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიულ საზოგადოებათა კვლევითი ინსტიტუტი | – 100 ლარი. |

---

## უკანასკნელ საათს

რომი. სულ ცოტა 17 კაცია მოკლული სამხრეთ ალბანეთის ქალაქ ფიერის გარეუბნებში ორი შეიარაღებული ბანდის შეტაკებისას. თვითმხილველთა ცნობით, ბანდიტებს შორის ატეხილი სროლის შედეგად უამრავი ადამიანი დაიჭრა.

მინსკი. რუსეთის ენ-ტე-ვე ტელეკომპანიის კორესპონდენტმა ალექსანდრე სტუპნიკოვმა 1 აპრილამდე უნდა დატოვოს ბელორუსიის რესპუბლიკა, ნათქვამია საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში. დოკუმენტში, კერძოდ, აღნიშნულია, რომ „ისრაელის მოქალაქის ალექსანდრე სტუპნიკოვის საქმიანობა მისი, როგორც რუსეთის HTB ტელეკომპანიის წარმომადგენლობის ხელმძღვანელად ძირს უთხრის ბელორუსიასა და რუსეთს შორის დამყარებული ნდობის, კეთილმეზობლობისა და მეგობრობის ატმოსფეროს“.

ვაშინგტონი. ნატოს კარი ღიაა ესტონეთისათვის, განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა მადლენ ოლბრაიტმა ამ ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრთან ტომას ჰენდრიკ ილვესთან მოლაპარაკების დაწყებამდე. ოლბრაიტის თქმით, სამხედრო-პოლიტიკური კავშირი „გაიხსნება ევროპის ყველა დემოკრატიული სახელმწიფოსათვის, რომლებსაც შეუძლიათ წვლილი შეიტანონ მისი მიზნების მიღწევაში“.

ხაბაროვსკი. იპოვეს ორი დღის წინათ კამჩატკაზე დაკარგული მი-8 შვეულმფრენი. შვეულმფრენმა ავარია განიცადა დაბა უკას რაიონში. კატასტროფის ადგილას ჩასულმა მაშველებმა შვეულმფრენში მყოფი ხუთი კაციდან სამი ცოცხალი იპოვეს: ორი ეკიპაჟის წევრი და ერთი მგზავრი. ორი კაცი დაიღუპა.

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ ბელორუსიის მთავრობას აცნობა, რომ ახლა „არც ისე შესაფერისი დროა“ ვაშინგტონში ბელორუსიის ახალი ელჩის ჩამოსვლისთვის.

სტოკჰოლმი. „ალბანეთის კრიზისი მოითხოვს ჰუმანიტარული დახმარების გაწევას, კერძოდ, მედიკამენტებისა და სურსათის მიწოდების ფორმით. შვეცია, რა თქმა უნდა, მონაწილეობას მიიღებს მოქმედებაში, რათა მხარი დაუჭიროს ალბანელ ხალხს იმ საქმეში, რომელიც ეხება მისი უპირველესი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას და იმ მიზნით, რომ მიაღწიოს პრობლემის გრძელვადიან გადაჭრას“, — ნათქვამია შვეციის საგარეო საქმეთა მინისტრის ლენა ელმ-ვალენის განცხადებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

1997 წლის 23 მარტი ქ.თბილისი

### საქართველოს ეკონომიკის ფუნქციონირების და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 1997 წლის ორი თვის ძირითადი შედეგებისა და უახლოესი ამოცანების შესახებ

საქართველოს ეკონომიკის 1997 წლის იანვარ-თებერვალში ფუნქციონირების ანალიზი ცხადჰყოფს, რომ ქვეყანაში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით რამდენადმე გაიზარდა ეკონომიკური აქტიურობა. ეკონომიკის ცალკეულ დარგებსა და სფეროებში, არახელსაყრელი კლიმატური პირობების მიუხედავად, ჩამოყალიბდა წარმოების მოცულობათა მატების დადებითი ტენდენციები, მაგრამ არსებული რესურსებისა და პოტენციური შესაძლებლობების გამოყენების დონე ჯერ კიდევ ძალზე დაბალია.

ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ მიმდინარე წლის ორ თვეში ბიუჯეტის შემოსავლის მობილიზება არასაკმარისად მიმდინარეობდა, რაც უარყოფითად მოქმედებს საბიუჯეტო ასიგნებათა დონეზე. ეს კი პირდაპირ უკავშირდება მოსახლეობის, განსაკუთრებით სოციალურად ყველაზე უფრო დაუცველი ფენების – ინვალიდთა, პენსიონერთა, ლტოლვილთა და სხვა მცირეშემოსავლიან კატეგორიათა მდგომარეობას. ვითარებას ის გარემოებაც ამძიმებს, რომ მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში (ტყიბული, ჭიათურა, ჩოხატაური, საგარეჯო, ხარაგაული, დედოფლისწყარო) თვეობით აგვიანებენ პენსიების გაცემას.

„1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონისა და მისი გარდამავალი დებულებების უთუო შესრულების, სოციალურ სფეროში რადიკალური გარდატეხის მიღწევის, მოსახლეობის დაუცველი ფენების მდგომარეობის კარდინალური გაუმჯობესების, ჩამოყალიბებული დადებითი ტენდენციების გაღრმავებისა და ცალკეულ სფეროებში არსებული ჩამორჩენის დაძლევის მიზნით:

1. საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ (ა. სილაგაძე) ეკონომიკისა და სხვა დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად:

ა) შეარჩიოს მსხვილ და საშუალო საწარმოთა ჯგუფი, რომელთა პრივატიზება მოხდება დაჩქარებული წესით მიმდინარე წლის ბოლომდე, ამასთან, გადაუდებლად დაამუშაონ აღნიშნულ საწარმოთა ეფექტიანი რესტრუქტურირებისა და პრივატიზების ბერკეტები, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ პროცესის დაჩქარებას;

ბ) შეადგინოს იმ სააქციო საზოგადოებების ნუსხა, რომელთა გაუყიდავ აქციათა საკონტროლო პაკეტი სახელმწიფოს ხელშია და მოამზადონ ისინი აუქციონში გატანის ახალ პროგრამაში ჩასართავად;

გ) აუქციონების მოწყობის პრაქტიკიდან გამომდინარე, ღრმად შეისწავლოს და გააანალიზოს აქციათა რეალიზების შემაფერხებელი ფაქტორები, რის საფუძველზეც ეკონომიკისა და დარგობრივ სამინისტროებთან ერთად წარმოადგინოს წინადადებანი პრივატიზების პროცესის დაჩქარების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ.

2. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო დეპარტამენტმა (თ.ბერიძე) მხარეებში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულებთან და მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან ერთად უზრუნველყოს ქვეყნის ეკონომიკის ფუნქციონირების შესახებ დადგენილ ვადებში ოპერატიული ინფორმაციის მომზადება, რომელიც საფუძვლად დაედება ანგარიშგებითი მასალების წარმოდგენას ეკონომიკისა და სხვა სამინისტროებისა და უწყებების მიერ.

3. სახელმწიფო კომპანია „საქენერგომ“ (ვ. მეტრეველი):

ა) ქ.თბილისის მერიასთან, რეგიონული მმართველობის სხვა ორგანოებთან ერთად შეიმუშაოს ელექტროენერგიის განაწილებისა და გადაცემის სექტორში დანაკარგების შემცირებისა და აღრიცხვიანობის გასაუმჯობესებლად ენერგოკომპანიების ეტაპობრივი ფინანსური გაჯანსაღების კომპლექსური ხანგრძლივი პროგრამები თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვისა და ამ დარგში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის გათვალისწინებით;

ბ) მუნიციპალურ ენერგოკომპანიებთან ერთად ორ კვირაში დაამუშაოს ელექტროენერგიის კომერციული და ტექნიკური დანაკარგების შემცირების ღონისძიებათა 1997 წლის გეგმა და მის შესრულებას დაუწესოს მკაცრი კონტროლი;

გ) ქალაქებისა და რაიონების მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან ერთად ათ დღეში გააანალიზოს მუნიციპალურ ენერგოკომპანიებში კერძო დისტრიბუტორების ინსტიტუტის დანერგვის პირველი შედეგები და ელექტროენერგეტიკულ სექტორში მიმდინარე რეფორმების შესაბამისად განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი მათი საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

4. საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრომ (მ. ჩხენკელი), ეკონომიკის სამინისტრომ (ვ. პაპავა), ვაჭრობისა და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტრომ (კ. ზალდასტანიშვილი) სხვა დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით ამა წლის 1 ივნისამდე შეიმუშაონ კონკრეტული წინადადებანი კაპიტალური მშენებლობისა და სამშენ მასალათა მრეწველობაში უცხოური ინვესტიციებისა და კერძო კაპიტალის მოზიდვის შესახებ.

5. საქართველოს ტრანსპორტის სამინისტრომ (მ. ადეიშვილი) ერთ თვეში შეიმუშაოს და წარმოადგინოს წინადადება ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანში შეუფერხებელი სატრანზიტო მოძრაობის უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

6. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ (ვ. ნადიბაიძე), საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ (კ. თარგამაძე), სახელმწიფო უშიშროების სამინისტრომ (შ. კვირაია) და სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტმა (ვ. ჩხეიძე) დროულად დაამთავრონ საქართველოს შესაბამის საწარმოებთან, ორგანიზაციებთან და უწყებებთან ხელშეკრულების გაფორმება მათთვის 1997 წელს საჭირო პროდუქციაზე (სამოსელი, სანივთე საშუალებები, კვების პროდუქტები და სხვ.), ამასთანავე, უმოკლეს ვადაში უზრუნველყონ აღნიშნული ორგანიზაციებისადმი 1996 წლის არსებული დავალიანებების დაფარვა.

7. მხარეებში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულებმა, მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა ერთ თვეში უზრუნველყონ შესაბამისი მხარის, რაიონის, ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პასპორტის წარდგენა საქართველოს ეკონომიკის სამინისტროში.

8. საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტრომ (თ.გაზდელიანი):

ა) საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან ერთად ერთ თვეში მოამზადოს წინადადებანი არსებული შესაძლებლობების მაქსიმალურად გათვალისწინების პირობებში საბიუჯეტო სფეროს მუშაკთა ხელფასებისა და პენსიების ეტაპობრივი გაზრდის შესახებ;

ბ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან ერთად ორ თვეში შეიმუშაოს სოციალურად დაუცველი ფენების (პენსიონერები, ინვალიდები, იძულებით ადგილნაცვალი პირები, სტუდენტები და სხვ.) სოციალური დაცვის კომპლექსური პროგრამა მათი პენსიებისა და შემწეობების, სხვა სახის დახმარებების ოფიციალურ საარსებო მინიმუმთან მიახლოების მიზნით;

გ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან, კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროსთან ერთად ერთ თვეში შეისწავლოს და წარმოადგინოს ინფორმაცია პენსიებისა და შემწეობების გაცემის საქმეში არსებული მდგომარეობისა და სოციალური ბიუჯეტის შესრულების მიმართულებით დაფიქსირებული ჩამორჩენისა და ნაკლოვანებათა გამომწვევ მიზეზთა შესახებ;

დ) საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან, ეკონომიკის სამინისტროსთან, სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო დეპარტამენტთან, მხარეებში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულებთან ერთად ორ თვეში შეისწავლოს და წარმოადგინოს ინფორმაცია ქვეყანაში დასაქმების მდგომარეობის შესახებ.

9. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ (დ.იაკობიძე):

ა) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სახელმწიფო ქონების მონაწილეობით შექმნილ სააქციო საზოგადოებათა მოგების განაწილებისა და სახელმწიფოს კუთვნილი დივიდენდების სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზაციის საკითხებს მსხვილ გადამხდელ საწარმოთა გათვალისწინებით;

ბ) შესაბამის საბანკო დაწესებულებებთან ერთად გააძლიეროს მუშაობა იმ მიმართულებით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის ხაზით ამოღებული გადასახადების კუთვნილი წილების დაუყოვნებლივ ჩარიცხვა შესაბამისი ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტებში;

გ) ქალაქებისა და რაიონების მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელებთან ერთად არ დაუშვან მოქმედი კანონმდებლობით დაწესებული ან სხვა ნორმატიული აქტებით შემოღებული გადასახადების, გადასახდელებისა და მოსაკრებლების მოქცევა არასაბიუჯეტო ფონდებში. ასეთი შემოსავლებით შექმნილი ფონდების არსებობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ დახურონ მათი ანგარიშები და რიცხული ნაშთები ჩარიცხონ შესაბამისი ტერიტორიული ბიუჯეტის შემოსავლებში;

დ) დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან, აგრეთვე, ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან ერთად შეისწავლოს მოსახლეობასთან ნაღდი ანგარიშსწორებისას საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების მდგომარეობა და ამა წლის პირველ ივნისამდე წარმოადგინოს ღონისძიებათა პროექტი მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების შესახებ;

ე) საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციისა და სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტის მეშვეობით საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის საგანგებო საფინანსო პროგრამით გათვალისწინებული დამატებით შემოსავლების მობილიზაციის პროგნოზები მიაწოდოს ქალაქების, რაიონებისა და მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციებს, აგრეთვე ტერიტორიულ საბაჟო ორგანოებს მიმდინარე წლის მეორე კვარტალიდან;

ვ) საქართველოს ეროვნულ ბანკთან, სახაზინო დეპარტამენტთან და სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციასთან ერთად შეისწავლოს მოქმედი კანონმდებლობით სახელმწიფო შემოსავლის ბიუჯეტებს შორის განაწილებისა და შემოსავლის ბიუჯეტებში ჩარიცხვის მოქმედი მექანიზმის ფუნქციონირების საკითხი და უმოკლეს დროში მიიღოს ზომები მისი სრულყოფისათვის. 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების პირველი კვარტალის შედეგების განხილვისას წარმოადგინოს ინფორმაცია ამ მექანიზმის სრულყოფისათვის განხორციელებული ღონისძიებებისა და მიღებული შედეგების შესახებ;

ზ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან ერთად განიხილოს საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტის კუთვნილი საგადასახადო შემოსავლების ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტში დატოვების ფაქტები და პირველი კვარტალის ბოლომდე მდგომარეობის გამოუსწორებლობის შემთხვევაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიიღოს ზომები მათი აღმოფხვრისათვის;

თ) საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციასთან, სამეგრელო-ზემო სვანეთის, გურიისა და სამცხე-ჯავახეთის მხარეებში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულებთან ერთად საქალაქო და რაიონული მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელების მონაწილეობით უმოკლეს დროში განიხილოს დასახელებული მხარეების ტერიტორიებზე სახელმწიფო შემოსავლების მობილიზაციაში შექმნილი ვითარება და დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი მიმდინარე წლის ორ თვეში არსებული ჩამორჩენის დაძლევისათვის;

ი) საქართველოს საბაჟო დეპარტამენტთან ერთად შეიმუშაოს და ერთ თვეში საქართველოს პრეზიდენტთან არსებულ საკონსულტაციო ეკონომიკურ საბჭოს განსახილველად წარმოუდგინოს წინადადებანი სატრანსპორტო საშუალებათა საქართველოს საზღვარზე გადაადგილების საბაჟო დაბეგვრის მექანიზმის სრულყოფის შესახებ;

კ) მხარეებში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულებთან ერთად უზრუნველყოს მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის მუშაობის მექანიზმის და მასზე საწარმოებისა და ორგანიზაციების მიმაგრების კრიტერიუმების დახვეწა;

ლ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან ერთად ერთ თვეში შეიმუშაოს და წარმოადგინოს კანონპროექტი ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შესახებ;

მ) ერთ თვეში დაასრულოს ქ.თბილისში მოქმედი საგადასახადო ინსპექციის რეორგანიზაცია.

10. საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ (თ.ნინიძე) ეკონომიკის სამინისტროსა და ფინანსთა სამინისტროსთან ერთად მოამზადოს ნორმატიული აქტის პროექტი უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის პროცესის მოსაწესრიგებლად უძრავი ქონების ღირებულების არაადეკვადური შეფასების თავიდან აცილების მიზნით.

ამასთანავე, იუსტიციის სამინისტრომ ერთ თვეში წარმოადგინოს კანონპროექტი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, რომლითაც კოდექსის მუხლებში ყოფილი საბჭოთა მანეთებით დადგენილი საჯარიმო სანქციები შეიცვლება ეროვნული ვალუტით – ლარით.

11. მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტმა (ზ. გეგეჭკორი) სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროსთან, ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროსთან, იუსტიციის სამინისტროსთან და ქ. თბილისის მერიასთან ერთად დააჩქაროს „მიწისა და მიწის გადასახადის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მომზადება.

12. საქართველოს სამინისტროებმა და უწყებებმა „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის სრულყოფილად ამოქმედებისათვის ეკონომიკის სამინისტროსთან და მასთან არსებულ ანტიმონოპოლიურ სამსახურთან შეთანხმებით მიმდინარე წლის ბოლომდე შეიმუშაონ შესაბამის სფეროებში (ვაჭრობა, მოსახლეობის ფასიანი მომსახურება, ტრანსპორტი და ა.შ.) საქმიანობის მარეგლამენტირებელი ნორმატიული აქტები.

13. ეთხოვოს საქართველოს კონტროლის პალატას მოაწყოს თემატური შემოწმებები გადასახადებისა და მოსაკრებლების არასაბიუჯეტო ფონდებში ჩარიცხვის საკითხის შესასწავლად. არასაბიუჯეტო ფონდებში სახელმწიფო შემოსავლების მოქცევის შემთხვევაში განახორციელოს საჭირო ზომები ამ ფონდების ანგარიშზე რიცხული თანხების შესაბამისი ბიუჯეტის ანგარიშზე ჩარიცხვისათვის.

14. საბიუჯეტო სფეროს ორგანიზაციებში მუშაკთა შემცირების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 28 იანვრის № 71 ბრძანებულებით გათვალისწინებული დავალების შესასრულებლად სამინისტროებმა, უწყებებმა, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა მიმდინარე წლის 15 აპრილამდე წარმოადგინონ წინადადებანი საქართველოს ფინანსთა სამინისტროში შესაბამისი უწყების სისტემაში საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფ მუშაკთა საშტატო რიცხოვნობის შემცირების შესახებ.

მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ შემცირების დავალება უნდა განხორციელდეს მიმდინარე წლის პირველ ივლისამდე და შემცირებას უნდა დაექვემდებაროს 1997 წლის პირველი იანვრისათვის უწყების სისტემაში არსებულ მუშაკთა საშტატო რიცხოვნობის სულ ცოტა 10 პროცენტი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ შეაჯეროს მიღებული წინადადებანი და შესაბამისი ინფორმაცია განხილვისა და გადაწყვეტილების მიღებისათვის წარუდგინოს ზემოხსენებული ბრძანებულებით შექმნილ სამთავრობო კომისიას არა უგვიანეს 15 მაისისა.

15. ეთხოვოს საქართველოს ეროვნულ ბანკს (ნ. ჯავახიშვილი):

ა) საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან ერთად ერთ თვეში წარმოადგინოს წინადადებანი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის („საბანკო საიდუმლოება“) მოქმედ საგადასახადო კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის თაობაზე;

ბ) დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად გადასინჯოს ყველა ნორმატიული აქტი, რომელიც სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს საკრედიტო დაწესებულებების გარეთ მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფულის საბანკო არხებში მოქცევას.

16. სამინისტროებმა და უწყებებმა უზრუნველყონ „საქართველოს ეკონომიკის ფუნქციონირების და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 1997 წლის ორი თვის ძირითადი შედეგებისა და უახლოესი ამოცანების შესახებ“ საკითხის საქართველოს მთავრობის 1997 წლის 12 მარტის გაფართოებულ სხდომაზე განხილვისას დასმულ პრობლემათა გადაჭრის დავალებათა შესრულება.

**ე. შევარდნაძე**

---

როგორ შემოგვიბრუნდება ნათქვამი სიტყვა

## ფრთხილად, სენსაციაა!

1991 წლის დეკემბერი. ცხინვალის № 5 სკოლაში სახელდახელო სასაფლაოა გათხრილი. ქალაქის სასაფლაოს ორივე მხრიდან ტყვიებით ცხრილავდნენ და მმათამკვლელ ომში გარდაცვლილთა და დაღუპულთა დაკრძალვა საამისოდ სრულიად შეუფერებელ ადგილზე, მხოლოდ აქ მოხერხდა.

ჟურნალისტების ჯგუფი ულიმღამო საფლავებს შორის დადის. ვაფიქსირებთ ქართულ, რუსულ, ებრაულ, ოსურ გვარებს. საქართველოს მცხოვრებთ სიკვდილმა უსიტყვოდ ისე მოუყარა აქ თავი, მათი ეროვნებით სრულებით რომ არ დაინტერესებულა.

FRANCE-PRESS-ზე მომუშავე ერთ-ერთი ჟურნალისტი, ცოტა არ იყოს ამაღლებულ განწყობაზეა და აზარტით უხამს ანეკდოტს ჰყვება. თავს ველარ ვიკავებ: – გეყო ლაზღანდარობა, სასაკლაოზე ხარ. პასუხად ვღებულობ: – საზღვარგარეთის მასობრივ საინფორმაციო საშუალებებზე მომუშავე ჟურნალისტებს უნდა გვაწყობდეს ომი! რაც მეტ სისხლს დაღვრიან და დიდხანს გაგრძელდება აქ დესტაბილიზაცია, მით მეტ ფულს ვიშოვით ჩვენ. ვიღას დააინტერესებს ჩვენი „ბანანის“ რესპუბლიკა იქ, დასავლეთში, თუ აქ არაფერი მოხდა?! მაშინვე მიივიწყებენ საქართველოს, ისევე, როგორც აღარ ახსოვთ ჰონდურასი და სურინამი.

უსიამოვნო, მძიმე დუმილი ჩამოწვა. რატომღაც, ველოდი აღშფოთებას – ემოციებისა და პროტესტის შტურმს. შევცდი: ცხინვალის სამახსოვრო მივლინების მონაწილეთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ცინიკოს პრაგმატიკოსს.

საზღვარგარეთულ გამოცემებზე მომუშავე ყველა ჩემი კოლეგა უხინდისოდ მივიჩნიოთ? რა თქმა უნდა, არა, მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგი მათგანი თავის პროფესიონალურ პრაქტიკაში დემონსტრირებას უკეთებს მარქსის ცნობილ გამონათქვამს: „ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას“.

ჩვენს რესპუბლიკაში შრომის ნორმალური ანაზღაურება შეზღუდულია, ყველას კარგად მოეხსენება. პირადად მე სახელმწიფო გაზეთის რედაქციაში მუშაობისათვის მეტროს სამი ჟეტონის ღირებულების ექვივალენტურ თანხას ვიღებ და აი, დაიწყო კიდეც ბევრმა თბილისელმა ჟურნალისტმა საზღვარგარეთული გაზეთების, სააგენტოების, რადიოსა და ტელეარხებისათვის სხვადასხვა ინფორმაციების გადაცემა. ამაში ბრალს ვერც ვდებ, ვერ დაადანაშაულებ, მაგრამ ვინც იხდის ფულს, მუსიკასაც ის უკვეთავს. რუსეთში არსებობს თანამედროვე მშობლიური მთავრობის „დაკრულებზე მოცეკვავე“ ბეჭდვითი ორგანოები, თუნდაც „Правда“ და „Советская Россия“, რომლებიც საქართველოსა და მისი „ველიკაია დერჟავას“ დამანგრეველი ლიდერის, შევარდნაძის მიმართ, რბილად რომ ვთქვათ, ბიოლოგიურ სიძულვილს განიცდიან. თავიანთთვის შესაფერისი კადრების შერჩევისას ზემოხსენებული ნაციონალურ-პატრიოტული გამოცემები პოტენციურ საკუთარ კორესპონდენტებს უყენებდნენ „უწყინარ“ პირობებს – ადგილსამყოფელიდან მიეწოდებინათ ცილისმწამებლური, შავფერი, რაც შეიძლება ნეგატიური ინფორმაციები (ეს მხოლოდ ყურმოკვრით როდი ვიცი).

მეტად პოპულარული გაზეთი „Труд“-ი გამოირჩევა ობიექტურობიდან ძალზე შორს მდგომი ხედვით აფხაზეთის საკითხების გაშუქებისას, აფხაზეთთან დაკავშირებულ საკითხებსა და მეტად სპეციფიკურ საკითხებს „Труд“-ში პრიორიტეტულად მხოლოდ სოჭელი (!) კორესპონდენტი აშუქებდა, ხოლო საქართველოს მასშტაბით საკუთარი კორესპონდენტი უწყინარი სპორტისა და კულტურის სფეროს მიმოხილვის ანაბარა დარჩა. აქედან გამომდინარე, ამ უკანასკნელმა გაწყვიტა კონტაქტი ტენდენციურ რედაქტორთან.

ზოგი მოსკოვური გაზეთი, შეიძლება ითქვას, დიდ წარმატებებს აღწევს სიბინძურისა და ცილისმწამებლობის დემონსტრირებაში. ფაქტებს რომ ეყრდნობოდეს, კიდევ არაფერი. ფაქტები თუ არა აქვს, ფანტაზია ჰყოფნის – მოიგონებს! მსგავსი პუბლიკაციების შედეგები კი ცოტა ვინმეს თუ აღელვებს.

რამდენიმე ბოლოდროინდელ ცნობილ მაგალითს მოგახსენებთ: „Комсомольская правда“-მ და „Известия“-მ გამოაქვეყნეს „ასოშიეიტედ პრესის“ პირწმინდად პროვოკაციული განცხადება, თბილისის ერთ-ერთი რუსული სკოლის მასწავლებლის, ვინმე სეტაშკოს თვითმკვლელობის შესახებ, რომელიც ქალაქში რუსული სკოლების ვითომდა დახურვას მოჰყვა. ხაზგასმულია, რომ ამ გაზეთების რედაქციები გაფრთხილებული იყვნენ ამ ინფორმაციის უზუსტობის შესახებ – თბილისში ქართული, სომხური და აზერბაიჯანული სკოლების გვერდით ფუნქციონირებს რუსული საშუალო სასწავლო დაწესებულებები, რაც საერთო რაოდენობის 1/3-ს შეადგენს, ხოლო თვითმკვლელი გამოდგა სპეციალობით მძღოლი, დაავადებული ფსიქიკით. მაგრამ რუსული გაზეთების ხელმომწერი კომპანიის ინტერესები (რომლის პრინციპია – ინებეთ, სენსაცია!) ჭეშმარიტებებზე ღირებული აღმოჩნდა.

მეორე დღეს ზემოხსენებულმა გაზეთმა „опровержение“-ები გამოაცხვეს და საკუთარი სიტყვებიც უკან წაიღეს. მაგრამ ამ პუბლიკაციების აპოლიტიკური და, გნებავთ, ზნეობრივი ზარალი ვერავინ აანაზღაურა. მილიონობით რუსის ცნობიერებაში დაფიქსირდა, რომ, თითქოს, თბილისში რუსული სკოლები მიკეტეს. „მიზანი, რომელიც სიცოცხლეზე მეტია“ – მიღწეულ იქნა.

საქართველოს მიმართ განსაკუთრებით ტენდენციურია „Правда“. მას მისაბამი პრინციპი აქვს – საკუთარ კორესპონდენტებს რესპუბლიკაში ის ირჩევს ადგილსამყოფელის მიმართ განსაკუთრებული სიძულვილის მიხედვით. შემთხვევითი როდია, რომ ასე გაუჭიანურდა შესაფერისი კორესპონდენტის დაბევება. აქედან გამომდინარე, იძულებულები გახდნენ უცხოტომელ „Варяг“-ზე, სამარელ ოფიცერ ვლადიმერ მოხოვზე, იგივე სტატსკიზე შეეჩერებინათ არჩევანი, რომელსაც საქართველოში მიმდინარე პროცესები მხოლოდ და მხოლოდ შავი სათვალით შეუძლია დაინახოს.

„Правда“ შესაშური ოსტატობით ახდენს ფაქტების ფალსიფიცირებას. გასული წლის სექტემბერში გაზეთმა დიდი ოსტატობით ამცნო მკითხველს თბილისში ათობით სკოლის გაფიცვის შესახებ, რომელსაც ადგილი ნამდვილად ჰქონდა, მაგრამ არა ასეთი მასშტაბებით. თანაც აღწერილი მოვლენები ნახევარი წლით ჩამორჩებოდა დაბეჭდვის ვადებს.

მრავალი წლის მანძილზე პირველად, როგორც იქნა, რესპუბლიკის ყველა სასწავლო დაწესებულებაში დროულად დაიწყო სასწავლო წელი. მათ რიცხვში იყო თბილისის გიმნაზიაც, რომლის რესტავრაცია მოსკოვის მერიის განათლების დეპარტამენტის ხარჯებით განხორციელდა. სხვათა შორის, ცოდნის დღესასწაულისთვის მოსკოველებმა საქართველოს სკოლებს სახელმძღვანელოებიც გამოუგზავნეს. მაგრამ, რაში აწყობს მსგავსი თანამშრომლობის მაგალითები გაზეთს, რომლის მიზანი რაც შეიძლება მეტი გესლის დანთხევაა.

კორესპონდენტი მოხოვ-სტატსკის დეზინფორმატორულ გმირულ თავგანწირვას ვერც საქართველოს განათლების მინისტრის პროტესტმა დააკლო რამე. არსებულ ფაქტთან იგი მხოლოდ და მხოლოდ ნეგატიურებს ასობს კბილს და თანაც გესლიანი კომენტარებით ალამაზებს (ძალზე საინტერესოა, რომ მოხოვს ვერც პრესკონფერენციებზე და ვერც ბრიფინგებზე შეხვდებით და არც რესპუბლიკური აკრედიტაციები გაუვლია, რაც ესოდენ აუცილებელია ჟურნალისტური საქმიანობისათის). მისეული პუბლიკაციები და ინფორმაციები გამსჭვალულია ულრმესი სიძულვილით ყოველი ადგილობრივი ფაქტისა და მოვლენისადმი.

სამწუხაროდ, მსგავს ავისმოსურნე მასალებს ახლახანს ასპარეზი „Независимая Газета“-მაც დაუთმო, რომელმაც რამდენჯერმე „განიხილა“ თავის ფურცლებზე რუსეთთან სასაზღვრო ურთიერთობების საკითხები. რას არ ნახავთ ამ პუბლიკაციებში! საქართველოს საზღვრების საკუთარი ძალებით დაცვის უუნარობა... „ახლადგამოჩეკილი სუვერენული“ რესპუბლიკის სასაზღვრო სამსახურის მიერ საბჭოური მემკვიდრეობის გაყიდვა...

საქართველოს საზღვრების დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე, გენერალ-მაიორი ვალერი ჩხეიძე „Независимая Газета“-ს მთავარი რედაქტორის მიმართ გაგზავნილ წერილში წერს: „საქართველოში ბევრს მიაჩნია, რომ მსგავსი მასალების უკან გარკვეული ძალები დგას“.

საქმე იმაშია, რომ ყოველივე ასე როდია – ლაპარაკია იმ ჟურნალისტების უპასუხისმგებლობაზეც, რომლებსაც ავიწყდებათ პროფესიული ცნება – „არ ავნო“.

გარდა იმისა, რომ დაუფიქსირებელ პუბლიკაციებს ზიანი მოაქვს რუსეთ-საქართველოს ორმხრივი ურთიერთობისათვის, ისინი აუნაზღაურებელ ზიანს აყენებენ თვით რუსეთსაც, რამეთუ საეჭვო ავტორების არაკომპეტენტური მოსაზრებები მარტოოდენ ეროვნულ ელიტას არ აღიზიანებს – მათი მიხედვით დსთ-ს ხალხს საფუძველი ეძლევა ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებულ პოზიციებზე არასწორი კუთხით იმსჯელოს.

ამასთან დაკავშირებით მაგონდება სოხუმის პირველი დაბომბვა: ჩვენ, რამდენიმე რუსული გაზეთის, ტელეკომპანიისა და საინფორმაციო სამსახურის თანამშრომლები ამ დროს საქართველოს საინფორმაციო სააგენტოს დირექტორის კაბინეტში ვისხედით. გაცხარებული საუბრისას ოთახში საქინფორმის ერთ-ერთი თანამშრომელი შემოვიდა და გვამცნო, რომ რომელიღაც თვითმფრინავი აფხაზეთის დედაქალაქს ბომბავს, არის მსხვერპლი. ემოციური ჟურნალისტები ინფორმაციის გადამოწმება-დაზუსტების გარეშე მოსკოვში „ახალი ამბის“ გადასაცემად გაქანდნენ. შედეგად, საღამოს რუსეთის სატელევიზიო გადაცემებში მოვისმინეთ მომხდარის, სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით, რამდენიმე ურთიერთგამომრიცხავი ვარიანტი – ბომბავდა ხან აფხაზეთის; ხან რუსეთის, ხანაც გაურკვეველი წარმოშობის ამოუცნობი თვითმფრინავები, ხოლო მსხვერპლთა რაოდენობას ხან ოთხს ასახელებდნენ, ხანაც – 36-ს.

ბეჭდვითი სიტყვის ძალა... ჩვენ გვახსოვს, როგორ შემოქმედებდა იგი ჩეჩნეთის, აფხაზეთის, დნესტრისპირეთის საბრძოლო მოქმედებებზე.

**მიხეილ გვენცაძე,**
„ჯორჯიან ტაიმსი“,
26. III. 1997 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რეწველობა

# უნდა შევეჩვიოთ აზრს, რომ წინანდელი მასშტაბებით ველარ ავამუშავებით

**ნომრის სტუმარია საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს მრეწველობის დეპარტამენტის თავმჯდომარე ვლადიმერ კერესელიძე**

***— საქართველოში დღეს მრეწველობა ჩამკვდარია. მაშ რას ნიშნავს ეს „ჩამკვდარი"?***

— სამრეწველო პროდუქციის წარმოება, პიკურ წლებთან შედარებით, მრეწველობის დეპარტამენტის სისტემაში შემცირებულია 80-85 პროცენტით. წარმოების დონის მაქსიმალური დაცემა აღინიშნა 1994 წელს, როდესაც წარმოების მოცულობამ 1990 წლის ფაქტობრივი გამოშვების მხოლოდ 6 პროცენტი შეადგინა. 1995 წლიდან წარმოების დაცემის პროცესი შეჩერდა და ზრდის ტემპებმა საგრძნობლად მოიმატა, მაგრამ არსებულ სიმძლავრეთა გამოყენების ნომინალური სიდიდეებიდან, რა თქმა უნდა, შორსა ვართ.

უნდა შევეჩვიოთ აზრს, რომ მრეწველობა წინანდელი მასშტაბებით ველარ ამუშავდება. პიკურ წლებში დეპარტამენტის საწარმოები უშვებდა 128-130 ათას მაგისტრალურ ელმავალს, ...0 ცალ ლითონმჭრელ ჩარხს, ... ათასამდე სატვირთო ავტომანქანას, 60 მილიონ გრძივ მეტრ ბამბის ქსოვილს, 48 მილიონ გრძივ მეტრ აბრეშუმის ქსოვილს, 78 მილიონ გალვანურ ელემენტს, 148 ათას ცალ ...ქურას და ა.შ. წარმოების ამ მასშტაბები დღევანდელ პირობებში სრულიად არარეალურია, მით უმეტეს, რომ იმ დროს საქართველოში წარმოებული პროდუქციის მთელი მოცულობის 88,7 პროცენტს ქმნიდა საკავშირო საწარმოები, რომელთა ნედლეულითა და მასალებით უზრუნველყოფა და, რაც მთავარია, პროდუქციის რეალიზაცია საკავშირო მასშტაბით ხორციელდებოდა.

ამასთან, ცენტრალიზებულად ხდებოდა კაპდაბანდება წარმოების მოდერნიზაციისა და ძირითადი ფონდების განახლებისათვის.

დღევანდელი რეალობა ასეთია: პროდუქციაზე მეკვეთები ფაქტობრივად აღარ არის, მისი ხარისხი ვერ აკმაყოფილებს ევროპისა და მსოფლიო ბაზრის მოთხოვნებს, საქართველოს სამრეწველო პროდუქციის ასეთი რაოდენობა და სახეობათა სიმრავლე არ სჭირდება, დეპარტამენტის სამრეწველო საწარმოთა იმ მასშტაბებით ამუშავება არც ქვეყნის ინდიკატურ გეგმაში არის გათვალისწინებული.

***— რა გამოსავალი არსებობს ასეთ ვითარებაში?***

— გამოსავალი ერთადერთია — სასწრაფოდ უნდა მოხდეს ქვეყნის სამრეწველო კომპლექსის რესტრუქტურირება, რომელიც განსაზღვრავს: საწარმოთა რეალურ შესაძლებლობებს, რომელი საწარმო გახდება კონკურენტუნარიანი, რომელ საწარმოებს უნდა დაეხმაროს სახელმწიფო, რომელ საწარმოთა ლიკვიდაცია უნდა მოხდეს, როგორ უნდა შეიცვალოს საწარმოთა მმართველობითი სტრუქტურა, პროფილი, ტექნოლოგიური დანადგარები და ტექნოლოგია. უნდა მოხდეს ეკონომიკური და საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა, მოწესრიგდეს საზღვარგარეთთან ურთიერთობის საკითხები, პრივატიზაციის პროცესი. სხვათა შორის, ამ პრობლემებს ეხებოდა დეპარტამენტის მიერ საინჟინრო აკადემიასთან ერთად მომზადებული სამეცნიერო-პრაქტიკული სემინარი, რომელიც თებერვალში გაიმართა. ეს ფაქტობრივად იქნება მოსამზადებელი ეტაპი, რომელიც საფუძვლად დაედება საქართველოს მრეწველობის განვითარების კონცეფციას. დაგეგმილი გვაქვს დოკუმენტებზე მუშაობა დავამთავროთ ივნისში, შემდეგ განვიხილავთ მას გაფართოებულ სამეცნიერო კონფერენციაზე და ყოველმხრივ აპრობირებული სახით წარვუდგენთ საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად.

***— კონკრეტულად რა კეთდება მრეწველობის რეანიმაციისათვის?***

— მრეწველობის რეანიმაცია, როგორც ზემოთ გითხარით, მოითხოვს მის ძირეულ რესტრუქტურირებას და ამ მიმართულებით სამუშაოები მრეწველობის დეპარტამენტში უკვე დაწყებულია.

განსაკუთრებით უნდა გამოვყო საქმიანობა საზღვარგარეთის ქვეყნებთან ეკონომიკური თანამშრომლობის სწრაფი განვითარების უზრუნველსაყოფად, რის ერთგვარი შემაჯამებელი ეტაპი გახდა 1996 წელი. რეალურად ხელთა გვაქვს ეკონომიკური თანამშრომლობის 20-ზე მეტი კონკრეტული ხელშეკრულება და შეთანხმება. მათ შორის პრაქტიკულად უკვე მუშაობს ხელშეკრულება ირანის საწარმოო კომპანია „დერორიზანსა" და ქუთაისის სს „სატრაქტოროს" შორის მოტობლოკების წარმოებისა და რეალიზაციის შესახებ. ასევე, ირანთან გაფორმებულია ხელშეკრულება ინსტიტუტ „მეტსის" მიერ მცირე სიმძლავრის ელექტროძრავების წარმოების და მისი ტექნოლოგიური პროცესების ირანის კომპანიებთან „დერორიზანსა" და „მოტოჟენთან" ერთობლივად ირანის რესპუბლიკაში დანერგვის შესახებ.

გერმანულ ფირმა „დინამიტ ნობელთან" გაფორმებულია წინასწარგანზრახულობათა ოქმი. ფირმა მზადყოფნას გამოთქვამს საქართველოში სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი ნივთიერებების დასამზადებელი ერთობლივი საწარმოს შექმნაზე. დაფინანსებას ფირმა თავის თავზე იღებს. ძირითადი ნედლეული რუსთავის „ქიმკომბინატში" იწარმოება.

რუსთავის „ქიმკომბინატმა" და მანგანუმის კორპორაცია „მანკო იბერიამ" უკვე შექმნეს ერთობლივი საწარმო ელექტროლიზური მანგანუმის დიოქსიდის წარმოების ბაზაზე ელექტროლიზური (ლითონური) მანგანუმის საწარმოებლად. ამ პროექტის ინვესტირება გერმანულმა ფირმებმა იკისრეს. დაპროექტებისათვის გამოყოფილია 4 მილიონი გერმანული მარკა.

ქუთაისის საავტომობილო ქარხანა თანამშრომლობს იტალიურ ფირმებთან („ფანტუცი", „მექეელე", „პრომაკლიფტერი"), რომელთა დაკვეთით 1996 წელს დამზადდა და მიეწოდა 320 ათასი დოლარის სხვადასხვა სხმული, ნაჭედი, დეტალი. დადებულია ხელშეკრულება 1997 წელს 5 მილიონ დოლარზე მეტი სხვადასხვა სახის პროდუქციის ავტოქარხანაში დამზადებასა და მიწოდებაზე.

გერმანიის ფირმებმა „ზაუერმა" და „ჰანს ერაგე და კომპანიამ" მიიღეს სგ „ორბის" ბაზაზე ერთობლივი საწარმოს შექმნის გადაწყვეტილება...

ღრმავდება ინტეგრაციული პროცესები დსთ-ს ქვეყნებთან, განსაკუთრებით რუსეთთან. რუსეთ-საქართველოს ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებზე ახლახან გამართულმა სამთავრობო კომისიის სხდომამ მოიწონა და დასახა ისეთი ერთობლივი პროექტების განხორციელების რეალური პერსპექტივები, როგორიცაა ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის ბაზაზე ნავთობის მოსაპოვებელი ჩასაძირი ელექტროტუმბოების, ელექტროძრავების, სააქციო საზოგადოებების „ელვას", „თბილხელსაწყოს" და ინსტიტუტ „მეტსის" მონაწილეობით — გამზომი ხელსაწყოების ერთობლივი საწარმოების შექმნა. უკანასკნელ პერიოდში, მართალია, მცირე მასშტაბით, მაგრამ საგრძნობლად იმატა ეროვნული ნაწარმის ექსპორტმა. მაგალითად, რუსთავის „ქიმკომბინატმა" 1996 წელს საზღვარგარეთ გაიტანა 3 მილიონი ლარის პროდუქცია, ქუთაისის საავტომობილო ქარხანამ — 1,7 მილიონი ლარის, ქუთაისის ლითოფონის ქარხანამ — 400 ათასი ლარის, თბილისის სს „ელექტროაპარატმა" — 200 ათასი ლარის პროდუქცია.

საექსპორტო პოტენციალის მატება საწარმოთა კონკურენტუნარიანობის ძირითადი მაჩვენებელია და ჩვენი მუშაობის მიზანი და საბოლოო შედეგიც.

***— ვარდნა შეჩერდა, წინსვლაც არის, სანამდე შეიძლება „ავიწიოთ"?***

— დეპარტამენტის დამტკიცებული გეგმით 2000 წლამდე პერიოდისათვის საშუალოდ წლიურად წარმოების მოცულობა გადიდდება 25 პროცენტით, რაც მთლიანად 1996-2000 წლებში წარმოების მოცულობას 3-ჯერ გაზრდის, მათ შორის: ქიმიურ მრეწველობაში — 3-ჯერ, მანქანათმშენებლობაში — 2,5-ჯერ, ხის დამმუშავებელ მრეწველობაში 3,5-ჯერ, მრავალდარგოვან მრეწველობაში — 11,8-ჯერ.

ამ პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფს 2000 წლისათვის არსებულ სიმძლავრეთა დატვირთვას საშუალოდ 22 პროცენტით, რაც ოპტიმალურად მიგვაჩნია. ეს ნიშნავს 2000 წლისათვის ვაწარმოოთ 100 ათასი ტონა მინერალური სასუქები, 120 ცალი ლითონმჭრელი ჩარხი, 500 ცალი ავტომანქანა, 2500 ცალი მოტობლოკი და 300 მინიტრაქტორი, 7 მილიონი მეტრი ბამბის ქსოვილი, 1 მილიონი მეტრი შალის ქსოვილი და ა.შ., მათ შორის ბევრი ახალი პროდუქციაც, რაც თავისუფლად შეიძლება გაიყიდოს როგორც ადგილზე, ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

***— რა უშლის ხელს ისეთი პროდუქციის გამოშვებას, რომელიც დღეს რესპუბლიკას ჰაერივით სჭირდება?***

— მრავალი ფაქტორი! მაგალითად, ქვეყნის სოფლის მეურნეობისათვის უაღრესად საჭირო შაბიამნის წარმოებას (რისთვისაც მზად არის ქუთაისის ლითოფონის ქარხანა) ხელს უშლის ძირითადი ნედლეულის — სპილენძის უქონლობა, რომელიც ადგილზე არ გაგვაჩნია (რაც გვქონდა, ქვეყნიდან უკვე თითქმის მთლიანად გატანილია). ქვეყნის გარედან სპილენძის ჯართის შემოტანისათვის კი საჭიროა სამთავრობათაშორისო შეთანხმებები და ნებართვები, რაც, ნედლეულის სპეციფიკის გამო, გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. რაც შეეხება ადგილობრივი სპილენძის (მადნეულის სპილენძის კონცენტრატის ბაზაზე) გამოყენების შესაძლებლობას, ტექნიკურად ეს მეტად რთული და ძვირადღირებულია, რამდენადაც კონცენტრატი მხოლოდ 15 პროცენტ სუფთა სპილენძს შეიცავს ოქროსთან ერთად, რომლის გადამუშავების მეტალურგიული სიმძლავრეები საქართველოში არც არის.



სააქციო საზოგადოება „თბილხელსაწყო" ამ წლების მანძილზე არ გაჩერებულა.
დავით იაკობაშვილის ფოტო.

მეორე მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო საჭიროების პროდუქციის — აზოტოვანი მინერალური სასუქების წარმოების მოცულობა უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა. 1996 წელს ვაწარმოეთ 68 ათას ტონაზე მეტი, რაც საპროექტო სიმძლავრის 13 პროცენტს შეადგენს. რუსთავის „ქიმკომბინატში" არის მისი წარმოების შემდგომი გაზრდის რეალური შესაძლებლობა, მაგრამ ამას ხელს უშლის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების გადახდისუუნარობა. მათ დღეისათვის კომბინატისა 1 მილიონ ლარამდე მართებთ. ასევე, ნედლეულის უქონლობა უშლის ხელს კაპროლაქტამის წარმოებას, რომელიც თავის მხრივ ძირითადი ნედლეულია ქიმბოჭკოსა და კაპრონის ძაფის წარმოებისათვის, რაზეც საქართველოს მსუბუქი მრეწველობის საწარმოების დიდი მოთხოვნაა.

***— რას წარმოადგენს დღეს მრეწველობის დეპარტამენტი, რას ფლობს იგი?***

— მრეწველობის დეპარტამენტის (ყოფილი მრეწველობის სამინისტროს) მართვის წრე უკანასკნელ წლებში საგრძნობლად შევიწროვდა. თავდაპირველად სამინისტრო (იგი 1991 წელს შეიქმნა) აერთიანებდა მრეწველობის ძირითადი დარგების (გარდა სამშენ მასალათა და კვების გადამამუშავებელი მრეწველობის დარგებისა) საწარმოებსა და გაერთიანებებს. შემდგომში, სხვადასხვა დროს, სამინისტროს გამოეყო სათბობის მრეწველობის, მეტალურგიული მრეწველობის (მიუხედავად სამინისტროს გაფართოებული კოლეგიის კატეგორიული წინააღმდეგობისა, რასაც ხელს აწერდა რესპუბლიკის 14 მინისტრი), სამთო-ქიმიური მრეწველობის, მსუბუქი მრეწველობის დარგების საწარმოები და ორგანიზაციები. ასევე, ყოვლად დაუსაბუთებლად, 1995 წელს, მრეწველობის დეპარტამენტს გამოეყო თბილისის ელმავალმშენებელი ქარხანა, რომლის აქციების საკონტროლო პაკეტი სამართავად გადაეცა ტრანსპორტის სამინისტროს და... 1996 წელს ქარხანამ საერთოდ შეწყვიტა მაგისტრალური ელმავლების გამოშვება. ამჟამად ასევე დაჟინებით ითხოვენ ფოთის პორტისათვის გემთმშენებელი ქარხნის გადაცემას. ასე გაგრძელება ხელს არ შეუწყობს მრეწველობის აღორძინებას.

მრეწველობის, როგორც მთლიანად ეროვნული მეურნეობისა და მატერიალური წარმოების მსხვილი და უმნიშვნელოვანესი დარგის სამრეწველო პოლიტიკის მართვა კონცენტრირებული უნდა იყოს მრეწველობის ერთიან დარგობრივ ორგანოში (დეპარტამენტი ერქმევა თუ სამინისტრო) და მის მიერ უნდა ხორციელდებოდეს. ამასთან ეს სისტემა უნდა მოიცავდეს ყველა იმ სტრუქტურას, რომელიც დარგთა კლასიფიკაციის მიხედვით მრეწველობას განეკუთვნება, საკუთრების ფორმების მიუხედავად.

***— რამდენი კაცია დღეს დასაქმებული მრეწველობის დეპარტამენტის სისტემაში?***

— 1996 წელს მრეწველობის დეპარტამენტის სისტემაში მუშა-მოსამსახურეთა საერთო რიცხვი 34-35 ათას კაცს შეადგენდა. რეალური სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფილი იყო 17 ათასი კაცი, რაც წინა წელთან შედარებით გაზრდილია 10-12 პროცენტით. პროდუქციის წარმოების ზრდის კვალობაზე, დეპარტამენტის მიერ შემუშავებული პროგრამით, 1997 წელს და შემდგომ წლებში დასაქმებულთა ფაქტობრივი რაოდენობა საშუალოდ წლიურად გაიზრდება 2,5 ათასი კაცით და 2000 წლისათვის 30-31 ათასს მიაღწევს. მართალია ეს აბსოლუტურ მაჩვენებლებში არც თუ ისე დიდია, მაგრამ თავისთავად, დასაქმებულთა რაოდენობის ზრდის სტაბილური პროცესი მრეწველობის გამოცოცხლების მაუწყებელია.

***— რა გვჭირდება საამისოდ, რომ განვავითაროთ მრეწველობის პრიორიტეტული დარგები?***

— მრეწველობის პრიორიტეტული დარგებისა და საწარმოების დადგენა მრეწველობის დეპარტამენტის სამრეწველო კომპლექსის რესტრუქტურირებისა და განვითარების კონკრეტული კონცეფციის შემუშავების შემადგენელი ნაწილია.

რამდენადაც დღეისათვის სამრეწველო საწარმოთა კრიზისული მდგომარეობის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი საბრუნავი საშუალებების და საერთოდ ფინანსური აქტივების უქონლობაა, რესტრუქტურირების სტრატეგიის განსაზღვრის დროს აუცილებელია დარგთა პრიორიტეტის დადგენა მოხდეს მათი საინვესტიციო რესურსებზე მოთხოვნილების კონტექსტში. აქედან გამომდინარე, გამოვყოფთ მრეწველობის დარგების სამ ძირითად ჯგუფს:

საბაზო საწარმოთა ჯგუფი, რომლებსაც გააჩნია უნარი თვითონ შექმნან საინვესტიციო რესურსები;

პერსპექტიული დარგების ჯგუფი, რომლებსაც შეეძლება შექმნან საინვესტიციო რესურსები მათი რესტრუქტურირების შემდეგ;

სტრუქტურულად დეპრესიული დარგების (საწარმოების) ჯგუფი, რომლებიც მთლიან ან ნაწილობრივ ლიკვიდაციას ექვემდებარება.

საქართველოში, ალბათ, არ არსებობს დარგები და საწარმოები, რომლებსაც შეუძლია აღორძინდეს უინვესტიციოდ. აქედან გამომდინარე, პირველი ჯგუფის პრიორიტეტები ფაქტობრივად არ გვაქვს.

მეორე ჯგუფის პრიორიტეტებს პირობითად შეიძლება მიეკუთვნონ სამთო, ქიმიური, ნავთობქიმიური, მანქანათმშენებლობის, ხის დამმუშავებელი და ადგილობრივი (მრავალდარგოვანი) მრეწველობის ზოგიერთი დარგი და საწარმო, ასევე ყველა დანარჩენი საწარმო, რომლებსაც რესტრუქტურირების შემდეგ შეეძლება უზრუნველყოს გასაღების ბაზრების მოპოვება და რომლებიც ძირითადად ადგილობრივ ნედლეულზე მუშაობს (ფართო მოხმარების საქონლის წარმოების ნაწილში).

მესამე ჯგუფს განეკუთვნება საწარმოები, რომლებიც ვერ შეძლებს აღორძინებას რესტრუქტურირების შემდეგაც, მნიშვნელოვანი სახსრები სჭირდება რესტრუქტურირებისათვის. მათი საქმიანობის შეწყვეტა გავლენას არ მოახდენს ეროვნულ ინტერესებსა და უმიმროებაზე და სხვა. ასეთ საწარმოთა რიცხვში შეიძლება დავასახელოთ მანქანათმშენებლობის ზოგი საწარმო (ჩარხმშენებლობა, საერთო მანქანათმშენებლობა და სხვა), საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის, ქიმიური მრეწველობის საწარმოთა გარკვეული ნაწილი და ა.შ.

ამრიგად პრიორიტეტული დარგებისა და საწარმოების დადგენა რთული და მრავალმხრივი პროცესია, ისევე, როგორც მრავალმხრივი პროცესია საწარმოების დარგების და მთლიანად მრეწველობის რესტრუქტურირება.

ესაუბრა
**ალეკო ასლანიშვილი.**

## ჯანდაცვა

***ძნელი წარმოსადგენია ადამიანი, საკუთარი ჯანმრთელობა რომ არ აღელვებდეს. ამდენად, სრულიად გასაგებია საყოველთაო ინტერესი მედიცინის მიმართ. მაგრამ მხოლოდ პროფესიონალებმა უწყიან, რაოდენ ღრმა და მწყობრი, ამასთანავე მრავალმხრივი მეცნიერებაა მედიცინა, და რაოდენ რთული პრობლემების წინაშე დგას იგი დღეს.***

***ამჯერად ჩვენი საუბარი მედიცინის ერთ-ერთ ძალზე მნიშვნელოვან დარგს — რენტგენ-რადიოლოგიას ეხება. ამის მიზეზი გახლავთ ის, რომ სულ ახლახან შექმნილი საქართველოს რადიოლოგთა ასოციაცია უკვე ევროპის რადიოლოგთა ასოციაციის წევრია.***

***რენტგენ-რადიოლოგია ან, უბრალოდ, რადიოლოგია. მაინც რა მნიშვნელობა და ადგილი ენიჭება ამ დარგს მედიცინის მრავალფეროვან მიმართულებებში? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძალზე იოლია, თუ გავითვალისწინებთ, რომ დღეს ასე გავრცელებული ექოსკოპია თუ რენტგენოლოგიური კვლევა, კომპიუტერული ტომოგრაფია თუ ჩვენში ახლახან შემოსული მაგნიტურ-რეზონანსული კვლევა სწორედ რადიოლოგიის კომპეტენციაა, უფრო სწორად მისი მხოლოდ მცირე ნაწილია. რეალურად მედიცინა ურადიოლოგიოდ წარმოუდგენელია, რადგან სადიაგნოსტიკო საშუალებები თითქმის მთლიანად ექიმ რადიოლოგთა ხელშია.***

***სხივური და ინტერვენციული დიაგნოსტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ერთადერთია საქართველოში, რომელსაც აქვს ყველაზე მოწინავე სამედიცინო სადიაგნოსტიკო და სამკურნალო აპარატურა. ინსტიტუტის დირექტორს, პროფესორ ფრიდონ თოდუას - ამჟერად საქართველოს რადიოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტს - ვფიქრობთ, უკვე კარგად იცნობს ჩვენი მკითხველი.***

***სწორედ ბატონი ფრიდონის და მისი თანამოაზრეების დამსახურებაა როგორც საქართველოს რადიოლოგთა ასოციაციის შექმნა, ისე ევროპის რადიოლოგთა ასოციაციაში მისი გაწევრიანება. ამიტომაც სწორედ მას სთხოვა ჩვენმა კორესპონდენტმა ინტერვიუ.***

***— ბატონო ფრიდონ, უწინარესად გილოცავთ ასოციაციის შექმნას და ევროპის რადიოლოგთა ასოციაციაში მის გაერთიანებას. რას მოუტანს ეს ფაქტი ჩვენს მედიცინას, მოქალაქეებს?***

— რადიოლოგთა ასოციაციის შექმნა საქართველოში მართლაც ძალზე მნიშვნელოვანია არა მხოლოდ რადიოლოგთათვის, არამედ მთლიანად მედიცინისთვის.

— საქმიმო ენით თუ ვიტყვით, რადიოლოგთა ასოციაციის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში მოსახლეობის სპეციალიზებული რადიოლოგიური დახმარების სრულყოფას. ეს არ გახლავთ ლიტონი სიტყვები. უკანასკნელ ხანს რადიოლოგიამ უდიდესი ნახტომით წაიწია წინ, მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა მას დაავადებათა დიაგნოსტიკის ჯერარნახული საშუალებები მისცა და მედიცინაში განსაკუთრებული ადგილიც მიანიჭა. მსოფლიოს ყველა ქვეყანაში დაავადებათა დიაგნოსტიკა თავისთავად გულისხმობს რადიოლოგიურ მომსახურებას, რადგან მისმა განვითარებამ სრულყო დიაგნოსტიკის პროცესი და შესაძლებელი გახადა დაავადებათა ადრეულ სტადიებზე ამოცნობა. ამის გამო ერთიათად გაიზარდა მკურნალობის ეფექტიანობა და მთელი რიგი პათოლოგიების, მათ შორის სიმსივნური დაავადებების, განკურნების პროცესი.

ამასთანავე, რადიოლოგიური ტექნიკა ისეთი სამკურნალო ღონისძიებების და დამზოგველი ქირურგიული მანიპულაციების ჩატარების საშუალებას იძლევა, რომელთა განხორციელებისთვის არცთუ დიდი ხნის წინ გაფართოებული ქირურგიული ოპერაციები ხდებოდა საჭირო.

მაგალითისთვის მხოლოდ ერთს ვიტყოდი: ყოველმა ქირურგმა იცის რაოდენ რთულ პათოლოგიად ითვლებოდა ღვიძლისა და პანკრეასის კისტები და აბსცესები როგორც სადიაგნოსტიკოდ, ასევე სამკურნალოდ. საკმაოდ მაღალი იყო სიკვდილიანობის მაჩვენებლებიც.

დღეისათვის მსოფლიოში აღარ კეთდება ოპერაცია ამ პათოლოგიათა გამო, რადგან კომპიუტერული ტომოგრაფიის კონტროლით პუნქციის საშუალებით ფაქტობრივად უსისხლოდ არის შესაძლებელი კისტებისა და აბსცესების ღრუს დრენირება და სანაცია.

შეიძლება ითქვას, მთელ ეპოქად იქცა მედიცინაში ასევე კომპიუტერული ტომოგრაფიის კონტროლით ღვიძლის სიმსივნური მეტასტაზების მკურნალობა ალკოჰოლიზაციის მეშვეობით. არაფერს ვამბობ ინტერვენციული რადიოლოგიის მიღწევებზე, რომელმაც თავიდან ააცილა ადამიანებს ურთულესი ოპერაციების აუცილებლობა კუჭის, თორმეტგოჯა ნაწლავის, სანაღვლე გზების, აგრეთვე სისხლძარღვთა მრავალი პათოლოგიის დროს. ყველაფრის ჩამოთვლა ძალზე შორს წაგვიყვანს, მაგრამ ერთი რამ კი ცხადია: მედიცინის წინსვლა დღესდღეობით მჭიდროდ არის დაკავშირებული რადიოლოგიის განვითარებასთან. მედიცინის წინსვლა და განვითარება კი, ცხადია, უწინარესად ხალხის კეთილდღეობას ემსახურება.

***— რა მდგომარეობაა რადიოლოგიაში ჩვენთან დღეისთვის?***

— ყოველ განვითარებულ ქვეყანაში ნორმად მიჩნეულია 100 000 სულ მოსახლეზე ერთი კომპიუტერული ტომოგრაფის არსებობა. კლინიკებში, სადაც საწოლთა რაოდენობა 400-ს აღწევს, როგორც წესი, ულტრაბგერითი აპარატებისა და თანამედროვე რენტგენოლოგიური დანადგარების გარდა ფუნქციონირებს კომპიუტერული ტომოგრაფია და მაგნიტურ-ბირთვული რეზონანსის დანადგარიც.

აქედან გამომდინარე, თავად განსაჯეთ, რა მდგომარეობაა ჩვენთან, სადაც 5 მილიონ მოსახლეზე სამი-ოთხი კომპიუტერული ტომოგრაფი და ორიოდე მაგნიტური რეზონანსის გამოსახვის აპარატია. თითზეა ჩამოსათვლელი თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესატყვისი ულტრაბგერის აპარატები. ძალზე მძიმე მდგომარეობაა სხივურ თერაპიაში, სადაც აპარატურა ამორტიზებული და მორალურად გაცვეთილია. კრახის წინაშეა რადიონუკლიდური (იზოტოპური) დიაგნოსტიკა. მოძველებულია რენტგენოლოგიური ტექნიკაც და, რაც ყველაზე სავალალოა, ძალზე მწირია ახალგაზრდა, მცოდნე, საკუთარ თავზე მომუშავე კადრები. ჩვენი ექიმები გაურბიან რადიოლოგიას სხივების მავნე ზემოქმედების შიშით. რაც სრულიად უსაფუძვლოა, რადგან თანამედროვე ტექნიკა ამ მხრივ პრაქტიკულად უსაფრთხოა. ჰოლანდიაში, მაგალითად, 20 წლის წინ გაუქმდა რენტგენ-რადიოლოგთათვის დაწესებული შეღავათები, რამეთუ ჩაითვალა, რომ განსაკუთრებული რისკი ამ სფეროში მომუშავე ექიმებისთვის, მედიცინის სხვა დარგებთან შედარებით, არ არსებობს. მსგავსი შეღავათები დაწესებული მსოფლიოს პრაქტიკულად არცერთ ქვეყანაში არ არის.

სავალალოა მდგომარეობა კადრების მომზადების მხრივ. მწირია სასწავლო ბაზები, მათი ტექნიკური აღჭურვილობა კი — მოძველებული. რენტგენოლოგთა სწავლების 4-თვიანი კურსები არ არის საკმარისი სათანადო განათლების მისაღებად. სოკოებივით მომრავლდა ექოსკოპიის კაბინეტები. საკითხავია, სად მზადდება სპეციალისტები? ამიტომაც არის ხშირად ფრიად საეჭვო გამოკვლევის შედეგები. პრაქტიკულად აღარ შემოდის სათანადო სამედიცინო ლიტერატურა. ერთს ვიტყოდი, ევროპასა და ამერიკაში რადიოლოგთა მომზადების სისტემა ექიმის დიპლომის მიღების შემდგომ კიდევ 4-5 წლიან სწავლებას გულისხმობს.

ექიმი რადიოლოგი ამ ხნის განმავლობაში თანაბრად ეუფლება როგორც ულტრაბგერის სპეციალობას, რენტგენოლოგიას, რადიოიზოტოპურ დიაგნოსტიკას, კომპიუტერულ ტომოგრაფიას, ისე მაგნიტურ-ბირთვულ ტომოგრაფიასაც და მხოლოდ ამის შემდეგ იწყება მომზადება ვიწრო სპეციალობებით: ეს გახლავთ გულსისხლძარღვთა, საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის, გასტროენტეროლოგიური, პულმონოლოგიური, ნეირო, პედიატრიული რადიოლოგია და სხვა. სპეციალისტი განსაზღვრულ სფეროში ფლობს დიაგნოსტიკის ყველა საშუალებას, განსაზღვრავს ამა თუ იმ მეთოდის უპირატესობას და ჩვენებას ყველა კონკრეტულ შემთხვევაში.

გარდა ამისა, არსებობს სამედიცინო განათლების მესამე ფაზა - ე.წ. „უწყვეტი განათლება", რომელიც გულისხმობს სპეციალისტის ვალდებულებებს მუდმივად სრულყოს ცოდნა, განავითაროს პრაქტიკული ჩვევები. არსებობს ძირითადი მოთხოვნები, რომლებიც უნდა შეასრულოს ექიმმა ლიცენზიის გასაახლებლად. თუ ეს მოთხოვნები არ კმაყოფილდება, საგამოცდო კომისიას უფლება აქვს უარი თქვას ლიცენზიის გაგრძელებაზე.

***— როგორ გესახებათ მდგომარეობის გამოსწორება ამ სფეროში?***

— ჯანდაცვის სამინისტრო უკვე მუშაობს ამ მიმართულებით, და უნდა ითქვას, შრომა დაძაბული და შრომატევადია, მაგრამ რადიოლოგიის განვითარება ფულად ხარჯებთანაა დაკავშირებული. თანამედროვე ტექნიკა ძალზე ძვირი ღირს. ასე რომ, ევროპისა და ამერიკისგან მოდელების ბრმად გადმოღება ჩვენთვის მიუღებელია. ფასიანი რეზიდენტურა იმ დარგში, სადაც უამისოდაც სპეციალისტების ნაკლებობაა, უფრო გააღრმავებს მათ დეფიციტს, ხოლო 4-თვიანი კურსების 4-5 წლამდე გაზრდა ჩვენთვის წარმოუდგენელიც კია, რადგან ეს ბაზების 20-ჯერ და მეტჯერ გაზრდას მოითხოვს. თუ ასე გაგრძელდა, მალე აღმოჩნდება, რომ ქვეყანაში აღარ გვეყოლება კვალიფიციური რენტგენ-რადიოლოგი. ამდენად მე ვფიქრობ, სწავლების პროცესი მაინც უნდა დააფინანსოს სახელმწიფომ.

ევროპის ბევრ ქვეყანაში რადიოლოგიის რეზიდენტები ხელფასს სასწავლო ჰოსპიტალში იღებენ და კვირაში საშუალოდ 50 საათს მუშაობენ ღამის მორიგეობების ჩათვლით.



ბაზების მდგომარეობა და სწავლების პროცესი თანდათან უნდა მოწესრიგდეს.

საქართველოს რადიოლოგთა ასოციაციის შექმნაც სწორედ ამან განაპირობა. მისი მიზანია გააუმჯობესოს მოქალაქეთა სამედიცინო დახმარების ხარისხი, ხელი შეუწყოს მოწინავე ტექნიკის დანერგვას, კოორდინაცია გაუწიოს კადრების მომზადებას და უზრუნველყოს თავისი წევრების სოციალურ-სამართლებრივი დაცვაც, ასოციაცია იზრუნებს ლიტერატურით მომარაგებაზე, რეკომენდაციას გაუწევს ჩვენი ექიმების საქმიანობას საზღვარგარეთ.

ასოციაციასთან შეიქმნება სპეციალიზებული (რადიოლოგიური) სამეცნიერო საბჭო, რომელიც აწარმოებს მეცნიერ-თანამშრომელთა ატესტაციას.

ამჯერად ასოციაციის მიზნებისა და გეგმების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ფაქტი ერთია, ასოციაციის შექმნა დროული და აუცილებელი იყო.

# აღიარებაც, პრესტიჟიც, დახმარებაც...

**საქართველოს ახალშექმნილი რადიოლოგთა ასოციაცია ევროპის რადიოლოგთა ასოციაციის წევრია**

***— რა მნიშვნელობა ენიჭება ევროპის რადიოლოგთა ასოციაციაში გაწევრიანებას?***

— ევროპის რადიოლოგთა ასოციაცია პრესტიჟული ორგანიზაციაა. იგი 1962 წლიდან არსებობს და ევროპის 30-ზე მეტ ქვეყანას აერთიანებს. აქვს ბეჭდვითი ორგანო „ეუროპენ რადიოლოჯი", სისტემატურად აწყობს სიმპოზიუმებსა და სტაჟირებებს წევრი ქვეყნების რადიოლოგთათვის. ორ წელიწადში ერთხელ იწვევს გენერალურ ასამბლეას, რომელშიც მონაწილეობენ მთელი მსოფლიოს ექიმები და სპეციალისტები. ასე რომ, ევროპის რადიოლოგთა ასოციაციის წევრობა მეტად საპატიოა და ერთგვარად საერთაშორისო აღიარებასაც ნიშნავს. ჩვენი ქვეყანა ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან ერთ-ერთი პირველი გაწევრიანდა ამ ორგანიზაციაში.

მარტის პირველ რიცხვებში ვენაში გაიმართა ევროპის რადიოლოგთა კონგრესი, რომელშიც მსოფლიოს 80 ქვეყნის დარგის წამყვანი სპეციალისტები მონაწილეობდნენ. ტრადიციულ გამოფენაში წარმოდგენილი იყვნენ ისეთი ცნობილი ფირმები, როგორიცაა: „სიმენსი", „ჯენერალ ელექტრიკი", „ტომიბა", „ფილიპსი" და სხვა.

რაოდენ სასიამოვნო იყო, რომ კონგრესის მონაწილეთა 15 ათასიან არმიას ჩვენი 8-კაციანი ჯგუფიც შეუერთდა და 80 ქვეყნის დროშებთან ჩვენი დროშაც აღიმართა.

ევროპის რადიოლოგთა ასოციაციაში გაწევრიანებისთვის ქვეყნები იხდიან რეგულარულ საწევრო გადასახადს. ჩვენი ქვეყნისთვის მაქსიმალურად შეღავათიანი საფასური დაწესდა. დელეგაცია მიიღო ევროპის რადიოლოგთა ასოციაციის გენერალურმა მდივანმა პროფესორმა ბარგმა, მომავალი კონგრესის თავმჯდომარემ პროფესორმა პასარელამ. ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ ჩვენს ექიმებს უკვე იცნობენ საზღვარგარეთ.

იცნობენ და ეხმარებიან კიდეც: ევროპის რადიოლოგთა ასოციაციის მოწვევით ბოლო ორი წლის მანძილზე საზღვარგარეთის კლინიკებში სასწავლებლად და სტაჟირებაზე ჩვენი 30-ზე მეტი სპეციალისტი იმყოფებოდა, პრაქტიკულად არ ჩატარებულა საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიება, ჩვენს ექიმებს რომ არ მიეღოთ მონაწილეობა. ევროპის რადიოლოგთა ასოციაცია გვაწვდის თანამედროვე ლიტერატურასაც.

ამჯერად ჩვენი დელეგაციის იმ წევრებისთვის, რომლებსაც ჰქონდათ მოხსენებები, გამოიყო 4 გრანტი. გრანტები ევროპის წამყვან კლინიკებში უფასო სტაჟირების საშუალებას იძლევა, ასე რომ, ევროპის რადიოლოგთა ასოციაციის წევრობა, უწინარესად აღიარებაც არის, პრესტიჟიც და დიდი დახმარებაც.

***— ბატონო ფრიდონ, დღეს თითქმის ყველგან იხსნება დიაგნოსტიკური ცენტრები. თქვენ, როგორც ამ საქმის ვეტერანს, რა მოსაზრება გაქვთ ამასთან დაკავშირებით?***

— დიაგნოსტიკის ცენტრები უნდა იქმნებოდეს მხოლოდ მრავალპროფილიანი საავადმყოფოების და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ბაზაზე, სადაც შესაძლებელია ავადმყოფთა ყოველმხრივი გამოკვლევა და საჭიროებისას კვალიფიციური დახმარების აღმოჩენა. ერთი ულტრაბგერითი აპარატი არ შეიძლება იყოს არც „ცენტრი" და არც სადიაგნოსტიკო განყოფილება.

დიაგნოსტიკა არ არის ხელწამოსაკრავი პროცესი. ახლა როდესაც მსოფლიოში ერთიანი კომპიუტერული ქსელია შექმნილი და ნებისმიერი წამყვანი კლინიკის სპეციალისტებს შენობიდან გაუსვლელად შეუძლიათ ავადმყოფთა კონსულტირება, ასეთი ცენტრების შექმნისადმი მსგავსი მიდგომა ცოტა არ იყოს, უხერხულია.

თუმც, ვფიქრობ, ეს ყველაფერი დროებითია. თანდათან, ნაბიჯ-ნაბიჯ, ეკონომიკური მდგომარეობის მოწესრიგებასა და სადაზღვევო სისტემის დარეგულირების კვალობაზე, მდგომარეობა აუცილებლად გამოსწორდება, როგორც მთლიანად მედიცინაში, ისე რადიოლოგიაშიც, რადგან თანამედროვე მედიცინა ურადიოლოგიოდ მედიცინა არ არის. ამას ვამბობ არა რადიოლოგი, არამედ ექიმი.

მედიცინას მიხედვა უნდა. რაც უფრო განვითარებული და ცივილიზებულია სახელმწიფო, მით მეტ თანხას ხარჯავს იგი თავისი მოქალაქეების ჯანმრთელობისთვის.

ჯანდაცვა სახელმწიფო უშიშროების დონეზე უნდა იქნეს აყვანილი, მაგრამ არ უნდა გვქონდეს იმის იმედი, რომ ყველაფერი თავისთავად მოგვარდება, ან ვიღაც უჩვენოდ მოაგვარებს. ყველა უნდა ვიყოთ იქ, სადაც მაქსიმალური სარგებლობის მოტანა შეგვიძლია. მუხლჩაუხრელი შრომაა საჭირო, რომ თავი ევროპის თანამეგობრობის სრულუფლებიან წევრად ვიგრძნოთ. ბოლოსდაბოლოს მომაბეზრებელია სხვისი იმედით ცხოვრება. ქართველებს ხომ მუდამ გვქონდა თავმოყვარეობა.

***სხივური და ინტერვენციული დიაგნოსტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ერთადერთია რესპუბლიკაში, სადაც შეიძლება ყველა ისეთი გამოკვლევა ჩაიტაროთ, რასაც მსოფლიოს საუკეთესო კლინიკაში ჩაიტარებდა პაციენტი. ამისთვის აღარ არის საჭირო, არამც თუ საზღვარგარეთ გამგზავრება, ამ შენობიდან გასვლაც კი. აქაური აპარატურა მართლაც საუკეთესოა. ხოლო მაგნიტურ-ბირთვული რეზონანსის დანადგარი - სიმენსი ფირმის Magnetom open-ი მარტო ამ ინსტიტუტის კი არა, მსოფლიოს ნებისმიერი კლინიკისთვის შეიძლება ჩაითვალოს სიამაყის საგნად. ის ტყუილად როდი ითვლება დიაგნოსტიკის ლიდერად — მაგნიტურ-რეზონანსული კვლევით შეიძლება ადამიანის ნებისმიერი ორგანოსა და სისტემის გასაოცარი ანატომიური სიზუსტის გამოსახულების მიღება.***

***დიახ, სხივური და ინტერვენციული დიაგნოსტიკის ინსტიტუტში მუშაობა პრესტიჟულია არამარტო სანიმუშო სისუფთავის, შესანიშნავი სამუშაო პირობებისა თუ უნიკალური აპარატურის გამო, არამედ იმიტომაც, რომ აქ მუშაობა უკვე ნიშნავს შრომისმოყვარეობას, განათლებას და ექიმობას ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით.***

**ნინო ძორიძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



მუზარადებს, ჯავშანჟილეტებს, ელექტროშოკურ მოწყობილობასა და შეიარაღებული თავდასხმისაგან დაცვის ბევრ სხვა საშუალებას უშვებს მოსკოვის ფოლადის ინსტიტუტის სპეციალური გაერთიანება.

## მძევლებს მუქთად არ დათმობენ

პერუს გაზეთ „ლა რესპუბლიკას“ ინფორმაციით, ტუპაკ ამარუს მოძრაობაში შემავალ ტერორისტებს, რომლებსაც სამ თვეზე მეტია დატყვევებული ჰყავთ 72 მძევალი იაპონიის ლიმის საელჩოში შეიძლება შესთავაზონ მრავალმილიონიანი გამოსასყიდი, პოლიტიკური თავშესაფარი კარიბის აუზის ერთ-ერთ სახელმწიფოში, აგრეთვე პერუს ციხეებში დამწყვდეული თანამოსაგრეების გათავისუფლება. როგორც როიტერი იუწყება, ჟურნალისტებმა ხელში ჩაიგდეს ექსპუნქტიანი საიდუმლო გეგმა, რომელიც გარანტთა კომისიამ შეიმუშავა ტერორისტებთან მოლაპარაკებაზე წამოჭრილი კრიზისის დაძლევის მიზნით. გეგმა უახლოეს დღეებში უნდა შესთავაზონ ტერორისტებს, წერს გაზეთი. ფულს შეაგროვებენ იაპონიის მთავრობისა და იმ კომპანიების დახმარებით, რომელთა თანამშრომლებიც არიან მძევალთა შორის. როგორც ცნობილია, კრიზისი ლიმაში დაიწყო გასული წლის 17 დეკემბერს. მძევალთა შორის არიან პერუს პრეზიდენტის ძმა პედრო ფუხიმორი, კაბინეტის ორი წევრი, იაპონიის ელჩი მორიხისა აოკი, აგრეთვე 23 იაპონელი ბიზნესმენი.

## ხოცავენ ექსტრემისტებს

ოთხი ისლამისტი ექსტრემისტი დახოცეს ალჟირის გარეუბანში პოლიციელებმა შეტაკების დროს, იუწყება ასოშიეიტედ პრესის სააგენტო. მოკლულები იყვნენ შეიარაღებული ისლამური ჯგუფის წევრები. ერთ მათგანს, რიხანე იაჰიუს, საბერძნეთში დაეძებდნენ 1995 წელს აფეთქებათა სერიის ორგანიზაციის ეჭვით. გარდა ამისა, ფრანგული გაზეთის „ლემატემის“ ინფორმაციით, სამი წლის წინათ იაჰიამ დაგეგმა ავიაკომპანია „ერ ფრანსის“ სამგზავრო თვითმფრინავის მოტაცება, რომლის დროსაც დაიღუპა სამი მგზავრი და ყველა ტერორისტი. შეგახსენებთ, რომ შეიარაღებული ისლამური ჯგუფი 1992 წლიდან ეწევა შეურიგებელ ბრძოლას მთავრობასთან, რათა ალჟირი ისლამურ სახელმწიფოდ გამოცხადდეს.

## „შავი ყუთი“ - შავი დღისთვის

უახლოეს ხანს ამერიკაში ყველა მსუბუქ და სატვირთო ავტომობილს დაუყენებენ საავიაციო „შავი ყუთების“ ანალოგიურ მოწყობილობას, დიდი კატასტროფებისა და წვრილმანი საგზაო შემთხვევების მიზეზების გამოფერისა და ანალიზის მიზნით. ასეთი მოწყობილობის დაყენებამ ხელი უნდა შეუწყოს მძღოლთა და მგზავრთა მეტ უსაფრთხოებას, იუწყება დპა სააგენტო, აგრეთვე აღნიშნავს, რომ მეტი წილი ფირმების აზრით, ასეთი ხელსაწყოები მომავალში ბევრ



სიცოცხლეს გადაარჩენს. გარდა ამისა, მწარმოებელთა ჩანაფიქრით, ახალი ხელსაწყოების ინფორმაციის ანალიზი დიდად დაეხმარება პოლიციას და საგზაო სამსახურებს მოძრაობის ორგანიზაციაში.

## ჯექსონი ცოლს ირთავს

განთქმულმა მომღერალმა მაიკლ ჯექსონმა გადაწყვიტა თავის პირმშოს უწოდოს პრინც მაიკლ უმცროსი. როიტერს მოჰყავს მომღერლის მრავალგზისი განცხადება, რომლის თანახმად იგი დედამიწის ზურგზე უბედნიერეს კაცად გრძნობს თავს და განზრახული აქვს უახლოეს ხანს ცოლად შეირთოს თავისი შვილის დედა, ყოფილი მედდა დები როუ. კითხვაზე, თუ რატომ დაარქვა ჯექსონმა თავის ვაჟს სახელად პრინცი, რაც მოსახლეობაში ცნობილი მომღერლის ასოციაციას იწვევს, ბედნიერმა მამამ უპასუხა, რომ ეს გააკეთა მხოლოდ და მხოლოდ ოჯახური ტრადიციის პატივისცემის სურვილით, რომლის თანახმად უფროს ვაჟს სწორედ ეს სახელი უნდა ერქვას. ჯექსონმა აგრეთვე თქვა, რომ მამამისსაც და უფროს ძმასაც სწორედ ეს სახელი ჰქვიათ.

## ისევ სიქაჩლე ბერჩივნოს

ამერიკის კომპანია „მერკის“ ფარმაცევტებმა დაადგინეს, რომ პროსტატის სამკურნალო პრეპარატი წნევის ზრდას ასტიმულირებს. ფედერალური კომისიის მიერ მოწონების შემთხვევაში, პრეპარატი შეიძლება გახდეს სიქაჩლის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი საშუალება. მაგრამ, როგორც ბრიტანული გაზეთი „ტაიმსი“ იუწყება, თანამდევი ეფექტის გამო, რაც პოტენციის დაქვეითებით გამოიხატება, წამალი განკუთვნილი იქნება მხოლოდ იმ ადამიანებისათვის, ვისაც ეს პრობლემა ხანდაზმულობის გამო აღარ ანაღვლებს.

## „დანაშაული და სასჯელი“- პრეზიდენტების სამაგიდო წიგნი

ბრიტანული „ტაიმსი“ აქვეყნებს ნაწყვეტებს ალბანეთის პრეზიდენტის სალი ბერიშასათვის ჩამორთმეული ინტერვიუდან, სადაც გამოთქვამს თავის აზრს ქვეყანაში შექმნილ სიტუაციასა და მისი გაუმჯობესების შესაძლებლობებზე. სამხედრო ყოფნა, პრეზიდენტის აზრით, დასაშვებია ჰუმანიტარული დახმარების ქარავნების ბადრაგის სახით, ხოლო გაეროს მუდმივი კონტიგენტის ბოსნიური ვარიანტი ალბანეთში ვერ გამოდგება. როგორც სალი ბერიშას მიაჩნია, ფინანსური პირამიდების გაკოტრებას ხალხი მას არ აბრალებს და არ ემტერება, ვინაიდან ვიღაცას ხომ უნდა შეეწყვიტა ეს უმსგავსობა, ხოლო მთავრობის გადატრიალება პრეზიდენტის თქმით „მეტისმეტად აგონებს ლათინურამერიკულ ვარიანტს“. პრესასთან პრეზიდენტის დიალოგი უფრო მეტად წააგავდა ანკეტირებას. მას ეკითხებოდნენ საყვარელი წიგნების, შვილებისა და შვებულების გეგმების შესახებ. აღმოჩნდა, რომ პრეზიდენტს ნდომებია დაისვენოს ქვეყნის ჩრდილოეთში, იხეტიალოს მთებში, ჯერჯერობით კი, მოცალეობის ჟამს ჰემინგუეისა და დოსტოევსკის კითხულობს. მემუარების წერას არ აპირებს, ხოლო მისაბაძ ნიმუშად მიაჩნია უინსტონ ჩერჩილი.



## ჰეილ-ბოპის კომეტა დედამიწას არაფერს ავნებს

პარასკევს მეოცე საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე კაშ... შა კომეტა — ჰეილ-ბოპის კომეტა დედამიწას მინიმალ... მანძილით მიუახლოვდა. მაისის დამლევს იგი კვლავ ... ტოვებს მზის სისტემის ფარგლებს და, ასტრონომების ... ანგარიშებით, დედამიწას ხელახლა მოუახლოვდება დაახ... ებით 24 საუკუნის შემდეგ.

სურათზე: იაპონიაში კომეტას სურათი გადაუღეს ... ძიამის ვულკანის ფონზე.

## რუმინელ ჟურნალისტებს ბრალდება მოეხსნათ

ბუქარესტის სასამართლომ გადასინჯა უფრო დაბალი ინსტანციის განაჩენი, რომლის თანახმად ორი ჟურნალისტი ბრალეულად ცნეს იმაში, რომ ისინი უხეშად ესხმოდნენ თავს ყოფილ პრეზიდენტს. სტანესკუმ და არდელეანუმ განაცხადეს, რომ ყოფილი პრეზიდენტი იონ ილიესკუ სუკ-მა მოისყიდა ჯერ კიდევ 1950-იან წლებში, როდესაც იგი მოსკოვში სწავლობდა. ჟურნალისტები აცხა... ბენ, რომ არ არიან ბოლომდე კმაყოფილებული, ვინაიდან ... ხლი, რომლის თანახმად მათ ... ედოთ მსჯავრი, კვლავინდებურ... მოქმედებს სისხლის სამართ... კოდექსში. სტანესკუმ ყოფილ პ... ზიდენტს შესთავაზა სას... რთლოში უჩივლოს მათ ცი... წამებისათვის, როგორც ჩვეუ... ბრივმა მოქალაქემ, და ნუ ა... ეფარება გენერალური პროკ... ტურის ზურგს. ბრალდებას ა... 10 დღე, რათა გაასაჩივრონ ... ლებული გადაწყვეტილება.

## კეთილდღეობის ზრდა — სტატისტიკის გაყალბების გზით

რუსეთის სტატსახკომის ანგარიშის თანახმად, იანვარში მთლიანი შინაგანი პროდუქტის ზრდამ შეადგინა 0,1 პროცენტი, ხოლო თებერვალში – 0,9 პროცენტი. ამავე დროს, როგორც როიტერის სააგენტო იუწყება, ეს ზრდა უწინარეს ყოვლისა სტატსახკომის გაანგარიშების მეთოდიკის ცვლილებათა შედეგია. სტატსახკომმა ფარული ეკონომიკის როლის შეფასება 1997 წელს გაზარდა მთლიანი შინაგანი პროდუქტის 20-დან 25 პროცენტამდე. მაგრამ 1996 წლის შესაბამის გაანგარიშებებში ეს მესწორება არ შეუტანია. ა... ადასტურებს გაზეთი „ფაინენ... ტაიმსი“-ს 25 მარტის სტ... რომელშიც ნათქვამია, რ... მთლიანი შინაგანი პროდუ... შესწორების გათვალისწინებ... იანვარში კი არ გაზრდი... არამედ 6%-ით შემცირდა. გარ... ამისა, გაანგარიშების ახალი მ... თოდიკის მიხედვით, თებერ... ლში ამ მაჩვენებლის ზრდამ ს... ერთოდ 5 პროცენტი შეადგი... რაც იმდენად აშკარა ტყუი... იყო, რომ იძულებული გახდნ... ციფრი 0,9 პროცენტამდე შე... ცირებინათ.



ბალზური ტრადიციისამებრ, ბაზელის მცხოვრებნი მხიარულად აღნიშნავენ გაზაფხულის დადგომას. ქალაქის ქუჩებში შვეიცარიელი ბერი... კები დადიან.

## გაფართოებული ნატო შტაბბინაში ველარ ეტევა

ნატო განიხილავს ბრიუსელიდან თავისი შტაბბინის გადატანის შესაძლებლობას, ვინაიდან შენობა, რომელიც მას უკავია, მეტისმეტად პატარა და დაძველებულია, იუწყება ფრანს პრესი. სიტუაციას ვერ შველის ვერც ახალი კორპუსები, სადაც უნდა განლაგდნენ „სამშვიდობო თანამშრომლობის“ პროგრამით მომუშავე თანამშრომლები. ერთი მათგანის თქმით, ეს კორპუსები ასაწყობ სახლებს უფრო ჰგავს, პრობლემას აღრმავებს ის, რომ უახლოეს მომავალში ბლოკის შემადგენლობაში ახალი წევრები შევლენ. ნატოს გენერალურმა მდივანმა ხავიერ სოლანამ ბლოკის 16 ახლანდელ წევრს მიმართა თხოვნით, წარუდგინონ თავიანთი წინადადებანი ამ პრობლემაზე. უკვე შემოვიდა წინადადებანი, ამენდეს ახლი შტაბბინა წინანდელ ადგილზე, ანდა გადაიტანონ ბონში მას შემდეგ, რაც გერმანიის მთავრობა ბერლინში გადავა. საბოლოო გადაწყვეტილებას მიმდინარე წლის ივნისში მიიღებენ კონსენსუსის საფუძველზე.

## კლინტონს ბალტიისპირეთის ღალატს აბრალებენ

აშშ პრეზიდენტს ბილ კლინტონს კრიტიკის ქარცეცხლი დაატეხეს თავს კონსერვატორებმა. ისინი ბრალად სდებენ პრეზიდენტს, რომ უღალატა ბალტიისპირეთის ქვეყნების ინტერესებს და არ შეიყვანა ნატოში მიღების კანდიდატთა პირველ სიაში, აგრეთვე ძალზე ბევრი რამ დაუთმო რუსეთს რაკეტსაწინააღმდეგო ტექნოლოგიების შემუშავების შეზღუდვის დარგში.

## არაფატმა „მწვანე შუქი“ მისცა ტერორისტებს

„იასირ არაფატი ტერორიზმის სულისჩამდგმელია“, — განაცხადა ისრაელის სამხედრო დაზვერვის შეფმა გენერალ-მაიორმა მოშე იალონმა. იგი იმოწმებს აგენტურის მონაცემებს და ამტკიცებს, რომ მარტის დამლევს ღაზაში გამართულ საიდუმლო შეხვედრაზე, რომელშიც სხვებთან ერთად მონაწილეობდნენ პალესტინელთა ფუნდამენტალისტური ორგანიზაციების, მათ შორის „ჰამასის“ მოძრაობის თავკაცები. პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ლიდერმა არაფატმა „მწვანე შუქი“ მისცა ანტიისრაულ ტერორს. ეს არის პასუხი ბენიამინ ნეთანიახუს მთავრობის გადაწყვეტილებაზე, დაიწყონ ებრაელთა ახალი საცხოვრებელი უბნის ხარ-ხომის მშენებლობა იერუსალიმის აღმოსავლეთ, არაბულ ნაწილში.



## ბირთვული ნარჩენები — დასაქმების საწინდარი

გაზეთი „ჯერმანი ლაივი“ აქვეყნებს მასალას, რომელიც ეძღვნება ევროპაში სახელმწიფოთა ეკონომიკური თანამშრომლობის გაფართოებას. გაზეთს მაგალითად მოჰყავს გერმანიის, საფრანგეთისა და რუსეთის ერთობლივი გეგმები, რომლებიც მიზნად ისახავენ გადაამუშაონ რუსეთის ბირთვული ნარჩენები კოსმოსური რაკეტების ზეთანამედროვე სათბობად. გაზეთის ინფორმაციით, ამ ქვეყნების მთავრობათა უახლოესი გეგმებით ნავარაუდევია გაიხსნას მთელი რიგი ასეთი გადამმუშავებელი საწარმოები. გაზეთი აგრეთვე აღნიშნავს, რომ ეს პროექტები არგებს არა მარტო რუსეთს, რომელიც მარტოდმარტო ვერ აუდის უამრავ რადიაქტიულ ნაგავს, არამედ აგრეთვე დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყანასაც. კერძოდ, მარტო ამ პროექტის განხორციელების შედეგად სრული სიმძლავრით ამოქმედდება საფრანგეთისა და გერმანიის მთელი რიგი ფაბრიკები, რომლებსაც აქამდე დახურვა ემუქრებოდა.

## კამიკაძეებს სამოთხეს ჰპირდებიან

ისრაელის უშიშროების სამსახურის „შინ-ბეტის“ აზრით, 28 წლის პალესტინელმა მუსა გნეიმატმა, რომელიც ტერორისტ - კამიკაძედ ითვლებოდა, არ იცოდა, რა ბედი ელოდა. შეგახსენებთ, რომ წინა ევირას თელ-ავივის კაფეში მოხდა აფეთქება, რომლის შედეგადაც დაიღუპა 4 და დაიჭრა 40-მდე კაცი. ხელისუფლებმა დაადგინეს, რომ ასაფეთქებელი მოწყობილობა ჩადებული იყო ჩანთაში, რომელიც მუსა გნეიმატმა მიიტანა. ასოშიეიტედ პრესი იმოწმებს ისრაელის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს და იუწყება: გამომძიებელთა აზრით, გნეიმატს უბრალოდ შეაჩეჩეს ჩანთა და გაგზავნეს თელ-ავივში, არკი უთქვამთ, რომ მასში ასაფეთქებელი მოწყობილობა იყო. ასეთი დასკვნა გამოიტანა უშიშროების სამსახურმა, როდესაც გააანალიზა პალესტინელის წარსული. ჩვეულებრივ, „ჰამასისა“ და „ისლამური ჯიჰადის“ ტერორისტული დაჯგუფებები ტერაქტების შესასრულებლად ირჩევენ ახალგაზრდა, მარტოხელა და უმუშევარ პალესტინელებს და მათ ჯილდოდ სამოთხეში მოხვედრას ჰპირდებიან. გნეიმატს კი ოთხი შვილი ჰყავდა. გარდა ამისა, მას არ დაუტოვებია გამოსათხოვარი წერილი, როგორც ამას ჩვეულებრივ აკეთებდნენ კამიკაძე-ტერორისტები.

## სმის მოძულეებს ჭკუასუსტობა ემუქრებათ

ფრანგებმა, ღვინის დიდმა მოტრფიალეებმა, მასში კიდევ ერთი უებარი თვისება აღმოაჩინეს, იუწყება „დეილი ტელეგრაფი“. თურმე, ხანდაზმულობის ჟამს დღეში სამ-ოთხ ჭიქა ღვინოს შეუძლია თავიდან აიცილოს კაცს სიბერის ჭკუასუსტობის ნიშნები, აგრეთვე ალცჰაიმერის დაავადების განვითარება. კვლევის შედეგები ყოველთვიურ „ნევროლოგიურ მიმოხილვაში“ გამოქვეყნდა და ცხოველი ინტერესი გამოიწვია. ქალაქ ბორდოს უნივერსიტეტის ნევროლოგთა გუნდი ცხრა წლის განმავლობაში აკვირდებოდა ხანდაზმულთა ჯგუფს, რომლებიც ყოველდღიურად იღებდნენ ზომიერი რაოდენობის ღვინოს, ანუ სვამდნენ სამ-ოთხ ჭიქას. თუმცა, საცდელ მოხუცთა პროგრესი აშკარა იყო, ექიმები გადაჭრით ვერ ამბობენ, რას მიეწერება სამკურნალო თვისებები – ალკოჰოლს, თუ ღვინის სხვა ინგრედიენტებს. მედიკოსებმა აგრეთვე განაცხადეს, რომ კვლევას აფინანსებდნენ არა მეღვინეები, არამედ სადაზღვევო და ფარმაცევტული კომპანიები. ჩვეულებრივ, ადამიანები ღვინოს სვამენ, რათა რაღაც დაივიწყონ, ახლა კი, დალევენ, რათა უკეთ დაიხსომონ, წერს დასასრულ – „დეილი ტელეგრაფი“.

## მასხადოვი: არ აჰყვეთ პროვოკაციებს!

ჩეჩნეთის პრეზიდენტის თანაშემწემ ვახა არსანოვმა განაცხადა, რომ ეგრეთ წოდებულმა „ომის პარტიამ“ მოსკოვში დაიქირავა ჩეჩენი მოღალატეები რუსეთის სამ ქალაქში ტერორისტული აქტების მოსაწყობად, რათა ჩაშალოს მიმდინარე მშვიდობიანი მოლაპარაკება. მასხადოვმა მოუწოდა ჩეჩენ ხალხს დაირაზმონ მშვიდობის დასამკვიდრებლად და დამოუკიდებელი სახელმწიფოს ასაშენებლად, აგრეთვე განაცხადა, რომ გარკვეული ქვეყნის სადაზვერვო სამსახურები ავრცელებენ ხმას, რომ 1 აპრილს ჩეჩნეთში პუტჩი მოხდება და მიმართა მოსახლეობას მოწოდებით, არ აჰყვეს ამ ქვეყნის პროვოკაციებს.



პეკინში, სადაც ახლა სილამაზის სალონების მშენებლობის ბუმი შეიმჩნევა, ყველაზე იაფად შეიძლება თმის გაკრეჭა... ქუჩაში. 40 ცენტად ქუჩის დალაქები ისე გიცვლიან სახეს, რომ ახლობლებიც ვერ გიცნობენ.

## უნგრეთი: კიდევ ერთი სკანდალი

ქვეყნის სადაზვერვო სამსახურების ორი თანამშრომელი დაითხოვეს იმ ცნობების გამოქვეყნების შემდეგ, რომ სპეცსამსახური აგროვებდა ინფორმაციას სოციალისტ დეპუტატებზე ისე, რომ ეს არ იცოდნენ არც სპეცსამსახურების მინისტრმა ნიკოლინმა და არც პარლამენტის ეროვნული უშიშროების კომიტეტმა. როგორც აქაური პრესა იუწყება, სადაზვერვო სამსახური თვალყურს ადევნებდა ორგანიზებულ დანაშაულებრივ დაჯგუფებათა კავშირს ფერენც ბაჟასთან, გარემოს დაცვის საქმეთა მინისტრთან და სოციალისტური პარტიის ლიდერთან. ეჭვმიტანილთა შორის იყვნენ აგრეთვე ლასლო პალი, ყოფილი მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრი (ამჟამად უნგრეთის ნავთობის კომპანიის პრეზიდენტი), პარლამენტის სპიკერი ზოლტან გალი, და დეპუტატი იგორ ბაჟორი. ნიკოლინმა წინა კვირას გამოსცა ბრძანება დაეწყოთ გამოძიება სახელმწიფო საიდუმლოებათა გაცემის ეჭვით.

## გზრ ჯანდაცვა: პრიორიტეტი - მაამებლებს და მაბეზღარებს

გერმანული გაზეთი ექსპრესი აქვეყნებს მასალას, რომელიც გერმანიაში ჯანდაცვის პრობლემებს ეხება. გაზეთის ინფორმაციით, ქვეყანაში მკვეთრად დაქვეითდა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების დონე. ამის მიზეზი გახდა ფსიქოლოგიური ხასიათის პრობლემები, რომლებიც სერიოზულ გავლენას ახდენენ პერსონალის მუშაობაზე. გაზეთს მოჰყავს მონაცემები, რომელთა თანახმად, გერმანიის კლინიკებში მომსახურე პერსონალს შორის სუფევს მექრთამეობა, სექსუალური „გამომძალველობა“, კარიერიზმი და ბეზღი. ეს მოვლენები ხდება მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ექიმებისა და მედდების უმრავლესობა სამუშაოს დაკარგვის შიშით იყენებს ყველა ხელმისაწვდომ საშუალებას, რათა შეინარჩუნოს ადგილი. გაზეთი აგრეთვე აღნიშნავს, რომ ამის შედეგად ექიმთა კვალიფიკაციის დონეს ხელმძღვანელობა აფასებს იმისდა მიხედვით, თუ როგორ აამებენ ისინი და როგორ გამოიჩენენ თავს კოლეგების ხარჯზე. „ექსპრესს“ მოჰყავს ფაქტები, რომელთა თანახმად სამედიცინო დაწესებულებებში გამეფებულმა ამგვარმა ფსიქოლოგიურმა კლიმატმა გამოიწვია წამყვან სპეციალისტთა კატასტროფული უწიგნურობა და პაციენტებს შორის სიკვდილიანობის მკვეთრი ზრდა.

## სერბეთის „ბკ ტელევიზიონი“ მაუწყებლობას განაგრძობს

მას შემდეგ, რაც ბელგრადის ეკონომიკურმა სასამართლომ დამოუკიდებელი ტელეკომპანიის „ბკ“-ის სასარგებლოდ და სერბეთის ფოსტა-ტელეგრაფისა და ტელეფონის სამსახურის საწინააღმდეგოდ მიიღო გადაწყვეტილება, ტელესადგურმა განაახლა მაუწყებლობა სამხრეთ სერბეთის ტერიტორიაზე. კავშირგაბმულობის უწყებამ უარი უთხრა სატელევიზიო სადგურს გადამცემი ხაზის გამოყენებაზე იმასთან დაკავშირებით, რომ ტელეარხი ვითომდა არ ისტუმრებდა დაეალიანებას და არღვევდა ლიცენზირების სხვადასხვა წესებს. მაუწყებლობის განახლებისთანავე „ბკ ტელევიზიონმა“ გადასცა პოლიტიკური პროგრამა – მრგვალი მაგიდა, რომლი... მონაწილენი განიხილავდნე... ქვეყანაში მასობრივი ინფო... რმაციის საშუალებათა თა... ვისუფლების პრობლემებს. „ერთობის“ კოალიციის ლი... დერმა ვუკ დრაშკოვიჩმა გა... ნაცხადა, რომ დემონსტრა... ციები განახლდება, თუ ქვე... ყანაში არ იქნება პრესის რე... ალური თავისუფლება.

## აიკრძალა ნაბოკოვის „ლოლიტა“

ვოლგოგრადის საქალაქო საბჭომ ადგილობრივ აღმასრულებელ ხელისუფლებას მოსთხოვა აკრძალოს გამოჩენილი მწერლის ვლადიმერ ნაბოკოვის „ლოლიტას“ თეატრალური დადგმა. საბჭოს წევრები აცხადებენ, რომ 12 წლის გოგონას და მოხუცი „რომეოს“ მიჯნურობის ამბავი ამორალურია და ზნეობრივ ვნებას მოუტანს ქალაქის ახალგაზრდობას.

## მილიცია კერძო ფირმებს აღარ დაიცავს

მოსკოვის მილიციის უფროსმა გენერალ-ლეიტენანტმა ნიკოლოზ კულიკოვმა გამოსცა ბრძანება, რომელიც დედაქალაქის მილიციის თანამშრომლებს უკრძალავს კერძო ფირმებისა და ცალკეული მუშაკების დაცვას. გადაწყვეტილება მიიღეს მას შემდეგ, რაც გამოირკვა, რომ მოსკოვის მილიცია პერსონალურად იცავდა რუსეთის დედაქალაქის ორგანიზებული დამნაშავე... ობის ერთ-ერთ ხელმძღ... ვანელს. ბიზნესმენისა და კოპტევის დანაშაულებ... რივი დაჯგუფების ერთ-ერთი ხელმძღვანელი ვლა... დიმერ ნაუმოვის მკვლე... ლობის შემდეგ გამომძი... ებლებმა აღმოაჩინეს, რომ მას იცავდა მოსკოვის სპე... ცდანიშნულების რაზმი — „სპეცნაზი“ ძირითადი მო... რიგეობისაგან თავისუფალ საათებში.

უცხოეთის გაზეთების, სააგენტოების, საინფორმაციო ბიურო „მედიანას“ და „პლანეტა-ფორტეს“ მასალების მიხედვით.

მოამზადა
არჩილ მანჯგალაძემ.

GCF

ლაზიერი

№6

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციისა და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ერთობლივი ყოველთვიური გამოცემა

## ფედერაციაში

# წლის შედეგები შეჯამდა

26 მარტს გაიმართა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის აღმასკომის სხდომა, რომელიც გახსნა ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა ვაჟა შუბლაძემ. აღმასკომის წევრებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, საჭადრაკო კომპოზიციაში საერთაშორისო არბიტრის რევაზ თავარიანის და ცნობილი მწვრთნელის და საჭადრაკო კომპოზიტორის შამილ დახნის ხსოვნას. საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმის მიერ 1996 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის შესახებ მოხსენება გააკეთა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა დავით გურგენიძემ. ფედერაციის საფინანსო და სარევიზიო კომისიის ანგარიში წარმოადგინა სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ თამაზ ტაბატაძემ. კამათში მონაწილეობა მიიღეს ნონა გაფრინდაშვილმა, ზურაბ აზმაიფარაშვილმა, თამაზ გიორგაძემ, გურამ მაჭავარიანმა, გიორგი მაჭარაშვილმა, ტრისტან გელაშვილმა.

აღმასკომმა ფედერაციის პრეზიდიუმის 1996 წლის მუშაობა წარმატებულად შეაფასა.

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის აღმასკომის შემადგენლობაში არჩეულ იქნენ: საერთაშორისო დიდოსტატი თამაზ გიორგაძე, საერთაშორისო ოსტატი რომან სიჭინავა და იმერეთის და კახეთის რეგიონების წარმომადგენლები გიორგი სერჟანოვი და ლევი სამხარაძე.



ალმასკომის მუშაობა შეაჯამა ფედერაციის პრეზიდენტმა ვაჟა შუბლაძემ.

# საიუბილეო თარიღები

დაბადების საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ საერთაშორისო ოსტატი და საერთაშორისო არბიტრი საჭადრაკო კომპოზიციაში ვაჟა ნეიძე და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გიორგი კაზარიანი.

# უმასპინძლებს პულა

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმმა დაამტკიცა საქართველოს ქალთა ნაკრები გუნდის შემადგენლობა: მაია ჩიბურდანიძე, ნანა იოსელიანი და ქეთევან არახამია. ისინი 5 მაისიდან პულაში (ხორვატია) ევროპის გუნდურ ჩემპიონატში იასპარეზებენ. ვაჟთა გუნდის შემადგენლობა „ლაზიერის“ წინა ნომერში გაგაცანით: ზურაბ აზმაიფარაშვილი, გია გიორგაძე, ზურაბ სტურუა, გენადი ზაიჩიკი და გიორგი ყაჭეიშვილი.

## პაექრობა

# ნონა მაინც ნონაა

სლოვენიის ქალაქ ბლედში 15-23 მარტს ჩატარდა დიდი საჭადრაკო ფესტივალი. „ა“ ტურნირში 62 მოჭადრაკეს შორის ბევრი ცნობილი დიდოსტატი გახლდათ. ნონა გაფრინდაშვილი მთელი ტურნირის მანძილზე ლიდერთა შორის იმყოფებოდა და რომ არა დასანანი მარცხი VIII ტურში ცნობილ დიდოსტატ ბორა კურაიცასთან, შედეგი გაცილებით უკეთესი ექნებოდა. თუმცა, ნონამ 5 ქულით 9 შესაძლებლიდან ქალთა შორის პირველი პრიზი მოიპოვა.

დიდოსტატებთან მიხალჩიშინთან, დელჩევთან და სხვებთან ნათამაშევი პარტიების ხარისხი მოწმობს, რომ ნონა გაფრინდაშვილი ჩვეულ სპორტულ ფორმაში შედის.

„ბ“ ტურნირში 58 მონაწილეს შორის თელაველი ფიდეს ოსტატი ანა მათნაძეც იყო. იგი ამჟამად ნონა გაფრინდაშვილთან მეცადინეობს. მათნაძემ მშვენივრად ითამაშა და 6,5 ქულით III ადგილი დაიკავა.

# ლომინეიშვილის წარმატება

მოსკოვი. მარტის დასაწყისში აქ ჩატარდა ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი 12 მოჭადრაკის მონაწილეობით. 7,5 ქულით პირველი ადგილი დაიკავა ვეტერანმა დიდოსტატმა რატმირ ხოლმოვმა. 7 ქულით მეორე ადგილზეა მოლდოველი დიდოსტატი ვიქტორ კომლიაკოვი. 6,5 ქულით მესამე საპრიზო ადგილი გაიყვეს მოსკოველმა დიდოსტატმა იგორ ზაიცევმა და დიდოსტატმა მაია ლომინეიშვილმა. მაიამ, ვაჟთა შორის საერთაშორისო ოსტატის პირველი ბალის ნორმა შეასრულა.

## საქართველოს ვაჟთა 57-ე ჩემპიონატი

# დაწინაურდა გიორგი ყაჭეიშვილი



გიორგი ყაჭეიშვილი

მეორე კვირაა თბილისის ჭადრაკის სასახლეში მიმდინარეობს საქართველოს ვაჟთა ტრადიციული (ამჟამად ღია), 57-ე ჩემპიონატის უმაღლესი ლიგა, რომელიც 30 მარტს დამთავრდება. სათამაშო დარჩა მხოლოდ ორი ტური. ჩემპიონატში, რომელიც შვეიცარიული სისტემით, თერთმეტ ტურად ტარდება, 55 მოჭადრაკე მონაწილეობს, მათ შორის 14 ქალი და ოთხი სტუმარი (ერთი ირანიდან და სამი სომხეთიდან).

სპორტული ბრძოლა თავიდანვე დაიძაბა. სტარტზე ერთპიროვნული ლიდერობა ხელთ იგდო ახალგაზრდა ალექსანდრე მაკარაშვილმა (3-დან 3 ქულა), მაგრამ მეოთხე ტურიდან იმრავლა ლიდერთა რაოდენობამ. მეხუთე ტურის შემდეგ ისინი შვიდნი იყვნენ (4-4 ქულა), მეექვსეს შემდეგ სამნი — გიორგი ყაჭეიშვილი, იური ჩიქოვანი და გიორგი ბახტაძე (5-5 ქულა). მეშვიდე ტურში ერთპიროვნული ლიდერი გახდა ყაჭეიშვილი, რომელმაც ჩიქოვანი დაამარცხა. მან მერვე ტურში სძლია გურჯაანელ იოსებ კვირიაშვილს. ამ დღეს გია ბაღათუროვმა მოუგო ჩიქოვანს, არტურ ჩიბუხჩიანმა (სომხეთი) — ალექსანდრე ელიშერაშვილს, დაზავდნენ რომან სიჭინავა — ბახტაძე, ჯამბულ მახარაძე — ალექსანდრე ყაშაშვილი.

გუშინ გაიმართა მეცხრე ტურის შეხვედრები. ბოლოსწინა, მეათე ტურის წინ ლიდერთა მდგომარეობა ასეთია: ყაჭეიშვილი — 8 ქულა, 6,5 ქულა აქვს 5 მოჭადრაკეს: ბახტაძეს, სიჭინავას, ლგებუაძეს, მახარაძეს და ჩიბუხჩიანს.

დღეს მეათე ტურია.

## ჭადრაკს - სახელმწიფოებრივი ზრუნვა!

***ქართული** საჭადრაკო სკოლის მიღწევები მთელ მსოფლიოში ფართოდ არის ცნობილი. წლების განმავლობაში თავდადებულმა შრომამ მოგვიტანა ეს დიდი აღიარება. მონაპოვარს გაფრთხილება უნდა, ტრადიციებს კი განსაკუთრებული ზრუნვა და ყურადღება. ამიტომაც არის, რომ ბოლო დროს ქვეყნის მესვეურები მეტ ინტერესს იჩენენ ჭადრაკის მიმართ. ამის ნათელი დადასტურებაა შარშან დეკემბერში გამოქვეყნებული საქართველოს პრეზიდენტის ბატონ ედუარდ შევარდნაძის სპეციალური ბრძანებულება „საქართველოში ჭადრაკის განვითარების ღონისძიებათა შესახებ“, რაც ქართული საჭადრაკო სკოლის შემდგომი წინსვლის უტყუარი საწინდარია. თბილისის ჭადრაკის სასახლეში ამჟამად მიმდინარე საქართველოს ვაჟთა ღია ჩემპიონატი იმის ნათელი მაგალითია, რომ ნიჭიერ მოჭადრაკეთა ახალგაზრდა თაობა გვყავს როგორც გოგონათა, ისე ვაჟთა შორის. სათანადო თანადგომა და ხელშეწყობაა საჭირო, რომ თითოეულმა მათგანმა გზა გაიკაფოს საერთაშორისო სარბიელზე, უფრო ხშირად იასპარეზოს უმაღლესი კატეგორიის ტურნირებში.*

# ხელშეწყობა, თანადგომა



ზურაბ კუტალაძე

— ქართველ მოჭადრაკეთა მარშრუტები წლეულსაც მრავალფეროვანი იქნება. — გვითხრა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ზურაბ კუტალაძემ. — ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შეჯიბრება, რომელშიც ისინი მიიღებენ მონაწილეობას, ეს გახლავთ ევროპის გუნდური ჩემპიონატი ქალთა და ვაჟთა შორის. ამ ასპარეზობისათვის ჩვენი მოჭადრაკეები 14 აპრილიდან ორკვირიან შეკრებას ლიკანში გაივლიან. ბორჯომში უწინაც არ შევმლია ხელი და, იმედია, სათანადო ორგანოები წლეულსაც არ მოგვაკლებენ ყურადღებას, მით უმეტეს, რომ პრეზიდენტის ბრძანებულებით საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურს (ირაკლი ანდრიაძე) დაევალა, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის განაცხადის საფუძველზე შეუფერხებლად გამოგვიყოს ადგილები სანატორიუმ „ბორჯომ-ლიკანისა“ (მთავარი ექიმი პეტრე იოსელიანი) და მისდამი დაქვემდებარებულ სხვა საკურორტო დაწესებულებებში დიდოსტატებისა და ნაკრები გუნდებისათვის სათანადო სავარჯიშო პირობების შესაქმნელად.

ფაქტია, რომ ნებისმიერ შეჯიბრებაზე გამგზავრება გარკვეულ ხარჯებს და მგზავრობასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას მოითხოვს. ბრძანებულებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს (დავით იაკობიძე) და სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტს (კახი ასათიანი) დავალებული აქვთ, ყოველწლიურად უზრუნველყონ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საერთაშორისო კალენდრით გათვალისწინებული ოფიციალური შეჯიბრებების პრიორიტეტული დაფინანსება. საქართველოს საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტმა (ზურაბ ჭანკოტაძე) კი ავიარეისებზე, მათ შორის საერთაშორისო, შეუფერხებლად უნდა გამოგვიყონ მოჭადრაკეებისათვის ავიაბილეთები. გულახდილად უნდა ვთქვათ, რომ მათგან თანადგომა სხვა დროსაც არ გვაკლდა. უარი არასდროს უთქვამთ. აღსანიშნავია საქართველოს საკონსულო დეპარტამენტის (დირექტორი ჰამლეტ ჭიპაშვილი), საპასპორტო ვიზების სამმართველოს (უფროსი მარიამ ქამუშაძე) და მათი თანამშრომლების — ინგა მარუაშვილის, ქრისტინე მეფარიშვილის, ლენა ოსოხოვას და ნატალია აბაზაძის გულისხმიერება. ისინი შეუფერხებლად გვიმზადებენ ყველა საჭირო დოკუმენტაციას — იქნება ეს პასპორტი, ნოტები თუ ვიზების გაფორმება. გულისხმიერად ეკიდებიან ჩვენს თხოვნას გერმანიის, საფრანგეთის, ისრაელისა და საბერძნეთის საკონსულოები და საელჩოები. მადლიერების გრძნობით გვინდა მოვიხსენიოთ ავიაკომპანიების — „ორბის“ (ვასილ ჯამბაზიშვილი), „ეარ ჯორჯიას“ (დემურ ლელაძე) ხელმძღვანელები და ვნუკოვოს ავიახაზების გენერალური წარმომადგენელი საქართველოში ლავრენტი გულავაძე, რომლებიც ავიაბილეთებს ნებისმიერი მიმართულებით შეუფერხებლად გვაწვდიან შეღავათიან ფასებში.

ჩვენი ფედერაციისა და მოჭადრაკეების სახელით დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ყველას, ვინც დახმარების ხელს გვიწვდის, და თანადგომას არ გვაკლებს. ქართველი მოჭადრაკეები შეეცდებიან მათდამი გამოჩენილ ზრუნვას საერთაშორისო სარბიელზე გამარჯვებებით უპასუხონ. ამ წარმატებებში თითოეული მათგანის წვლილიც იქნება.

ესაუბრა

ვაჟა დანელია.

## ეხმარებიან...

**ზუგდიდში**, ენგურქალალდკომბინატის კულტურის სასახლეში გაიმართა შემეცნებით-გასართობი საქველმოქმედო შოუპროგრამა, რომლის ინიციატორები იყვნენ სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის სახაზინო საწარმოსა და შემოქმედებითი ფირმა „მაგიოს“ ხელმძღვანელები.

მიზანი გახლდათ სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის მოჭადრაკეთა გუნდის ევროპის კლუბების თასზე გამგზავრების ფინანსური უზრუნველყოფა.

ოდიკ ქუხილავა,

„სრ“ საკ. კორ.

# ტურნირებიდან — ტურნირებზე


დიანა დარჩია


ლელა ჯავახიშვილი

**თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა საქართველოს ჩემპიონატები 16 და 20 წლის მოჭადრაკე გოგონათა და ჭაბუკთა შორის.**

**გთავაზობთ ამ ტურნირების ტექნიკურ შედეგებს. (პირველი ათი მონაწილის ჩათვლით).**

20 წლის გოგონები. თბილისი. 18-27 თებერვალი. 37 მონაწილე

| | | |
|---|---|---|
| 1. | დიანა დარჩია | 7 ქ. |
| 2. | სოფიკო ტყეშელაშვილი | 7 „ |
| 3. | მირანდა ხორავა | 7 „ |
| 4. | რუსუდან გოლეთიანი | 6,5„ |
| 5. | ნათია აფხაიძე | 6 „ |
| 6. | ინგა ჭარხალაშვილი | 6 „ |
| 7. | თინა ყველიაშვილი | 5,5 „ |
| 8. | ნინო მაისურაძე | 5,5 „ |
| 9. | მირანდა ცინარიძე | 5,5 „ |
| 10. | ქეთევან ჯამიაშვილი | 5,5 „ |

16 წლის გოგონები 4-13 მარტი. 38 მონაწილე

| | | |
|---|---|---|
| 1. | ლელა ჯავახიშვილი | 7 „ |
| 2. | ინგა ჭარხალაშვილი | 7 „ |
| 3. | ნანა წიქარაშვილი | 6,5 „ |
| 4. | სოფიკო ხუხაშვილი | 6,5 „ |
| 5. | თინა ყველიაშვილი | 6 „ |
| 6. | ნინო ვაჭარაძე | 6 „ |
| 7. | სოფიკო გვეტაძე | 5,5 „ |
| 8. | ანა მათნაძე | 5,5 „ |
| 9. | ნინო მაისურაძე | 5,5 „ |
| 10. | ნონა დათუაშვილი | 5,5 „ |

20 წლის ჭაბუკები. 40 მონაწილე

| | | |
|---|---|---|
| 1. | გიორგი ბახტაძე | 7,5 |
| 2. | მიხეილ მჭედლიშვილი | 7 „ |
| 3. | დავით შენგელია | 6,5 „ |
| 4. | ლევან აროშიძე | 6 „ |
| 5. | ვახტანგ ჩიქოვანი | 6 „ |
| 6. | მიხეილ ჯამბგიძე | 6 „ |
| 7. | ბადრი დარსანია | 6„ |
| 8. | ალექსანდრე ედიშერაშვილი | 5,5.„ |
| 9. | ალექსანდრე მაკარაშვილი | 5,5 „ |
| 10. | აკაკი შარაშენიძე | 5,5 „ |

16 წლის ჭაბუკები 37 მონაწილე

| | | |
|---|---|---|
| 1. | ვალერი გაფრინდაშვილი | 7,5 „ |
| 2. | ზვიად ქამადაძე | 7 „ |
| 3. | მიხეილ ჯამაგიძე | 7 „ |
| 4. | ბაადურ ჯობავა | 6,5 „ |
| 5. | თამაზ მგელაძე | 6 „ |
| 6. | აკაკი შარაშენიძე | 5,5 „ |
| 7. | ლევან აროშიძე | 5,5 „ |
| 8. | მერაბ გაგუნაშვილი | 5,5 „ |
| 9. | მიხეილ ყოჩიაშვილი | 5,5 „ |
| 10. | კონსტანტინე შანავა | 5,5 „ |

ამ ტურნირების დამთავრების შემდეგ ცნობილი გახდა, რომ 16 წლის მოჭადრაკეთა მსოფლიო ჩემპიონატში საქართველოდან ითამაშებენ ლელა ჯავახიშვილი და ვალერი გაფრინდაშვილი. ამ ასპარეზობის ჩატარების ადგილი და ვადები ჯერჯერობით უცნობია. ევროპის ჩემპიონატი 9-18 აგვისტოს ტალინში გაიმართება. მასში ინგა ჭარხალაშვილი და ზვიად ქამადაძე დაიცავენ ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას. 20 წლის მოჭადრაკეთა ევროპის ჩემპიონატსაც ესტონეთის დედაქალაქი უმასპინძლებს. იმედია ევროპის შარშანდელი ჩემპიონი მაია ლომინეიშვილი, სოფიკო ტყეშელაშვილი და გიორგი ბახტაძე გაახარებენ ჭადრაკის ქართველ გულშემატკივრებს.

მაია ლომინეიშვილი 20 წლის მოჭადრაკეთა მსოფლიო ჩემპიონატშიც იასპარეზებს დიანა დარჩიასთან და გიორგი ყაჭეიშვილთან ერთად. შეჯიბრება პოლონეთის ქალაქ ზაგანში (13-28 ივლისი) ჩატარდება.

ლელა თანდაშვილი.


გიორგი ბახტაძე


ვალერი გაფრინდაშვილი

## პრაქტიკა

**როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ლინარესის დიდ საერთაშორისო ტურნირში შესანიშნავად ითამაშა ქართველმა დიდოსტატმა გია გიორგაძემ. მან ბოლო ტურში დაამარცხა პოლონელი დიდოსტატი ვოიტკევიჩი და პირველი ადგილი დაიკავა. გთავაზობთ ამ პარტიას გია გიორგაძის კომენტარებით.**

# ხელმეორედ მოგებული პარტია

ლინარესი პატარა პროვინციული ქალაქია ესპანეთის სამხრეთით. იგი მსოფლიოსთვის ნაკლებად ცნობილი იქნებოდა, რომ არა საჭადრაკო ტურნირები. პირველად სწორედ ლინარესში დაედო საფუძველი დიდოსტატთა სუპერ-ტურნირების ჩატარებას. მათ პარალელურად მიმდინარეობს ღია ტურნირები. წლეულს რიგით მეოთხე ტურნირში მონაწილეობდნენ ისეთი ცნობილი დიდოსტატები, როგორებიც არიან არტურ იუსუპოვი (გერმანია), ალექსანდრე ხალიფმანი (რუსეთი), ენტონი მაილსი (ინგლისი), მიხაილ შუბა (რუმინეთი) და სხვები.

ტურნირი თავიდანვე კარგად დავიწყე, რაც მთავარია პარტიების ხარისხით ვიყავი კმაყოფილი. ბოლო ტურის წინ, საჭადრაკო ენაზე რომ ვთქვათ, + 5 (ანუ 5 მოგება და 4 ყაიმი) დამიგროვდა. მეათე ტურში თეთრი ფერის ფიგურებით ვეთამაშებოდი ალექსანდრე ვოიტკევიჩს, რომელიც ნახევარი ქულით მისწრებდა.


გია გიორგაძე

**გ. გიორგაძე — ა. ვოიტკევიჩი**

ლინარესი 1997

**სლავური დაცვა.**

პარტიის წინ გადავწყვიტე ამერჩია ისეთი პოზიცია, რომელშიც პოზიციური მანევრირების საშუალება მექნებოდა.

1. d4 d5 2. c4 c6 3. მc3 მf6 4. e3 კ f5 5. cd cd 6. ლb3 კc8 7. კb5 მc6 8. მ f3 e6 9. მe6 კd7 10. მd7 მd7 11. 0-0 კe7 12. კd2 0-0 13. მa4!

ეს უკვე თეორიული სიახლეა, რომლის იდეა პარტიის დროს დამებადა. თავიდან განზრახული მქონდა უბრალოდ გამეძლიერებინა პოზიცია 13. ეfc1, მაგრამ დროულად შევნიშნე შავების რეპლიკა 13... მa5 14. ლa4 მc4! და თეთრებს არ შეუძლიათ არცერთი მხედრის აღება. 13... a6 14. კc6 bc 15. კb4. პირველი კრიტიკული მომენტი. გადავწყვიტე კიდევ ერთი ფიგურის გაცვლა, შავებს ესპობათ კონტრთამაშის შანსიც კი, მაგრამ უფრო მარტივდება დაცვაც. როგორც ცნობილია, ერთი სისუსტის გამოყენება შეუძლებელია, ამიტომ ჩემი გეგმაა დამატებითი სისუსტეების შექმნა.

15... ეb8 16. კe7 ლe7 17. ლc2 ეfc8 18 ეfc1 ლb4 19. b3 g6 20. ლd3 ლb5 21. ლ c3 ეc7 22. ეc2 ეbc8 23. ეac1 a5 24. h3 h5 25. h4 თეთრები ენდშპილის სათამაშოდ ემზადებიან 25... მფf8? 26. მc5 მფe7 27. ლ e1! არ ვარგოდა 27. ლd2 მc5 28. ეc5 ლ b4 და ლაზიერი d2-ზე დაუცველია. 27... ე a8 28. e4 ლb4 29. ლe3 მc5 30. ეc5 de 31. ე1c4 ლb6 32. ლe4 ეd8 33. ლe5 ე d6

სხვა სიტუაციაში, ავიღებდი პაიკს a5-ზე და რამდენიმე სვლაში პარტიასაც მოვიგებდი. მივხვდი, რომ ამ პრესტიჟულ ტურნირში გამარჯვებამდე რამდენიმე სვლა მრჩებოდა და გადავწყვიტე ცენტრში გარღვევის იდეა გამეტარებინა.

34. d5? f6! ვარიანტების გათვლისას ეს სვლა შევნიშნე, მაგრამ დიდი ხნის ფიქრის შემდეგ შავების რეპლიკა გამომრჩა. 35. ლg3 ეd5 36. ეd5 ed 37. ეf4 მფf7 38. ლf3 c5 39. ლ d5 ლe6 40. ლa8 ლe1 41. მფh2 მფg7

აქ ცაიტნოტი დამთავრდა და მივხვდი, რომ პარტია ხელმეორედ უნდა მომეგო. პირველ რიგში აუცილებელი იყო ნერვების მოთოკვა. საბედნიეროდ, ეს სწრაფად შევძელი.

41. ლf3 ლe5 42. g3 ეd7 43. ეe4 ლd6 44. ლe3 ეc7 45. ლc3 ლb6 46. ლc4 საჭიროა ნაბიჯ-ნაბიჯ ფიგურების პოზიციების გაუმჯობესება და შავების სისუსტეების გამოყენება.

46.... ლb4 47. ლd3 ლb7 48. ეe8 ეe7 49. ეd8 ლe4 50. ლc3 ლb4 51. ლe2 a4.

52. ba c4 53. ეc8 ლe1 შავებმა თითქმის მიაღწიეს მიზანს. არ ვარგა 54. ეc4 ეe2 55. ეc7 მფh6 56. ლc1 ლc1 57. ეc1 ეf2 5.8 მფg1 ეa2 საყაიმო პოზიციით.



54. ლb2!

საინტერესოა, რომ ამ სვლას დარბაზში მყოფი მაყურებელი ვერ ხედავდა. ჩვენი პარტია ტურნირში ყველაზე ბოლოს დამთავრდა და მოჭადრაკეები ინტერესით ადევნებდნენ თვალს მის მსვლელობას. ამ სვლამდე ვოიტკევიჩი კმაყოფილი გამოიყურებოდა. 54.... ლe2 55. ლd4 ლf3 56. a5 მფh6 57. ლd2 მფg7 58. a6 ლd3 59. ლf4 c3 60. ეc7 ვოიტკევიჩმა საათი გააჩერა, რადგან მოსალოდნელი ლაზიერების ენდშპილი იოლად იგება.

## გამარჯვება ირანში

თეირანში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო 12 ქვეყნის 38-მა მოჭადრაკემ. ტურნირი შვეიცარიული სისტემით 9 ტურად გაიმართა.

საქართველოდან შეჯიბრებაში მიწვეულები იყვნენ სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს თანამშრომელი საერთაშორისო ოსტატი თამაზ ტაბატაძე და სენაკელი საერთაშორისო ოსტატი რომან სიჭინავა.

თამაზ ტაბატაძემ სტარტზე სამი პარტია მოიგო და რუს დიდოსტატ ლეონიდ იურტაევთან და სომეხ საერთაშორისო ოსტატთან ალექსანდრე ხაჩიანთან ერთად დაწინაურდა. მათ შორის გაჩაღდა ძირითადი ბრძოლა ტურნირში გამარჯვებისათვის.

საბოლოოდ, იურტაევმა 8 ქულით პირველი ადგილი დაიკავა, თამაზ ტაბატაძემ 7 ქულით მეორე პრიზი მოიპოვა, რომან სიჭინავამ 5 ქულა მოაგროვა და მე-5-8 ადგილები გაინაწილა.


თამაზ ტაბატაძე

## განუმეორებელი

# როგორ ისჯება აგრესიულობა

ჯეიმს პარი ბლეკბერნი (1841-1925) იყო XIX საუკუნის ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკე. თამაში გვიან დაიწყო, მაგრამ 19 წლის ასაკში უკვე წარმატებებს აღწევდა მანჩესტერის საკლუბო ტურნირებში. 1862 წლიდან მოყოლებული მონაწილეობდა უამრავ საერთაშორისო ტურნირში: იმავე 1862 წელს ითამაშა დაფაზე დაუხედავად 10 მოჭადრაკის წინააღმდეგ, რითაც საყოველთაო გაოცება გამოიწვია.

ბლეკბერნის წარმატებები წლითიწლობით იზრდებოდა. 1872 წელს იგი მეორე იყო ლონდონის საერთაშორისო ტურნირში, 1873 წელს 1-2 ადგილები გაიყო ვენაში სტეინიცთან. 1878 წელს პარიზში მესამე პრიზი მოიპოვა, 1880 წელს ვისბადენში 1-3 ადგილები გაიყო. 1883 წელს მეორე ადგილზე გამოვიდა ნიურნბერგში, 1885 წელს გაიმარჯვა ჰართფორდში, 1886 წელს 1-2 ადგილები გაიყო ლონდონში. 1889 წელს ნიუ-იორკის უძლიერესი შემადგენლობის ტურნირში მეოთხე პრიზი მოიპოვა, 1890 წელს მანჩესტერში – მეორე, 1891 წელს ლონდონში – მეორე, 1897 წელს ლონდონში – მესამე.

ბლეკბერნმა 72 წლის ასაკში ითამაშა პეტერბურგის დიდოსტატთა ტურნირში. აქ 11 უძლიერესი დიდოსტატი გამოდიოდა და ინგლისელს მეცხრე ადგილი შეხვდა.

ბლეკბერნი განთქმული იყო თავისი მოიერიშე, კომბინაციური სტილით. მან ბევრი სპეციალური ჯილდო მოიპოვა ლამაზად ჩატარებული პარტიებისათვის.



გივი გამრეკელი

**ბლეკბერნი — ტარაში**

(ლაიფციგი, 1894 წელი)

ლაზიერი პაიკის დასაწყისი

1. d4 d5 2. მ f3 c5 3. dc აქ სხვა შესაძლებელი გაგრძელებებია 3. კf4 ან 3. g3

3... e6

თუ 3... ლa5 4. მbd2 ლc5 5. e3 მ c6 6. a3 და თეთრებს ერთგვარი უპირატესობა აქვთ:.

4. e4

კარგი სვლაა. უარესია 4. a3 კc5 5. b4 კd6 6. კf2 მf6 7. e3 0-0 8. მbd2 a5! შავებისათვის უკეთესი თამაშით. (სვიდერსკი – შლეხტერი, ნიურნბერგი, 1906 წელი).

4.. კc5 5. კb5 მc6 6. ed ed 7. 0-0 მde7

წარმოიქმნა ფრანგული დაცვის, ტარაშის სისტემისათვის დამახასიათებელი პოზიცია. აქ არ ვარგოდა მ f6 ?!, რასაც მიყვებოდა 8. მ c3 0-0 9. კg5 კe7 10. კf6 კf6 11. ლd5 კc3 12. ლd8 ეd8 13. bc თეთრების უპირატესობით.

8. მc3 0-0 9. კf4 კg4 10. კe2 a6 11. h3 კe6

პოზიცია შეიძლება შევაფასოთ, როგორც დაახლოებით თანაბარი.

12. a3 მg6 13. კh2 კa7

არ იყო ამ სვლის აუცილებლობა, სჯობდა 13... f5 თეთრების შავუჯროვანი კუს თამაშიდან გამორთვის მუქარით.

14. ლd2 d4 15. მe4 b5?

შეცდომაა. აქ კვლავ სჯობდა f5. თუ 16 მ eg5, მაშინ კd5 შავებისათვის კარგი თამაშით.

16. ეad1 h6

ტარაში ნებაყოფლობით ასუსტებს საკუთარი მეფის ფრთას, რაც შემდეგ შესამჩნევი გახდება.

17. კd3 მფh8 18. ეfe1 ლd7 19. მg3 ეad8 20. მe2 ლc8

აქ სჯობდა 20... კd5

21. კe4 კd5 22. მf4 მf4 23. კf4 კe4 24. ეe4 ეfe8 25. ეde1 ეe4 26. ეe4 ლf5

პოზიციის საგრძნობი გამარტივების მიუხედავად მდგომარეობა საკმაოდ მწვავეა.

27. ლd3 ლd5 28. მe5 მe7 29. კd2 f6 30. მf3 მc6 31. ეh4 ლc4 32. ლg6 მe7



ახლა, როცა შავების ძირითადი ძალები მოცილდნენ მეფის ფრთას, ბლეკბერნს საშუალება ეძლევა ჩაატაროს ეფექტური საფინალო კომბინაცია ეტლის შეწირვით.

33. ეh6! gh 34. ლf6 მფg8 35. ლe7 ლ c8 36. მe5 და შავები დანებდნენ.

ბლეკბერნმა პარტიის დიდი ნაწილი თავშეკავებულად წარმართა და როდესაც ტარაშმა, ამ დროისათვის მსოფლიო ჩემპიონობის ერთ-ერთმა უახლოესმა პრეტენდენტმა, ზედმეტი აგრესიულობა გამოიჩინა, დაუყოვნებლივ დასაჯა იგი.

## რეგიონულ ორგანიზაციებში

# უყურადღებოდ არავინ დარჩენილა

ქუთაისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის საჭადრაკო კლუბში ჩატარდა იმერეთის მხარის პირველი ჩემპიონატი ჭადრაკში ვაჟთა შორის. შეჯიბრებაში 34 მოჭადრაკე მონაწილეობდა. მათი უმეტესობა ქუთაისელი გახლდათ, დანარჩენები კი სამტრედიის, ხონის, წყალტუბოს, ტყიბულის, ზესტაფონის, ბაღდათის და თერჯოლის წარმომადგენლები იყვნენ. ტურნირი შვეიცარიული სისტემით, 9 ტურად ჩატარდა.

. პირველი ადგილი ქუთაისელმა ნუკრი მანაგაძემ დაიკავა. მან 9 თამაშიდან 8 ქულა მოაგროვა. თანაქალაქელი მერაბ მეტრეველი გამარჯვებულს ქულით ჩამორჩა. 6,5-6,5 ქულა აქვთ ივანე მაჩიტიძეს და გიორგი ტყეშელაშვილს (ორივე ქუთაისი). 6-6 ქულით მომდევნო ადგილებზე არიან ზვიად იზორია (ხონი), ტარიელ მოდებაძე (ქუთაისი) და ნიკოლოზ ლეკვეიშვილი (სამტრედია).

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ გამარჯვებული მოჭადრაკეები დაჯილდოვდნენ შესაბამისი ხარისხის დიპლომებით და ფულადი პრიზებით, ხოლო შეჯიბრების ყველაზე უხუცესი მონაწილე ავთანდილ ბოჭორიშვილი და ყველაზე უმცროსი გიორგი ჯავახაძე, აგრეთვე ნორჩი მოჭადრაკეები ნიკოლოზ ჯიმშელეიშვილი, დავით ჯოჯუა, ბექა ჭიჭინაძე, შორენა ჯიმშელეიშვილი, ანა იზორია, სალომე ჭოხონელიძე, მაკა ლონდარიძე, ალექსანდრე აბდალაძე, ფარნაოზ ნიჟარაძე, ალექსანდრე გეგუჩაძე და ირაკლი ბაზაძე დაჯილდოვდნენ ქუთაისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის სიგელებით და ფასიანი საჩუქრებით.

სამწუხაროდ, შეჯიბრებაში მონაწილეობა არ მიუღია ჭიათურის, საჩხერის, ვანის და ხარაგაულის მოჭადრაკეებს.

ჩემპიონატის საზეიმო დახურვის შემდეგ მოეწყო ტურნირი ელვისებურ ჭადრაკში, რომელშიც ოცი მოჭადრაკე ასპარეზობდა.

ამ ტურნირში გაიმარჯვა დავით ჯავახაძემ. მეორე ადგილზეა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი თენგიზ ხარლამილი, მესამეზე კი ოსტატი ბესარიონ ხეცურიანი.

შეჯიბრების ჩატარებაში დიდი წვლილი შეიტანა მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის მთელმა კოლექტივმა (დირექტორი გურამ ძოწენიძე).

**გიორგი სერჟანოვი,**
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

## სტუდენტის წარმატება

თელავი. რაიონის პირველობაში 10 მოჭადრაკე ჩაება. პირველი ადგილი დაიკავა სტუდენტმა გიორგი რუსიაშვილმა. მეორე და მესამე ადგილები გაიყვეს რუისპირის და თელავის საჭადრაკო კლუბების მასწავლებლებმა სოსო შაშვიაშვილმა და დავით ტყავაძემ. ტურნირის მთავარი მსაჯი იყო თენგიზ ცისკარიშვილი.

**დევი სამხარაძე,**
კახეთის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარე.

## წარსულის ფურცლები

# დედოფალი ულოცავს დედოფალს




მსოფლიო ჩემპიონატის ტიტულის დაკარგვა ხუმრობა საქმე როდია. ალბათ, ამიტომაც ამბობდა სტეინიცი, რომ ჭადრაკი მხოლოდ სულით ძლიერთა თამაშიაო. თავად სტეინიცი რომ დამარცხდა ლასკერთან (1894 წ.), მატჩის დასკვნითი პარტიის დამთავრებისთანავე წამოდგა და ხმამაღლა, ყველას გასაგონად წარმოთქვა: სამჯერ ვაშა ახალ მსოფლიო ჩემპიონს!

სამწუხაროდ, ასე როდი იქცეოდნენ შემდგომში დამარცხებული ჩემპიონები. ბევრ მათგანს არ ჰყოფნიდა ნებისყოფა, რომ ღირსეულად შერიგებოდა აუნაზღაურებულ დანაკლისს.

1927 წელს კაპაბლანკამ მატჩი რომ წააგო, ალიოხინს გამარჯვება პატარა ბარათით მიულოცა. იგი არც საზეიმო ბანკეტს დაესწრო. იცით რა მოჰყვა ამას? ალიოხინი ჯერ გაებუტა კაპაბლანკას, მერე ალარც ესალმებოდა, ბოლოს კი მტრებად იქცნენ: ცხადია, ალარ შედგა მატჩ-რევანში, რომელზეც ოცნებობდა კაპაბლანკა.

შემდგომ ჩემპიონებს მაინცდამაინც არ შეუწუხებიათ თავი გამარჯვებული მეტოქის მილოცვით. მხოლოდ ტალმა, ამ დიდი ბუნების კაცმა, დაარღვია ეს „წესი“, როცა მიულოცა ბოტვინიკს ჩემპიონის ტიტულის დაბრუნება. უფრო ხშირად დამარცხებული, თუნდაც პრეტენდენტი, აუგად იხსენიებს გამარჯვებულს. ამის მკაფიო მაგალითია ბრონშტეინის მოგონებები (იხ. ჟურნალი „შახმატი ვ როსიი“, 1996 წ.).

გაგებით, მშვიდად ხვდებოდნენ დამარცხებას მსოფლიო ჩემპიონი ქალები. მე დავესწარი რუდენკო – ბიკოვას მატჩის საზეიმო დახურვას ლენინგრადში 1953 წელს. ბიკოვას ოფიციალურად მიულოცეს გამარჯვება.

1962 წელს ბიკოვამ მატჩი რომ წააგო ნონა გაფრინდაშვილთან, უარი თქვა დახურვისას მისალოცი სიტყვებით გამოსვლაზე. გამიკვირდა, რადგან ვიცოდი მისი აზრი, რომ ნონამ ღირსეულად მოიპოვა ჩემპიონის ტიტული. ვკითხე: რატომ არ გსურთ საჯაროდ მიულოცოთ ნონას? ეს არ არისო მიღებული. ისტორია არ გაპატიებთ-მეთქი არაგულწრფელობას. დამიჯერა (ჩვენ ახლოს ვიცნობდით ერთმანეთს), სიტყვითაც გამოვიდა და შესაფერისადაც შეამკო ნონა, რომელსაც დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა (მართალი აღმოჩნდა!) და თავისი ახალი წიგნი „ვერა მენჩიკი“ აჩუქა გულთბილი წარწერით.

მაგრამ ისე როგორც ნონამ მიულოცა გამარჯვება მაიას, ალბათ მხოლოდ დიდი ბუნების, ამაღლებული სულის ადამიანს შეუძლია ასე მოქცევა.

1978 წლის 5 ოქტომბერს ბიჭვინთის კულტურის სასახლეში მიმდინარეობდა გაფრინდაშვილი – ჩიბურდანიძის მატჩის ბოლოსწინა, მეთხუთმეტე პარტიის დამთავრება. ნონას მხოლოდ მოგება აძლევდა ხელს, რადგან მაია წინ იყო ორი ქულით, ამიტომ შეუპოვრად ცდილობდა მცირე უპირატესობის რეალიზაციას. მაია „კერკეტი კაკალი“ აღმოჩნდა – თავგამოდებით უვნებელყოფდა მუქარას, ბოლოს მიაგნო ყაიმის ეტიუდურ გზას, რაც გამარჯვების ტოლფასი იყო.

აი, ამ პარტიის ფინალი:

**გაფრინდაშვილი — ჩიბურდანიძე**



80. მ d3! (მაია ამჟღავნებს e6 და e5 პაიკების სისუსტეს, მათზე თავდასხმით აიძულებს შავებს ყაიმს დასჯერდნენ) 80... კg4 81. მფf2 მფf6 82. მb4 კd7 83. მფf3 h3 84. მფ g3 მფe7 85. მd3 მფf6 86. მb4 (საყაიმო მექანიზმი მოქმედებაშია) 86.... მფe7 87. მ d3 მფf6 88. მფ:h3 კe8 89. მფg3 კg6 90. მფf3 კh5 91. მფe3 კd1 92. მb4 კa4 93. მd3 კb5 94. მc1.



თენგიზ გიორგაძე

ყაიმი გარდაუვალია, ნონა შეურიგდა ბედს.

„ნონა წამოდგა, – წერდა გაზეთი „კომსომოლსკაია პრავდა“ 7 ოქტომბრის ნომერში, – მაიას ხელი ჩამოართვა და აკოცა ახალ ჩემპიონს. მაია მარტო დარჩა ნოხით მოფენილ ვეებერთელა სცენაზე და დაბნეული ბავშვის თვალებით იყურებოდა კულისებისკენ, საითაც წავიდა მისი მეტოქე, დედოფალი, კერპი...“ ნანახით აღელვებული დარბაზი დიდხანს უკრავდა ტაშს.

ნონას ასეთი გულწრფელი, მართლაც რაინდული მილოცვა იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ფოტოკორესპონდენტებმა ვერც მოასწრეს ფირზე მომენტის აღბეჭდვა. ეს მხოლოდ ვლადიმერ მაჩაბელმა შეძლო.

ეს ბევრისმეტყველი ფოტოსურათი ქართული ჭადრაკის საამაყო რელიქვიად მიმაჩნია. მერე იგი გამოვიყენე მატჩისადმი მიძღვნილი ჩემი წიგნის გარეკანზე, რომელსაც ერქვა „დედოფალი ულოცავს დედოფალს“.

ჩვენები

# შეუპოვარი

ახლა არა აქვს დიდი მნიშვნელობა, ვინ როგორ ითამაშებს რომელიმე საერთაშორისო ტურნირსა თუ ამხანაგურ მატჩში. მთავარი, როგორც ყოველთვის, მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ორწრიანი ასპარეზობაა. დაიკავებ პირველ ან მეორე ადგილს – ბრწყინვალე შედეგია, თუ არა – კიდევ სამ წელიწადს უნდა იცადო. კახიანს აქვს ესოდენ მნიშვნელოვან შეჯიბრებაში გამოსვლის გამოცდილება – 1990 წელს ბორჯომში მან ხომ მომავალ მსოფლიო ჩემპიონს სიუ ქუნს მოუგო. მაშინ ქეთინოს (დაიბ. 1971 წლის 11 სექტემბერს), რა თქმა უნდა, ამ დონის ასპარეზობისათვის სათანადო გამოცდილება არ ჰქონდა. ახლა?

კახიანის სპორტული ბიოგრაფია ჩვენი გულშემატკივრებისათვის კარგად არის ცნობილი, მაგრამ ზოგიერთი მომენტი მაინც ღირს გახსენებად. არც ერთ, ყოველ შემთხვევაში, ჩვენს ნაცნობ მოჭადრაკეს არ ჰქონია ისეთი მჭიდროყოველდღიური „კალენდარი", როგორც ქეთევანს. თვითონ განსაჯეთ: დილით სკოლა დიდ ლილოში, შემდეგ ავტობუსი თბილისისაკენ, ხანგრძლივი მუშაობა ჭადრაკის სასახლეში ჩვენს ჩინებულ მწვრთნელ გოგი მაჭარაშვილთან, საღამოზე შინ დაბრუნება და გაკვეთილების მომზადება. ხვალ ყველაფერი ეს ზუსტად განმეორდება... როცა ამას ტურნირებში მონაწილეობაც დაერთო, გამოვიდა, რომ გოგონას პირდაპირ ამოსუნთქვის საშუალება არ ჰქონდა. ამას გაძლება უნდოდა, მაგრამ, როგორც დავით გურამიშვილმა ბრძანა: „ცოდნის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების"...

ბოლოს კი მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. ესოდენ ნიჭიერი ქალიშვილის შეუპოვრობამ ნაყოფი გამოიღო და თანაც როგორი! 1986 წელს შორეულ არგენტინაში 16 წლის გოგონების მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართა. შედეგი ბრწყინვალე, მაგრამ მაინც რამდენადმე გულდასაწყვეტი იყო – პირველი-მეორე ადგილები კატრინ ალაჯოვასთან, ჩემპიონობა კი ბულგარელს დარჩა. გამარჯვებულებმა ჩამოიტოვეს გენიალური იუდით პოლგარი. მართალია, „იუტკა" მაშინ... 10 წლისა იყო. არ შევუდგებით კახიანის სხვა წარმატებების ჩამოთვლას, ვიტყვით მხოლოდ, რომ იგი ზედიზედ ორჯერ გახდა მსოფლიო ჩემპიონი 20 წლის ქალიშვილებს შორის. ასეთი შედეგისათვის ახლა დიდოსტატის წოდებას ანიჭებენ და, რა თქმა უნდა, მაშინაც დიდი აღიარება ჰქონდა.

უკვე რამდენიმე წელიწადია ქეთევან კახიანი გერმანიაში ცხოვრობს, პატარა ქალაქ მუგენშტურმში, კარლსრუესთან ახლოს, საფრანგეთის საზღვართან. ქეთევანის მეუღლე იურგენ გერსინსკა-კარლსრუეს უდიდესი სადაზღვევო კომპანიის თანამშრომელი – ჭადრაკის ნამდვილი ფანატიკოსია, ბადენ-ბადენის პოპულარული ტურნირების ორგანიზატორი; თბილისში რომ ჩამოვიდა, თქვა: „არსად არ უყვართ გერმანელები ისე, როგორც საქართველოში". წლინახევრის შვილს ქეთევანმა ორი თავისი საყვარელი სახელი დაარქვა: დავითი და ვახტანგი. მეუღლეები ბადენის მხარის გერმანია-საქართველოს მეგობრობის საზოგადოების წევრები არიან. ამასთან, ქეთევანი საზოგადოების წევრებისათვის ხშირად ატარებს საუბრებს საქართველოს შესახებ. ამ საზოგადოებაში უმეტესად მოჭადრაკეები შედიან.

კახიანი გერმანიის № 1 მოჭადრაკეა – ამ ქვეყნის ნაკრებს მოსკოვისა და ერევნის საერთაშორისო ოლიმპიადებზე ხელმძღვანელობდა. კახიანი ერთდროულად თამაშობს ორ ბუნდესლიგაში: ქალთა შორის (აქ, მისი ინიციატივით, მალე ჩვენი მაია ლომინეიშვილიც დაიწყებს გამოსვლას), სადაც, რა თქმა უნდა, ყველას უგებს, და ვაჟთა კლუბ „სანქტ-ინგბერტში".



ქეთევანს ვარჯიშსა თუ პარტიების გარჩევაში მისი კლუბის წევრები ეხმარებიან. გიორგი მაჭარაშვილიც ახერხებს ჩასვლას გერმანიაში ან იმ ქვეყნებში, სადაც კახიანი თამაშობს. როცა გიორგის ვესაუბრეთ, მან განსაკუთრებით გაიხსენა კიშინიოვში ჩატარებული საზონათშორისო ტურნირი, რომელსაც მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტები უნდა შეერჩია. მონაწილეთა შორის ყველაზე მძიმე მდგომარეობაში სწორედ ქეთევანი აღმოჩნდა: მას ტურნირისათვის მომზადების საშუალება არ ჰქონდა – ერთი თვის ბავშვი ჰყავდა. არ გინდათ ასეთ პირობებში საპრიზო ადგილებისათვის იბრძოლო? არადა, ყოველგვარი პრეტენზია ხანგრძლივი დროით უნდა გადადო. ბევრი ექსპერტი ფიქრობდა, რომ ქეთევანი მიზანს ვერ მიაღწევდა. აი, სად გამოადგა მას ბავშვობის წრთობა და რიტმი, შეუჩერებელი მუშაობა, დიდი დატვირთვა. ახალგაზრდა დიდოსტატმა მშვენივრად გაანაწილა ძალები – ზოგჯერ ბრძოლას ამწვავებდა, ზოგჯერ, პირიქით, ყაიმის წინააღმდეგი არ იყო და ენერგიაც ბოლომდე შეინარჩუნა. ამრიგად, კახიანი უკვე მეორედ გახდა მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა ტურნირის მონაწილე.

ბუნებრივია, იბადება კითხვა: როგორი შანსი აქვს მას ესოდენ ძნელ და პრესტიჟულ ასპარეზობაში? მეტოქეებს ბევრჯერ შეხვედრია, მათ ძლიერსა და სუსტ მხარეებსაც კარგად იცნობს. ადრინდელ შედეგებს დიდი მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია სწორედ ახლა იყო მაქსიმალურ მზადყოფნაში, სწორედ ახლა ითამაშო კარგად. ასე რომ, ვნახოთ. მთელი 18 პარტიის თამაშს უდიდესი ენერგია სჭირდება, აქ კი შეიძლება ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორი კახიანის ახალგაზრდობა გამოდგეს.

**გივი ბამრეკელი.**

სურათზე: ქეთევან კახიანის ოჯახი.

კომპოზიცია

# შედევრთა ექო



ველიმირ კალანდაძე

*შეხედეთ ხელოვნების შედევრებს! მათი მშვენიერება აზრში სულდგმულობს.*
*(გოეთე)*

ჩვენი საუკუნე საეტიუდო ხელოვნების აყვავების ხანად ითვლება. მნიშვნელოვანია ქართველ ეტიუდისტთა წვლილი ამ ჟანრის განვითარებაში. ამის ნათელი დასტურია მათი ბრწყინვალე გამოსვლები ბოლო წლების მრავალ საერთაშორისო შეჯიბრებასა და კონკურსში. გამორჩეული ქართული საეტიუდო სტილი ხიბლავს ყველას, ჩვეულებრივ მოყვარულიდან დაწყებული, პროფესიონალ მოჭადრაკეთა ჩათვლით.

გაბედულია ქართველ ეტიუდისტთა ძიება ახალი იდეების განსახორციელებლად. ისინი ასევე წარმატებით იღწვიან ძველი კლასიკური იდეების ახლებურად წარმოსაჩენად. დღეს გავეცნოთ, თუ რა სიმაღლეზე აიყვანეს ქართველმა ეტიუდისტებმა ჰენრიხ კასპარიანის ერთი ბრწყინვალე იდეა.

**№1 ჰ. კასპარიანი, 1939 წ.**



თეთრები იგებენ

გავეცნოთ ამოხსნას, რომელიც დიდებულ შთაბეჭდილებას ტოვებს:

1.კg5 b3 2. ეd2 მფa1 3. f7 ეg5! 4. f8ლ ეg1 5. ეd1 ეg2 6. ლa3 ეa2 7.ე d2!! ეa3 8. ეb2 ეa2 9. ეb1X!

ლაზიერის შეწირვა და მოულოდნელი ეფექტური საშამათო ფინალი უდიდეს შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ მას კლასიკის მკაცრი კანონებით თუ განვიხილავთ, ეტიუდში შევნიშნავთ „პატარა ლაქებს". კერძოდ, ორი შავი პაიკი ფინალში ზედმეტად გამოიყურება. ჩნდება ბუნებრივი კითხვა, ხომ არ შეიძლება ეს იდეა გამოვსახოთ ამ პაიკების გარეშე? ეს პრობლემა გადაჭრეს ქართველმა ეტიუდისტებმა გია ნადარეიშვილმა და მერაბ გოგბერაშვილმა ეტიუდში, რომელიც გამოსახულია № 2 დიაგრამაზე.

**№2 გ. ნადარეიშვილი, მ. გოგბერაშვილი, 1991 წ.**



თეთრები იგებენ

1. ეa8 მფb1 2.e8ლ ეfe4 3. მფd2 ეbd4 4. მფc3 ეc4 5. მფb3 ეb4 6. მფa3 ეe8 7. ეe8 მფa1 8.ეe1 b1მ 9.ეb1 ეb1 10. ეa2X!

უაღრესად დახვეწილი ვირტუოზული თამაში ეფექტური შამათით მთავრდება. ნაწარმოები უნდა ჩაითვალოს ქართველ ავტორთა უდიდეს მიღწევად. იგი ნამდვილად ოქროს ფონდის შენაძენია.

აღნიშნული იდეა შემდგომ განზოგადებულია ველიმირ კალანდაძის ეტიუდში, რომელიც გამოსახულია № 3 დიაგრამაზე.

**№3. ვ. კალანდაძე, 1988 წ.**



თეთრები იგებენ

1. მფa8 ეe8 2. მფa7 ეe7 3. მფa6 ეe6 4. მფa5 ეa1 5. მფb5 ეb1 6. მფc4 ეc1 7. მფd3 e2 8. ეh1 e1მ 9. ეe1 ეe1 10. ეd2X.

ამჯერად მეფის ირგვლივ უჯრების ბლოკირებას უკვე ორი შავი ეტლი ანხორციელებს.

მერაბ გოგბერაშვილი შეეცადა უფრო დახვეწილი ფორმით წარმოედგინა აღნიშნული იდეა d4 პაიკის გარეშე.

**№4. მ. გოგბერაშვილი, 1989 წ.**



თეთრები იგებენ

1. ეa2 d2 2. მc2 ეa1 3. მფf4 e1ლ 4. მe1 მფe1 5. მფe3 d1მ 6.ლd1 ეd1 7. ეe2X.

მართალია, შამათი წარმოდგენილია კრისტალური ფორმით, მაგრამ ნაწარმოები ჯერ კიდევ შორს არის სრულყოფისაგან. მომავალშიც უნდა ველოდოთ ამ მიმართულებით საინტერესო ეტიუდების შექმნას.

## თქვენ როგორ ამოხსენით?

№ 1 გ. ხუციშვილი 1. კc7 მფd5 2. მფd3 მფc6 3. მფc4 მფb7 4. კd7;

№ 2 გ. მეავანაძე 1. b7 კe5 2. მe7 კd5 3. მd2 მფc4 4. მb3 მფe4 5. მc5 მფd4 6. მf5 X.

№ 3 ნ. ბესალაშვილი 1. მh3.

№ 4 რ. მარცვალაშვილი 1. კf5 მh4 2. კ h7 მf5 3. 0-0 მh6 X ტყუპისცალი: შავი ეტლი h8 გადავსვათ a8-ზე 1. კc8 მf4 2. კb7 მ d5 3. 0-0-0 მb6 X.

№ 5 ო. მამულაშვილი 1. მფc6 მფc8 2. ე d6 d4 3. კf1 კe2 4. b6 კa6 5. კb5 კb7 X. არის მეორე ამოხსნაც. 1. ეb4 d4 2. მფc6 d5 3. მფb5 d6 4. მფa5 d7 5. b5 d8ლ X.

## ანონსი

31 მარტი – 3 აპრილი. საქართველოს პირველობა სწრაფ ჭადრაკში ვაჟთა შორის. თბილისი.

4-13 აპრილი. საქართველოს ქალთა ჩემპიონატის ფინალი. თბილისი.

14-16 აპრილი. საქართველოს პირველობა სწრაფ ჭადრაკში ქალთა შორის. თბილისი.

17-24 აპრილი. ვახტანგ ქარსელაძის მემორიალი. თბილისი.

29 აპრილი – 8 მაისი. საქართველოს პირველობა 12 წლის ასაკის გოგონათა და ჭაბუკთა შორის. თბილისი.

# ორიგინალური შემოქმედება

**ვაგრძელებთ „ლაზიერის" საჭადრაკო ეტიუდების და ამოცანების შედგენის და ამოხსნის კონკურსს. პასუხები უნდა გამოიგზავნოს რედაქციის მისამართზე. საჭადრაკო დამატების მომდევნო ნომრის გამოსვლამდე.**

№ 6 ოთარ მამულაშვილი
რევაზ მარცვალაშვილი



შამათი 3 სვლაში

№ 7 თემურ ჩხეტიანი



შამათი 6 სვლაში

№ 8 ვაჟა ნეიძე



თეთრები იგებენ

GCF
ლაზიერი
სარედაქციო კოლეგია: დავით გურგენიძე (მთავარი რედაქტორი), ნანა ალექსანდრია, ანზორ ბასილაია, გივი ბამრეკელი, თენგიზ გიორგაძე, ბუხუტი გურგენიძე, ველიმირ კალანდაძე, გიორგი მახარაძე, ვაჟა მუზლაძე, კახა ჩიგოგიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დანიელ ხახიაშვილი – 70

# საქართველოსთან თანშეზრდილი



დანიელ ხახიაშვილის სახელი უცხო როდია მკითხველისათვის — იგი ჩვენი გაზეთის ერთგული ავტორია, ხშირად გვეხმაურება რაჭის მთიანეთიდან და გვამცნობს ხოლმე იქაურ ამბებს თუ საკუთარ გულისთქმას.

ბატონი დანიელი ხუთი პოეტური კრებულის ავტორიც არის. 25 მარტს მას დაბადებიდან 70 წლისთავი შესრულებია და ახალი ლექსები მოგვაგება. იგი მოდგმით ებრაელი, მაგრამ ოდითგან საქართველოსთან თანშეზრდილი, საქართველოს მზეს და მთვარეს იფიცებს, ქართული მიწის ერთგულია, მიწისა, რომელმაც 26 საუკუნის წინათ იშვილა მისი წინაპრები.

ვულოცავთ დანიელ ხახიაშვილს საიუბილეო თარიღს და ვუსურვებთ თანხმად მისი სტრიქონებისა, ათას წელს ეცოცხლოს:

„ათასი ლექსი უნდა
დავწერო,
უნდა დავხატო ათასი
დილა,
ათასი წელი უნდა
ვიცოცხლო,
რომ ერთი წუთი
ვიცხოვრო ტკბილად“

ღმერთმა გისმინოთ, ბატონო დანიელ!

ნანა ღვინეფაძე.

### სამოცდაათის გავხდი!..

ნუთუ დავბერდი განა,
წლები რა სწრაფად გარბის,
მუზა მაინც არ გაცვდა, —
სამოცდაათის გავხდი.

იყო რამდენი ჯვარცმა
იყო წუთები განცდის,
იქიდან რაღა დამრჩა,
სამოცდაათის გავხდი!

გულო რამდენ ცრემლს მალავ,
გულო გაუძღელ წადილს,
ღმერთო, მომმადლე ძალა,—
სამოცდაათის გავხდი!

მქონდა რამდენი სითბო,
ამოწვდილ მახვილს ვგავდი, —
ცეცხლი ეკიდა სტრიქონს, —
სამოცდაათის გავხდი.

თავისუფლების დროშას
მეც ბრძოლით ვწევდი ცამდი,
რა დიდებულად მოჩანს, —
სამოცდაათის გავხდი.

ლექსს ვაგებებდი ცისკარს,
გულში განთიადს ვრგავდი,
ვგმობ საპირადო მიზანს, —
სამოცდაათის გავხდი!

ჩემი ყოველი წუთი
სუნთქავს ეპოქით ახლით,
ხალხს,. ხალხს ეკუთვნის გული, —
სამოცდაათის გავხდი!

მხოლოდ სიმართლე მწამდა
და კაცი მწამდა ნაღდი.
სამშობლოსათვის მზად ვარ,—
სამოცდაათის გავხდი.

ისევ სავსე ვარ რწმენით
ღვთის განგებით და მადლით,
შენთვის სამშობლოვ, შენთვის
სამოცდაათის გავხდი.

თუმცა კი ვიღაც შორით
მომძახის — დათმე ტახტი!
არა! როდი ვარ მძორი,—
სამოცდაათის გავხდი.

წინ ისევ ცისკარს ვხედავ
ახალ-ახალი განცდით.

გული ძალუმად ფეთქავს,—
სამოცდაათის გავხდი!

რა მამოძრავებს ნეტავ,
ტალღა რომ ტალღას მახლის,
მერე რა, რომ ვარ კენტად, —
სამოცდაათის გავხდი!

ამ საუკუნის ლელოს
გავლევ მრუდე გზის ავლით,
მადლობა საქართველოს, —
სამოცდაათის გავხდი!

### საქართველოდან ისრაელამდე

საქართველოდან ისრაელამდე
ცრემლის ზღვა ბრწყინავს,
მე ცოცხალი ვარ, შენ კი
ბერშავის მიწაში გძინავს.

გამეფებულა შენს საფლავზე
მწუხარე სევდა,
მზე უდაბნოსი გადგია თავზე
სხვას ვერას ხედავ.

აქ კი რიონის ლურჯი ტალღა
შენს მხარულს ნატრობს,
გიხმობს, გეძახის მშობელი რაჭა
საანდამატოდ.

ყველა ოცნება შორს არის ახლა,
ხარ მარტოდ-მარტო,
თვალცრემლიანი უფლის წინ
დგახარ,
ცხარედ კამათობ:

— რა დავაშავე, რომ სიცოცხლე
წამართვი, ღმერთო?
არ ჩანს პასუხი, ღამეა ბნელი,
დუმილი მეფობს.

ყველა ძახილი და საყვედური
იკარგება უდაბნოს ქარში,
კიპაროსები ამყარებენ
შენს გულთან კავშირს.

სად? საით მიჰქრის შენი ფიქრი,
ნეტავ, ვინ იცის,
შენი უთქმელი სევდა, და
დარდი
ჩემს გულში იფქვის.

უთქმელი სევდა ცრემლზედ
მეტია, —
სიკვდილზე ძნელი,
ვიცი ყველაფერს გირჩევნია
„ბუძუას“ ცრემლი.

ვაგლახ, რომ ესეც
ნატვრა არის აუხდენელი,
ამდენი თმენით და მოლოდინით,
მეც ყველაფერზედ ავიღე ხელი.

საქართველოდან ისრაელამდე
ცრემლის ზღვა ბრწყინავს,
მე ცოცხალი ვარ, ღმერთო ჩემო!
შენ კი ბერშავის მიწაში გძინავს.

### სამშობლოს ძახილი

ათასი წლობით მე გეძახოდი,
ხომ გაიგონე ჩემი ძახილი?
მზე ისრაელის ახლად ამოდის,
მშვიდობისათვის შეიბ მახვილი.

გათავდა, ყველა ცრემლი დაიფრქვა,
ყველა გრიგალებს გადაუვლია,
შენი სამშობლო არის ხაიფა,
შენი სამშობლო თელ-ავივია.

სად არ იცხოვრე, სად არ იარე,
ნიჭი და მკლავი სად არ გიცდია,
ეს სულ ერთია, სად დაიბადე,
ერუსალიმი შენი ფიცია.

ახალ ცხოვრების შენ ხარ
თამადა,
გმირების დასტას შენგან ელიან,
შენი სამშობლო არის ბერშავა, —
შენი სამშობლო ისრაელია.

ხომ გაიმარჯვე ბოლოს და ბოლოს,
მორჩი წამებას, მორჩი ხეტიალს,
ღმერთი, სამშობლო, თავისუფლება, —
ისრაელისთვის ყველაფერია!

რა დიდებულად ფერი იცვალე,
შენი დროშები ზეცას კოცნიან,
მომილოცნია — შენ გენაცვალე
მხრები რომ ცამდის აგიტყორცნია.

მადლობა უფალს,რომ გაიღვიძე,
რომ გაიგონე ჩემი ძახილი,
მეტი სიმხნევე, მეტი სიფხზილე,
მშვიდობისათვის შეიბ მახვილი!

# საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისაგან

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, თავისი წესდების მე-16 და მე-17 მუხლების შესაბამისად, აცხადებს ვაკანსიებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტების ასარჩევად შემდეგ სპეციალობათა მიხედვით:

| სპეციალობა | ვაკანსიები |
|---|---|
| **მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება** | |
| მათემატიკა | – 2 |
| ფიზიკა | – 2 |
| **დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება** | |
| გეოფიზიკა | – 1 |
| გეოლოგია | – 1 |
| გეოგრაფია | – 1 |
| **გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილება** | |
| ინფორმატიკა | – 1 |
| სამშენებლო მექანიკა | – 1 |
| სამთო მექანიკა | – 1 |
| ენერგეტიკა | – 1 |
| **ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილება** | |
| ქიმია | – 1 |
| მეტალურგია | – 1 |
| **ბიოლოგიის განყოფილება** | |
| ეკოლოგია | – 1 |
| პალეობიოლოგია | – 1 |
| მოლეკულური ბიოლოგია | – 1 |
| **ფიზიოლოგიისა და ექსპერიმენტული მედიცინის განყოფილება** | |
| უროლოგია | – 1 |
| რენტგენოლოგია | – 1 |
| **სოფლის მეურნეობის მეცნიერების პრობლემათა განყოფილება** | |
| სასოფლო-სამეურნეო კულტურათა სელექცია და გენეტიკა | – 1 |
| სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაცია და ელექტროფიკაცია | – 1 |
| **საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება** | |
| არქეოლოგია | – 2 |
| სოციოლოგია | – 1 |
| მაკროეკონომიკა | – 1 |
| ეკონომეტრიკა | – 1 |
| სამართლისმცოდნეობა | – 1 |
| **ენისა და ლიტერატურის განყოფილება** | |
| ქართული ენა | – 1 |
| ქართული ლიტერატურა | – 1 |
| კავკასიური ენები | – 1 |
| ქართულ-სომხური ფილოლოგია | – 1 |

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტებად შეიძლება არჩეულ იქნენ მეცნიერები, რომლებმაც მეცნიერებას დიდმნიშვნელოვანი შრომები შესძინეს.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტობის კანდიდატთა წამოყენების უფლება აქვთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრებს, სამეცნიერო დაწესებულებებს, სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო საზოგადოებებს.

სამეცნიერო დაწესებულებების, სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების და სამეცნიერო საზოგადოებების მიერ წამოყენებულ კანდიდატთაგან შესაბამისი სამეცნიერო საბჭოები კონკურსის საფუძველზე წევრ-კორესპონდენტობის კანდიდატებად შეარჩევენ იმ პირებს, რომლებიც ფარული კენჭისყრის შედეგად მიიღებენ ხმათა უბრალო უმრავლესობას.

ორგანიზაციებისა და აკადემიის წევრების მიერ დასახელებულ კანდიდატთა მონაცემები რეგისტრაციისა და არჩევნებში მონაწილეობისათვის არჩევნების შესახებ ცნობის გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში წერილობით ეცნობება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს.

მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტობის დასახელებისას აუცილებელია შემდეგი საბუთების წარმოდგენა (ორ ცალად): სამეცნიერო საბჭოს, სახელმწიფო დაწესებულების წარდგენა ან წერილი სათანადო დასაბუთებით კანდიდატის წამოყენების შესახებ, კანდიდატის ავტობიოგრაფია, კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, სამეცნიერო შრომების სია, სამეცნიერო მოღვაწეობის შეფასება და ფოტოსურათი 4X6 სმ ზომისა.

აღნიშნული მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

380008, თბილისი 8, რუსთაველის პროსპექტი, 52. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი.

საქართველოს მეცნიერებათა
აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი
**ა. თავხელიძე**

საქართველოს მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოს-მდივანი,
აკადემიკოსი
**ლ. გაბუნია**

## უკვდავი ფესვები



### აპოლონ ცანავა

### საუბრები ქართულ მითოლოგიაზე

„ნახეს, მზისა შესაყრელად
გამოეშვა მთვარე გველსა“
(რუსთაველი)

# 13. „ვეფხისტყაოსნის“ საკვანძო მითოლოგემები

მითოლოგემა ისეთი მეტაფორა-სიმბოლოა, რომელიც მითოსური წარმომადგენლების მხატვრულად გადააზრების შედეგადაა შექმნილი. მითისშემქნელისთვის მითოლოგემა, როგორც სიმბოლო-მეტაფორმა არ არსებობს, მისთვის მითოლოგემაში ნაგულისხმევ შინაარსს გადატანითი მნიშვნელობა არ გააჩნია.

„ვეფხისტყაოსანში“ მოხმობილი მითოლოგემები, როგორც მეტაფორა-სიმბოლოები, საოცარი ძალით ერწყმიან სიუჟეტის განვითარების მაგისტრალურ დინებას და ერთხელ კიდევ ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ შოთა რუსთაველი სისხლხორცეულად იყო დაკავშირებული მშობელი ხალხის უმდიდრეს ზეპირსიტყვიერებასთან, მის უძველეს მითოლოგიურ პანთეონთან, განსაკუთრებით კი კოსმოგონიური წარმოდგენებიდან მომდინარე მრავალგანზომილებიან მხატვრულ სახეებთან.

თვით სათაური — „ვეფხისტყაოსანი“ — თავისებური მითოლოგემაა, რადგან მასში, გარდა ნესტანის სახის მეტაფორისა, მოაზრებულია ქართველთა უძველესი წარმოდგენა ღვთაებრივ წმინდა ცხოველზე. ხევსურეთში ვეფხვის მოკვლა დიდ ცოდვად ითვლებოდა, რადგან მის ადამიანთა მოდგმის „გონი და სისხლი აქვ“. მისი მოკვლა უბედურების მომასწავებელი იყო. ამიტომ ვეფხვს ვაჟკაცის პერანგს აცმევდნენ, პატივით სთხოვდნენ და ადამიანივით მარხავდნენ. სვანური გადმოცემის მიხედვით, მოკლულ ვეფხვს აუცილებლად დაიტირებდნენ.

ვ. ივანოვი ვეფხვისა და ლეოპარდის მთავარ წმინდა ცხოველად მიჩნევას ხეთურ და მცირე აზიის მითოლოგიასთან აკავშირებს, ასახელებს „ვეფხისტყაოსანს“, „სიმღერა როლანდზე“ და დანტეს „ღვთაებრივ კომედიას“, სადაც ამ წმინდა ცხოველებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ. წმინდა ცხოველის ტყავს ატარებენ გილგამეში, ჰერაკლე, როსტომი. შოთა რუსთაველმა ღვთაებრივი წმინდა ცხოველის ტყავი ჩვენი ლიტერატურის უპირველეს გმირს ჩააცვა. ამ ფაქტით მინიშნებულია ტარიელის წილხვდომილობა, გამორჩეულობა, ღვთაებრივ ძალმოსილობამდე მისი ამაღლებულობა.

სამეცნიერო ლიტერატურაში ხაზგასმითაა მითითებული, რომ მითოლოგიურ საფუძვლებს ინარჩუნებენ ეპოსის კლასიკური ფორმები. მრავალი ეპიკური გმირის სახე გარკვეული ასპექტით შეფარდებულია ამა თუ იმ ღვთაებასთან, მის დანიშნულებასთან. ამის გამო სიუჟეტური სტრუქტურის ზოგიერთი მონაკვეთი რეპროდუქცირებულია ტრადიციული მითოლოგიებიდან. ტარიელის, ნესტანის, ავთანდილისა და თინათინის ამაღლებულობა შეფარდებულია მზისა და მთვარის ღვთაებრიობასთან, ხოლო ძმადნაფიცების ქმედებაში ასახულია ქართული კულტურული გმირების — ამირანის, ბადრისა და უსუბის, კოპალასა და იახსარის კოსმოგონიური ქმედებანი. როგორც ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი აბრუნებენ ქაჯაეთურ (ხთონურ) სამყაროში გადაკარგულ მთვარეს — ნესტანს, ასევე ამირანი, ბადრი და უსუბი, აგრეთვე კოპალა, იახსარი და გიორგი ნალვარმშვენიერი ქაჯაეთიდან აბრუნებენ მზე ყამარს ან სამძივარ-სამზევარს, გაზაფხულის სიმბოლოს ხორციელთა ქვეყანაში. როგორც ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი, ასევე ამირანი, ბადრი და უსუბი მთლიანად სპობენ ხთონური სამყაროს ბოროტ ძალებს — ქაჯებს, რომელთა დამორჩილება, გადმობირება ან მოსყიდვა არ შეიძლება.

ღვთისშვილები — კულტურული გმირები კოპალა, იახსარი, გიორგი ნალვარმშვენიერი და სხვები, მორიგე ღმერთისაგან ნაბოძები საგანგებო ლახტით ამარცხებენ ხთონურ ძალებს (დევ-კერპებს, ქაჯებს), ისევე, როგორც ტარიელის მიერ დევების ქვაბში ნაპოვნი მხოლოდ ქაჯებთან ბრძოლის დროს გამოსაყენებელი საკვირველი აბჯარით, ჯაჭვ-მუზარადითა და ალმასის ხმლით აღჭურვილი პოემის ძმადნაფიცი გმირები ამარცხებენ ქაჯების ურიცხვ ლაშქარს.

ქართული მითოლოგიური გადმოცემების მიხედვით, კულტურული გმირები კოპალა და იახსარი ახორციელებენ კოსმოგონიურ ქმედებას: ზეპირ (მიწის პირზე) მოარული დევების ერთ ნაწილს ფიზიკურად სპობენ, ნაწილს კი მიწისქვეშ განდევნიან. ასევე იქცევიან, აგრეთვე მითრა და წმინდა გიორგი. წმინდა გიორგის მიერ განდევნილი დევები ზღვის ფსკერზე მიიმალნენ, ხანდახან ადამიანებს ისინი ბუზების სახით თუ ეჩვენებოდნენ ხოლმე, კოპალასა და იახსარის მიერ განდევნილი „დევები გამიწრიელდნენ, ე. ი. უხილავ არსებებად იქცნენ, რომელთაც იდუმალადღა შეეძლოთ ვნების მოტანა“ ე. ი. დევების გამიწრიელება — უკვალოდ გაქრობა (წარხდომა) ქართული მითოლოგიის მყარი კულტურული მოდელია და მრავალნაირადაა წარმოდგენილი. როსტევან მეფემ მოსვენება დაჰკარგა, როგორ შეიძლებოდა, რომ უცხო მოყმე ცხენიანად ასე კვალწმინდად გამქრალიყო. „კვალი ძებნეს და უკვირდა ვერ-პოვნა ნაკვალევისა, აგრე კვალ-წმიდად წარხდომა კაცისა, ვითა დევისა“, ხთონიზმის მითოლოგიაში ქაჯები, ეშმაკები დევების მემკვიდრეები არიან და აბსოლუტურ ბოროტებას განასახიერებენ. როსტევანი გაოგნებული უყვება თინათინს: „ვითა ეშმა დამეკარგაო“. ამაოდ დამაშვრალი მდევრები ბრუნდებიან და ამბობენ: „ულონიოდ მართალ იყვნეს, რომელთაც ქაჯად თქვიან“. ავთანდილი შემდეგ გაახსენებს ტარიელს ამ ამბავს და დასძენს: „ვითა ქაჯი დაგვემალაო“. კაცის (ე. ი. ტარიელის) დევივით ასე უკვალოდ გაქრობაში (წარხდომაში) „დამნაშავე“ ყოფილა ფრიდონის მიერ ნაჩუქარი ცხენი, რომელიც საფარველდებულია (თვალისაგან უხილავი), „ჩემი ცხენი უჩინოს ჰგავს, სხვასამყა რას დავასახე“.



გამორჩეულ, წილხვდომილ, ღვთაებრივამდე ამაღლებულ იდეალურ გმირს ცხენიც არაჩვეულებრივი ჰყავს. იგი მას სჭირდება ყველაზე დიდი მისიის შესასრულებლად: ხთონური სამყაროს მიერ შთანთქმული მთვარის გასათავისუფლებლად. აკი, ფრიდონი, ქაჯებთან ბრძოლის დაწყების წინ, ხუმრობით აყვედრის ტარიელს: „ოდეს გიძლევენ, არ ვიცოდი, ქაჯეთს გვინდა ქაჯთა მზერა, თვარა ყოლა არ გიძლენიდი, ჩემი გითხრა სიძუნწე რა“. ამგვარად, გამიწრიელება-გაუჩინარებისა და საფარველდებულობის ქართული მითოსური წარმოდგენები პოემის საკვანძო მითოლოგემაშია მეტაფორიზებული.

ასევე საინტერესო მითოლოგემაა „ვეფხისტყაოსანში“ — „მან უთხრა: წადით, დაკარგეთ მუნ, სადაც ზღვისა ჭიპია“. დავარის მიერ დასახელებულ ადგილას ნესტანის გადაკარგვა ნიშნავდა იმას, რომ იგი ტარიელს არასოდეს შეხვდებოდა. ე. ი. ნესტანი სხვა სამყაროში (ხთონურ სამყაროში) გადიოდა. ეს რომ ასეა, ამაზე აშკარად მიუთითებს ბოროტ დავარზე ნათქვამი სტრიქონები: „მით შემართა საშინელი, მზე ხმელეთსა დაუკარგა... იგი ქალი დაიკარგა, ალვა მორჩი სხვაგან დარგა“.

ქართული მითოლოგიის მიხედვით, ქაჯავეთში ხორციელ ადამიანს არ შეუძლია მისვლა (ჩასვლა). ქაჯავეთში გატაცებული სამძივარის-სამზევარის დასაბრუნებლად ჩატარებული ლაშქრობისას ხასმატის ჯვარი გიორგი ნალვარმშვენიერი; სხვა ღვთისშვილებთან ერთად, წაიყვანს ხორციელ გასტუა მეგრელაურს, რომელსაც სულს ამოარიდებენ (ამოუღებენ) და გვამს კი კლდის გამოქვაბულში (ეხში) დატოვებენ. ქაჯთა ადგილსამყოფელს რომ მიაღწევენ, „გიორგი ნალვარმშვენიერი საფარეველს იღებს, ბუმად ან მტრედად იქცევა და ისე შედის ქაჯეთის სოფელში“. სხვა გადმოცემით, „გიორგის ქაჯის ქალი გაძმობილებია, რომელსაც მისთვის საფარველი მოუქსოვია, ე. ი. ისეთი საბურავი, რომლის გადახურვის შემდეგ იგი უჩინარი ხდებოდა“ (შდრ. „მან გრძნეულმან მოლი რამე წამოისხა ზედა განსა, მასვე წამსა დაიკარგა, გადაფრინდა ბანიბანსა“).

ნესტანი შემთხვევით არ აფრთხილებს ხორციელთა ქვეყანაში უძლეველ ტარიელს: „ნუთუ ესენი გეგონნეს სხვათა მებრძოლთა წესითა?!.. მოგშორდი, დამთმე გულითა, კლდისაცა უმაგრესითა“. ნესტანის „ზღვის ჭიპში“ გადაკარგვას მრავალი ტიპოლოგიური პარალელი ეძებნება. გილგამეში სწორედ მამუს მთის ხთონური სადენის (გვირაბის) გავლის შემდეგ აღწევს „ზღვის გულში“. კრონოსმა ზევსის მაგივრად გადაყლაპული ქვა რომ ამოანთხია, ეს ქვა (შდრ. ომფალოს ქვა) მოათავსეს დელფოსში, როგორც დედამიწის ცენტრში და მიიჩნიეს „დედამიწის ჭიპად“. ჩინური მითოლოგიის მიხედვით, ცისა და მიწის „შუაგული“ (ცენტრი) იმყოფება ლუგუანის სამხრეთ-დასავლეთ მხარეს“. „ფშაველის წარმოდგენით საიქიო ქვეყნის შუა გულში არის; საიქიოს ის ებახის შაეეთს“.

ამგვარად, ნესტანის „ზღვის ჭიპში“ გადაკარგვა ისეთი მითოლოგემაა, რომელშიც მეტაფორიზებულია ქართული კოსმოგონიური წარმოდგენა ხთონურ სამყაროზე, სადაც ხორციელ ადამიანს მისვლა (ჩასვლა) არ შეუძლია.

რაც შეეხება საფინალო მითოლოგემას — „ნახეს, მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა“, იგი ქართული კოსმოგონიური წარმოდგენის ყველაზე გამჭვირვალე მეტაფორაა. ქართული კოსმოგონიური წარმოდგენის მიხედვით მთვარეს, მზეს, ხშირად შთანთქავს ხოლმე გველეშაპი, მაგრამ შთანთქმული მნათობი სულ მალე გამოდის გველეშაპის გვერდიდან, რომელიც ამირანმა გამოჭრა თავის ოქროს დანით, როცა იგი ერთხელ ამ გველეშაპმა გადაყლაპა. ამირანს რომ არ გამოეჭრა ამ გველეშაპის გვერდი, ადამიანები მუდმივ სიბნელეში დარჩებოდნენო. ხთონური ძალების მიერ მნათობების მოტაცება ხთონიზმის მითოლოგიის ერთ-ერთი შემადგენელი ასპექტია („კალევალაში“ „დიდი დედის“ იპოსტასი პოხელი დიასახლისი ლოუხი იტაცებს მზესა და მთვარეს და კლდის გამოქვაბულში ამწყვდევს. ილმარინენი და ვეიენმეინენი დიდი ბრძოლის შემდეგ ათავისუფლებენ მათ).

გველეშაპის, დევის, ქაჯის თუ სხვა ხთონურ არსებათა მიერ მზისა და მთვარის მოტაცება იწვევდა ქაოსს. ღვთაებები და კულტურული გმირები ამარცხებდნენ ამ ბოროტ ძალებს, ათავისუფლებდნენ კოსმიურ ღვთაებებს და ქვეყანაზე ქაოსის ნაცვლად მყარდებოდა კოსმოსი. კოსმოსისა და ქაოსის ბრძოლის ეს ასპექტები დამახასიათებელი იყო ეპოსის თითქმის ყველა კლასიკური ფორმისათვის. მოტაცებული — მზე ყამარისა და გაზაფხულის სიმბოლოს — სამძივარის ქაჯავეთიდან ხორციელთა ქვეყანაში დაბრუნებას განაგებდნენ ღვთაებები და ღვთაებამდე ამაღლებული ქართული მითოლოგიის კულტურული გმირები (გიორგი ნალვერმშვენიერი, ამირანი, ბადრი, უსუბი და სხვ.).

წილხვდომილი ტარიელი და მისი ძმადნაფიცები ადამიანურ შესაძლებლობათა ზღვარს გადალახავენ და სპობენ ხთონური სამყაროს „შემტევ“ ძალებს — ქაჯებს, ხორციელთა ქვეყანაში აბრუნებენ დევ-ქაჯების ადრინდელი ზოომორფული იპოსტასიის — გველის მიერ შთანთქმულ მთვარეს — ნესტანს. მთვარე (ნესტანი) კვლავ შეეყრება მზეს (ტარიელს). მზე და მთვარე აბსოლუტურ სიკეთეს განასახიერებენ. იმარჯვებს კოსმოსი. მარცხდება ქაოსი. სწორედ ეს გლობალური ქართული კოსმოგონიური წარმოდგენა სიკეთისა და ბოროტების ბრძოლაზე საოცარი ძალითაა მეტაფორიზებული „ვეფხისტყაოსნის“ საფინალო მითოლოგემაში — „ნახეს, მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა“.




იყიდება სამოთახიანი ბინა 44 კვ. მ. საცხოვრებელი ფართით, ლოჯიით, დიდი სამზარეულოთი. ბინას ჩატარებული აქვს კაპიტალური რემონტი, აქვს სარდაფი და ავტოფარეხი, მდებარეობს ვარკეთილის მეტროსთან ახლოს, წულუკიძის ქ. № 23 ა. ტელ: 78-52-88, ვიტალი.

ვაქირავებ ვერაზე, ყაზბეგის ქ № 17-ში საოფისე ფართს ტელეფონით. დარეკეთ: 29-43-29, მზია.

ვყიდი კუმისში აგარაკს კაპიტალური სახლით. ნაკვეთის ფართი 1800 კვ.მ. ტელ: 29-02-63, ათო.

იყიდება ჩეხური პროექტის სამოთახიანი ბინა ლოჯიით, ბინა გაურემონტებელია. მისამართი. ვარკეთილი-3, მე-2 მიკრორაიონი, კორპუსი 24, ბინა 94, მე-2 სართული, ფასი შეთანხმებით. საღამოს 5-დან 8 საათამდე. იკითხეთ ლუდა.

ვაჟა-ფშაველას III კვარტალი, 22-ე ბ კორპუსი, II სადარბაზო, ბინა №41, მე-8 სართული. ოთხოთახიანი, კარგი რემონტით. (ფასი შეთანხმებით) 31-15-12; 62-70-69. გოჩა ბურდული.

საბურთალოზე, მიცკევიჩის ქუჩაზე იყიდება ერთოთახიანი, გარემონტებული ბინა. ტელ: 95-74-63.

იყიდება საბურთალოზე ოროთახიანი ბინა. ტელ. 95-74-63.

იყიდება 3-ოთახიანი, ჩეხური პროექტის, გადაკეთებული და ძალიან კარგად გარემონტებული ბინა ბუხრით, დიდი ლოჯიით, სხვენითა და სარდაფით. ბინა მდებარეობს მეცხრე სართულზე და გადახურულია ცინკით. ფასი 31.000 დოლარი. მისამართი: საბურთალო, მეტრო „პოლიტექნიკური“, ფანასკერტელის ქუჩა, კორპუსი 13-ბ, II სადარბაზო, ბინა 40. ტელ. 38-32-25, 98-66-79, ლადო.

იყიდება დიდუბეში, ელიავას ქუჩაზე 3-ოთახიანი (19-17-15, ჭერი 2,80) გადაკეთებული და გარემონტებული ბინა ლოჯიითა და დიდი სათავსოებით 8 სართულიანი სახლის მე-8 სართულზე. საორიენტაციო ფასი 28 000 დოლარი. ტელ. 34-55-05, 34-40-47.

იყიდება უნივერსიტეტთან, ვარაზისხევის დასაწყისში 3,5 ოთახიანი (27-18-15-9, ლოჯია 15, ჭერი 3.70) ბინა სარდაფითა და კაპიტალური გარაჟით პირველ სართულზე. ფასი 50 000 დოლარი. ტელ. 22-61-56.

იყიდება ოროთახიანი, ჩეხური პროექტის ბინა დიდუბეში, ეკლესიასთან. ტელ: 35-80-21. ფასი შეთანხმებით.

**სხვადასხვა**

იყიდება რუმინული სასადილო „მინი-ტულპანი“, ფასი 2500 დოლარი, ჩეხური სამეული — 800 დოლარი. ტელ. 95-41-77, 99-35-65, თინიკო.

ვყიდი ანტიკვარულ ფრანგულ ბუფეტს საუკეთესო მდგომარეობაში. დარეკეთ: 39-47-23.

ვყიდი უნგრული წარმოების კაკლის ხის ბუფეტს. ფასი 600 ლარი. ტელ.: 22-33-93

იყიდება ფერადი ტელევიზორი „ელექტრონი-738“ 61 სმ დიაგონალით. კარგ მდგომარეობაშია. აქვს ახალი კინესკოპი. ფასი 120 ლარი. ტელ: 72-40-44, საღამოს.

იყიდება საკუთარი სურსათის მაღაზია, რომელშიც პურის საცხობიც არის, საცხობში შესასვლელი ცალკეა. ფართი 100 კვ.მ. ბუდაპეშტის ქ. 15, ტელ: 39-35-60, ნათელა. ფასი შეთანხმებით.

იყიდება მაღაზიისათვის მაღალხარისხოვნად ნაკეთები რკინის დახლები და თაროები, აგრეთვე განსაცმლის მოსაზომი და ჩამოსაკიდებლები. მისამართი: ბაზალეთის ქ. № 7 (ვაკე), ქართველიშვილი. ტელ: 22-35-80, მიშა.

იყიდება რუმინული წარმოების ავეჯი „ლილია“ 14 ნაჭრით. დარეკეთ: 74-31-63 ან 95-74-63.

იყიდება ორლულიანი, 16 კალიბრის სანადირო თოფი „ტოზ-63“ სრული აღჭურვილობით: ბუდე, პატრონტაში, ტყვიები, საწმენდი. ფასი 220 დოლარი. ტელ: 98-25-63.

ვარ მაღალი კვალიფიკაციის ელექტრიკოსი. შემიძლია გავუვანილობების ელექტრო გაკეთება, მანქანა-დანადგარების ელექტრომონტაჟი და სხვა. ტელეფონი: 98-33-59; რუდოლფი.

**ავტომანქანები**



იყიდება ავტომანქანა „მოსკვიჩი“ 412 მარკის, 1980 წელს გამოშვებული. ფასი შეთანხმებით. ტელეფონი 37-51-91.

ნაღდ ანგარიშზე შევიძენთ 5-7 წლის ავტომანქანებს: „ჟიგული- 2104“, „ტავრიას“, „რენომოსკვიჩს“ , ტელ: 98-25-63.

## თამბაქო...

*დღეს, 29 მარტს ჩვენში პირველად ეწყობა თამბაქოს საწინააღმდეგო ეროვნული დღე — საქართველო თამბაქოს გარეშე. ამ დღესთან დაკავშირებით საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროში გაიმართება დედაქალაქის საზოგადოებრიობის შეკრება. საკითხის განხილვაში მონაწილეობას მიიღებენ მედიკოსები, მეცნიერები, კულტურის, ხელოვნების, ქალთა ორგანიზაციების, საპატრიარქოს წარმომადგენლები, სტუდენტი ახალგაზრდობა, ჟურნალისტები.*

**ამას წინათ გაზეთი „არგუმენტი ი ფაქტი" წერდა: გერმანიაში თამბაქოს მხოლოდ დამლაგებელი ქალები და მეზახტეები ეწევიან, ელიტურ საზოგადოებაში სიგარეტის გაბოლება სირცხვილად ითვლებაო. რას გვეტყოდით ამის თაობაზე?**

— ვეკითხები ჩვენს სტუმარს, ონკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის გულმკერდის ქირურგიის განყოფილების უფროს მეცნიერ თანამშრომელს თეიმურაზ ჩაჩხიანს, რომელიც ხუთი შვილის მამაა და არა მარტო, როგორც მეცნიერს, დიდი ოჯახის მამასაც, კარგად ესმის, რა ზიანი მოაქვს თამბაქოს წევას.

— ცივილიზებულ ქვეყნებში კარგა ხანია ებრძვიან ამ მავნე ჩვევას. მსოფლიოს ორმოც ქვეყანაში მიღებულია კანონი, რომელიც კრძალავს თამბაქოს მოწევას სამუშაო, აგრეთვე საზოგადოებრივ დაწესებულებებსა და ადამიანთა თავშეყრის ადგილებში.

**— თქვენ, როგორც ონკოლოგმა-სპეციალისტმა, იქნებ გვითხრათ, კერძოდ, რა დაავადებებს იწვევს უშუალოდ თამბაქოს კვამლი.**

— თამბაქოს წევა წარმოადგენს ფილტვის კიბოს და სხვა ავთვისებიანი სიმსივნეების — პირის ღრუს ლორწოვანის კიბოს, ტუჩის კიბოს, ხორხის, საყლაპავის, კუჭის, სწორი ნაწლავის, პანკრეასის, ელენთის, თირკმელის, შარდის ბუშტის, ძუძუს, საშვილოსნოს ყელის კიბოს გამომწვევ მიზეზებს.

# ნუ მოსწევ!

მეცნიერებმა შეისწავლეს თამბაქოს ბოლი და მასში აღმოაჩინეს 4.000-მდე ქიმიური ნივთიერება. მათ შორის 200-მდე ადამიანის ორგანიზმის მომწამლავი და 60-მდე კანცეროგენი (კიბოს გამომწვევი ნივთიერება). გარდა ავთვისებიანი სიმსივნეებისა, თამბაქოს ბოლი იწვევს ქრონიკულ ბრონქიტს (სუნთქვის შემცირება, ქრონიკული ხველა), ემფიზემას (შორსწასულ შემთხვევაში სუნთქვის გაძნელებას, ქოშინს, რაც აძნელებს ჩვეულებრივ საქმიანობას). თამბაქოს ბოლი იწვევს, აგრეთვე სასუნთქი გზების ინფექციებს (ხშირ გაციებას, სურდოს, ფილტვების ანთებას, გულის დაავადებებს), თამბაქოს მოწევა ქალებში იწვევს უშვილობას, მკვდარშობადობას, აბორტს, ნაყოფის სიმახინჯეებს, მამაკაცებში — იმპოტენციას.

საქართველოში, მაგალითად, ფილტვის კიბოთი გარდაცვლილთა 87 პროცენტის დაავადება და სიკვდილი თამბაქოს მოწევასთან არის დაკავშირებული. საერთოდ, ავთვისებიანი სიმსივნით გარდაცვლილთა 30 პროცენტის დაავადების და სიკვდილის მიზეზი თამბაქოს წევაა. ყოველწლიურად საქართველოში თამბაქოს წევის გამო ნაადრევად კვდება 4000-5000-მდე ადამიანი.

თამბაქოს მწეველთა რიცხვი საქართველოში დღითი დღე იზრდება. ამას ხელს უწყობს რეკლამა, რომლითაც აჭრელებულია თბილისის ქუჩები, რეკლამა ტელევიზიით. მწეველთა მომრავლებას ხელს უწყობს, აგრეთვე თამბაქოს წევის საწინააღმდეგო შემზღუდავი კანონების არარსებობა და უკონტროლო იმპორტი, უხარისხო, ფალსიფიცირებული თამბაქოს შემოტანა. შემოწმებით დასტურდება, რომ საქართველოში შემოტანილ უცხოურ თამბაქოში კანცეროგენები უფრო მეტია, ვიდრე ეს წესით უნდა იყოს დაშვებული.

**— თამბაქოს მწეველთა რიცხვი ჩვენში რომ სულ უფრო მატულობს. როგორ, რა მეთოდებით შეიძლება ამ საშიში მოვლენის შეჩერება, და, საერთოდ, შემცირება?**

— უპირველეს ყოვლისა, უნდა შეექმნათ საზოგადოებრივი აზრი თამბაქოს მოწევის მავნებლობის შესახებ. რომ მწეველი ავნებს თავის თავსაც და მის გარემომყოფთაც. დადგინდა, რომ პასიური მწეველებიც ისეთივე მაღალ რისკის ფაქტორს წარმოადგენენ ავთვისებიანი სიმსივნეების მიმართ, როგორც მწეველები. განსაკუთრებით მავნე გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე იმ სიგარეტის ბოლი, რომელიც ანთებული დევს საფერფლეზე. ასეთ, თავისუფალ წვის დროს გამოყოფილ ბოლში ოთხჯერ და ხუთჯერ მეტია თამბაქოს ფისი, პოლიციკლური, პრომატული ნახშირწყალბადები, ნიკოტინი და 40-ჯერ მეტია ამიაკი.

თამბაქოს ბოლი განსაკუთრებით სამიშია მოზარდის ორგანიზმისათვის.

**— მოსწავლე ახალგაზრდობაში რომ ასე გავრცელდა თამბაქოს მოწევა, მას როგორღა შევებრძოლოთ?**

— საქართველოს კიბოს ეროვნულმა ცენტრმა შეიმუშავა თამბაქოს წევისა და კიბოს წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია, რაც გულისხმობს მოზარდებში თამბაქოს წევის დაწყების თავიდან აცილებას. უნდა ვეცადოთ, შევიმუშაოთ ისეთი პროგრამა, რომ მოზარდმა არ დაიწყოს მოწევა. ამისათვის აუცილებელია სკოლებისთვის თამბაქოსა და სიგარეტის წევის საწინააღმდეგო გამიზნული პროგრამის შექმნა.

ესაუბრა
**ლარისა ხუბულური.**

## გამოსათხოვარი

# ვახტანგ ჯაოშვილი



გარდაიცვალა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექციის მრჩეველი, ბატონი ვახტანგ ჯაოშვილი (დაბ. 1913 წ.). ღირსეული მოქალაქე და გამოჩენილი მეცნიერი, რომლის ნაშრომებმა გეოგრაფიის დარგში, არა მარტო გააღრმავა თანამემამულეთა ცოდნა სამშობლოს რეგიონების, ქალაქების, მათი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების შესახებ, არამედ სამღვარგარეთს ობიექტურად გააცნო კავკასიის ერთ-ერთი გამორჩეული ქვეყანა — საქართველო. გამოჩენილი ეკონომისტ-გეოგრაფი და საქართველოში დემოგეოგრაფიის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის, ფუძემდებელი, იგი აღიარებული მკვლევარი იყო, აგრეთვე ეკონომისტების, დემოგრაფების, სოციოლოგების, ისტორიკოსების, არქიტექტორების და სხვა სამეცნიერო წრეებში.

ბატონ ვახტანგის სამეცნიერო მოღვაწეობა ძირითადად (1953 წლიდან გარდაცვალებამდე) ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში წარიმართა, სადაც ახალგაზრდა მეცნიერი სამუშაოდ მიიწვია ინსტიტუტის დამაარსებელმა და პირველმა დირექტორმა, აკად. ალექსანდრე ჯავახიშვილმა. სულ მალე ნათელი გახდა, რომ ვახტანგ ჯაოშვილის სახით ეკონომიკური გეოგრაფიის განყოფილებას ჭეშმარიტი პროფესიონალი და დიდი შემოქმედებითი პოტენციის მქონე მკვლევარი შეემატა. მის ბიოგრაფიას ამშვენებს: საქართველოს და მისი ეკონომიკური რაიონების, სამრეწველო კვანძების, ქალაქების, მათ შორის რეგიონული ცენტრების, მოსახლეობის და განსახლების გეოგრაფიული პრობლემებისადმი მიძღვნილი, დამოუკიდებლად თუ მისი შემოქმედებითი მონაწილეობით შექმნილი მონოგრაფიების სერია, სასკოლო და უმაღლესი სასწავლებლების სახელმძღვანელოები, გეოგრაფიული ატლასები, მრავალრიცხოვანი შრომათა კრებულები, შეუნელებელი ზრუნვა კადრების აღზრდაზე, მძაფრი პუბლიცისტური წერილები, დაუცხრომელი სამეცნიერო და აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობა და სხვ., რამაც ბატონ ვახტანგს დამსახურებული აღიარება და საერთაშორისო ავტორიტეტი მოუტანა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სულ ახლახან მინიჭებული ღირსების ორდენის კავალერი, გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვ. ჯაოშვილი აკადემიური მეცნიერების ელიტის ჭეშმარიტი წარმომადგენელი იყო არა მარტო თავისი წოდებებით, არამედ ადამიანური თვისებებითაც. ამ თავმდაბალმა, პრინციპულმა, ენერგიულმა, მიზანდასახულმა და დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით გამსჭვალულმა პიროვნებამ საოცარი შრომისმოყვარეობით გაცისკროვნებული დიდი სამეცნიერო გზა განვლო და თაობებს დაუტოვა სამაგიდო და პიონერული მნიშვნელობის მონოგრაფიები: „საქართველოს მოსახლეობა. ეკონომიკურ-გეოგრაფიული პრობლემები", 1968 (ამ ნაშრომმა 1970 წელს საკავშირო გეოგრაფიული საზოგადოების საპატიო ჯილდო — პ. პ. სემიონოვ-ტიანშანსკის სახელობის ოქროს მედალი დაიმსახურა), „საქართველოს ურბანიზაცია. გენეზისი, პროცესები, პრობლემები", 1978, „საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში", 1984.

ბატონ ვახტანგის სახელთან დაკავშირებულია, აგრეთვე საქართველოს ქალაქების გეოგრაფიული კვლევის ფართოდ გაშლა. მას ეკუთვნის მონოგრაფიები ჭიათურაზე, რომლის საპატიო მოქალაქედაც იგი აირჩიეს, ქუთაისზე, ბათუმზე, თბილისზე. საქართველოს გეოგრაფიული ატლასის შედგენაში მონაწილეობისათვის 1971 წელს მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია, ხოლო, როგორც საქართველოს დედაქალაქისადმი მიძღვნილი კოლექტიური მონოგრაფიის („თბილისი. ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევა", 1989) შექმნის ინიციატორს, ერთ-ერთ ავტორს და რედაქტორს, თანაავტორებთან ერთად საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების უმაღლესი ჯილდო — ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის პრემია.

ვახტანგ ჯაოშვილის მეცნიერულ-ორგანიზატორული ნიჭი ნათლად გამოვლინდა, როგორც ინსტიტუტის ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფიის განყოფილების ხელმძღვანელად, ისე ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქციის გეოგრაფიულ მეცნიერებათა სექციის თავმჯდომარედ ყოფნისას. ასევე დიდია მისი ამაგი საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების საქმიანობის წარმართვაში. 1971 წლიდან იგი საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი, 1980-1996 წწ. — პრეზიდენტი, ხოლო გასული წლიდან — საპატიო პრეზიდენტი იყო.

ბატონ ვახტანგ ჯაოშვილის სამეცნიერო და შრომითი მოღვაწეობა, რასაც იგი ჩვეული სიმტკიცით და შეუპოვრად აგრძელებდა დღევანდელ მძიმე და მეცნიერებისათვის არასახარბიელო პერიოდში, ღირსშესანიშნავი და სამაგალითოა როგორც ახალგაზრდა, ისე უფროსი თაობის კოლეგებისათვის. გასულ წელს დაისტამბა მისი ორი შესანიშნავი წიგნი: უმაღლესი სასწავლებლებისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელო „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია" და ფუნდამენტური გამოკვლევა „საქართველოს მოსახლეობა. ისტორიულ-დემოგრაფიული და ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევა". უკვე მძიმე ავადმყოფი, იგი თავის მოწაფეებთან ერთად თავდადებით აგრძელებდა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფიის ახალ სასკოლო სახელმძღვანელოზე მუშაობას, რათა უკანასკნელი ვალი მოეხადა სამშობლოს წინაშე.

ბატონმა ვახტანგმა თავისი გამოკვლევებით უკვდავყო საქართველოს მოსახლეობა.

ასეთი ღვაწლისა და ასეთი ადამიანის დავიწყება არ შეიძლება.

**ე. შევარდნაძე, ზ. ჟვანია, ნ. ლეკიშვილი, ა. თავხელიძე, ი. ფრანგიშვილი, ა. აფაქიძე, გ. სანაძე, ლ. გაბუნია, ი. ანდრიაძე, ე. გამყრელიძე, რ. გაჩეჩილაძე, გ. გიგინეიშვილი, კ. იმედაშვილი, გ. სვანიძე, ზ. ტატაშიძე, ზ. შენგელია, ტ. არველაძე, გ. შოშიტაიშვილი, რ. მეტრეველი.**

## ჩოგანი



# თქვენი ჯანმრთელობა გვინდა!

ასეთი იყო:

— გივი კარტოზია — სიჩაუქის, ვაჟკაცური შემართების განსახიერება, გივი კარტოზია — მსოფლიო სამგზის ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში, მსოფლიო თასის მფლობელი, მელბურნის მე-16 ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი და კიდევ მრავალი შეჯიბრების გამარჯვებული...

გივი კარტოზია — სამაგალითო თბილისელი, გულითადი მეგობარი, ჭირისა და ლხინის გამზიარებელი, რაინდული სულის ქართველი, კაცი, რომელსაც ხალიჩაზე გამოსვლის წინ, სამშობლოს გარდა აღარაფერი ახსოვდა, მისი დიდებისათვის იბრძოდა, სძლევდა, იმარჯვებდა...

ასეთია იგი მრავალი წლის შემდეგ:

— სიყვარულით გარემოსილი ყველასგან, ვისაც მისი ჭიდაობა ახსოვს, დაფასებული ურიცხვი მეგობრებისგან, ხელისუფლებისგან...

და, მაინც, ნაღვლიანი — ცხოვრების უკუღმართობის გამო, გულდაწყვეტილი ბევრ რამეზე...

დღეს, სამწუხაროდ, ავადმყოფობა მოსძალებია საჭიდაო ხალიჩის ლომს, ვერ არის ფორმაში... მწოლიარე ლომი ვის გაუგია, მაგრამ, ღმერთის წყალობით, იმ სიკეთის სიკაშკაშით, რაც გივი კარტოზიას მთელი შევნებული ცხოვრების მანძილზე გაუკეთებია, ლეგენდარული ქართველი მოჭიდავე ყველა ტკივილს დასძლევს!

ჩვენც ეს გვინდა — მისი დიდი ქართველობის თაყვანისმცემელთ. ამიტომ, მისი, თუნდაც ოდნავი სიხალისისთვის დაიწერა ეს სტრიქონები...

დღეს თქვენი დაბადების დღეა, ბატონო გივი! დაბადების დღეს გილოცავთ! თქვენი ჯანმრთელობა გვინდა!..

**ვილენ მარდალეიშვილი.**

# ნინო სალუქვაძის „ოქრო-ვერცხლი"



მსოფლიოს 23 ქვეყნის ტყვიის მსროლელები მონაწილეობდნენ დორტმუნდში (გერმანია) გამართულ დიდ საერთაშორისო ტურნირში, რომელშიც თავი გამოიჩინა სეულის XXIV ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა, თბილისელმა ნინო სალუქვაძემ. სპორტული პისტოლეტიდან სროლაში ნინომ 578 ქულა მოაგროვა და ოქროს მედალი მოიპოვა, პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში კი ქართველმა მსროლელმა 479,1 ქულით ვერცხლის მედალი დაისაკუთრა. აქ პირველი ადგილი დაიკავა რუსეთის წარმომადგენელმა მარინა პოპოვამ. 20 მაისს ნინო სალუქვაძე მონაწილეობას მიიღებს მსოფლიოს თასის გათამაშების პირველი ეტაპის გათამაშებაში, რომელიც მიუნხენის (გერმანია) ოლიმპიურ სასროლეთზე გაიმართება.

სურათზე: ნინო სალუქვაძე.

### ყოჩაღ, ბიჭებო!

სასიხარულო ინფორმაცია მივიღეთ მორეული ჩილედან — ახალგაზრდა მორაგბეთა მსოფლიო ჩემპიონატის „ც" ჯგუფში მოასპარეზე საქართველოს ნაკრებმა ზედიზედ დაამარცხა ბულგარეთისა — 57:12 და ბრაზილიის — 39:0 გუნდები და ხვალ „ბ" ჯგუფში გადასასვლელ მატჩს გამართავს პოლანდიელებთან.

### კვლავ იაგორაშვილი

ჩვენი ყოფილი თანამემამულე, სეულის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი ვახტანგ იაგორაშვილი ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატების სახელით ასპარეზობს და კვლავ წარმატებებს აღწევს.

ამ დღეებში თანამედროვე ხუთჭიდის ამ შესანიშნავმა ოსტატმა მექსიკაში მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა მსოფლიო თასის გათამაშების ბოლოსწინა ეტაპზე და საერთო ჩათვლაში მეექვსე ადგილზე იმყოფება.

შეგახსენებთ, რომ 1989 წელს ვახტანგმა უკვე მოიპოვა მსოფლიო თასი.

### ლოგიკური შედეგი

სტამბოლში დასრულებულ მშვილდოსანთა მსოფლიო ჩემპიონატზე საქართველოს 6 სპორტსმენიდან 5 აჭარას წარმოადგენდა. მათგან საუკეთესომ — ახმათ დიასამიძემ 38-ე ადგილი დაიკავა.

თუმცა, იმ პირობების გათვალისწინებით, რომელშიც ჩვენი ჩუბინები ემზადებოდნენ, ეს შედეგი გასაკვირი არც არის.

### ორხელისუფლებიანობა

უეხბურთელთა ეროვნული ჩემპიონატის XIX ტურის რამდენიმე შედეგი უკვე გაუწყეთ. დანარჩენი მატჩები ასე დასრულდა: „ტორპედო" — „გურია" 3:0, „სიონი" — „ოდიში" 1:0, „დილა" — „შევარდენი" 2:1, „იბერია" — „სამგურალი" 0:0, „კახეთი" — „ბათუმი" 1:1.

ტრადიციულად უხერხულ მეტოქესთან ბათუმელთა შეფერხების შემდეგ სატურნირო ცხრილის ლიდერთა ჯგუფი ასე გამოიყურება: „დინამო" და „ბათუმი" — 44-44, „კოლხეთი" — 41, „მერანი" — 37, „ტორპედო" — 29 ქულა.

XX ტურში დიდ ინტერესს იწვევს „მერანი" — „ბათუმის" შეხვედრა, რომელიც თბილისში 4 აპრილს გაიმართება.

### გუშინ

ვერის ბაღში, მიხეილ კეკელიძის სახელობის საკალათბურთო დარბაზში დასრულდა ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის უძლიერესთა ხუთეულის მეორე ფინალური ტური, რომელიც „ვითასა" და სდასუს უპირატესობით წარიმართა, გთავაზობთ დასკვნითი მატჩების შედეგებს:

27 მარტი
„ვითა" — „შევარდენი" 128:100,
სდასუ — „დინამო" 82:72
28 მარტი
სდასუ — „შევარდენი" 76:65.
„ვითა" — „დინამო" 82:76.


კორპორაცია DVM GROUP-ის
ოფიციალური დილერი
ექსკლუზიური უფლებებით
საქართველოში
ფირმა
აგუნა




საქმიან ადამიანებს გთავაზობთ
სხვადასხვა მოდელისა და დიზაინის
ROVER BOOK-ის
პორტატულ კომპიუტერებს
ROVER BOOK-ის კომპიუტერები
კონკურენციას უწევენ
მსოფლიოს მოწინავე ფირმების
ანალოგიურ პროდუქციას
ხოლო შეფარდებით
წარმადობა / ფასი
აბსოლუტური ლიდერია
ინფორმაციისათვის: დარეკეთ 12⁰⁰ - 18⁰⁰
ფირმა აგუნა 22-41-98
ან ფირმა „Дубль-П" 99-94-20



ფირმების რეგისტრაცია
აუდიტი
ბუღალტრისა და შტატის დამზადება
რუსთაველის 22
ტელ.: 99-86-09, საღამოს 38-37-89.


## ამინდი 29 მარტს

დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, ზოგან ნალექი, მთაში თოვლი, გურია-აჭარის მაღალმთიანეთში ზვავსაშიშროებაა, სუსტი ქარი, ტემპერატურა ბარში — ღამით 0+5, დღისით +10+15, მთაში — ღამით 0-5, დღისით +6+11, მაღალმთაში — ღამით -7-12, დღისით 0-5 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში ზოგან იქნება ნალექი, მთაში თოვლი, გუდაური-კობის გზის მონაკვეთზე ზვავსაშიშროებაა, იქროლებს წამში 8-13 მეტრი სიძლიერის დასავლეთის ქარი, ტემპერატურა ბარში — ღამით -1+4, დღისით+8+13, მთაში — ღამით 0-5, დღისით+4+9, მაღალმთაში — ღამით — 8-13, დღისით 0-5 გრადუსი.

თბილისში ცვალებადი მოღრუბლობაა მოსალოდნელი, ღამით მცირე ნალექი, იქროლებს წამში 8-13 მეტრი სიძლიერის ჩრდილო-დასავლეთის ქარი, ტემპერატურა — ღამით +1+3, დღისით +11+13 გრადუსი.

## ბრალი ედებათ

### მოკლეს...
### ქმარმა და შვილმა

ბათუმში, ჭავჭავაძის ქუჩაზე (№ 39) მცხოვრებმა რობერტ ბულბულიანმა მის შვილთან, რუსეთის ფედერაციის ფსკოვის ოლქის ერთ-ერთ დასახლებაში მცხოვრებ რაჯი ბულბულიანთან ერთად, თამარის დასახლების № 20-ში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე ბლაგვი საგნის თავში ჩარტყმით მოკლა მეუღლე — შვილის მისამართზე მცხოვრები ნინა ბულბულიანი.

მამა-შვილი დაკავებული არიან, საქმეს იძიებს პროკურატურა.


# ტარდება ტენდერი

*საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ ონკოლოგიურ ავადმყოფთა მკურნალობისათვის გამოყოფილ იქნა დამატებითი ფონდები, ფინანსური საშუალებების ოპტიმალური დაბანდების მიზნით ონკოლოგიაში გამოყენებული ქიმიო-თერაპევტული მედიკამენტების შესაძენად ტარდება ტენდერი.*

*მედიკამენტებისა და სამედიცინო საშუალებების სიგნებზე ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ოფიციალურად ლიცენზირებულ ფარმაცევტული პროფილის საბითუმო ვაჭრობის ობიექტებს, ფარმაცევტულ საწარმოებს, საკუთრების ფორმისა და უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, საზღვარგარეთული ფარმაცევტული ფირმის წარმომადგენლებს და ერთობლივ საწარმოებს, რომლებიც წარმოადგენენ განაცხადს დადგენილი ვადებისა და წესების დაცვით და რომლებიც აკმაყოფილებენ გამოცხადებული ტენდერის წინა პირობებს.*

ალნიშნული ტენდერის ჩატარების პირობებისა და სხვა ორგანიზაციული საკითხების თაობაზე, დაინტერესებულ იურიდიულ პირებს შეუძლიათ მიმართონ ტენდერის საორგანიზაციო ჯგუფს.

*თბილისი, გამსახურდიას გამზირი 30. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, მე-4 სართული, ოთახი 402, ტელ: 38-71-80; 38-75-20. ფაქსი 995 32 770086.*


გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციის კოლექტივი უთანაგრძნობს ბელა დურგლიშვილს მაზლის

ზურაბ კირილეს ძე ლომთაძის

გარდაცვალების გამო.



შვილები ლადო, გია, მანონი კვარაცხელიები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვახტანგ (კოჩო) კოსტას ძე კვარაცხელია

პანაშვიდი 30.31 მარტს, დაკრძალვა 1 აპრილს სამშაბათს, 17 სთ. წალენჯიხის რაიონის სოფ. ჯგალში.

მეუღლე ნაზი შუღლაძე, შვილი გოგიტა, და თინა, შვილიშვილები გიგი, ნუცა, თიკა მახარაშვილები, რძალი თეა დავითაია, ნათესავები და ახლობლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გივი მიხეილის ძე მახარაშვილი

პანაშვიდი 28, 29 III, 4 ს. გამოსვენება 30 III, 3 ს. ჭავჭავაძის გამზირი, 44, IV სადარბაზო.

მეუღლე მარიკა ჩიტორელიძე, შვილები ფერიდე, თემური, შვილიშვილი პაატა, ძმა თემური, ძმისშვილები ნათია, მირიანი, ცოლისძმა ვაჟა ჩიტორელიძე, მამიდები ბედრიე, მემნუნე, ბიძა ლევან ჩარკვიანი, მამიდაშვილები დოდო მამფორია, სვეტლანა მეგრელიშვილი, ნინო, თენგიზ ჩარკვიანები, დეიდაშვილი თენგიზ ბექანიძე, რძლები მანანა ჩიქვილაძე, მანანა რობაქიძე, ქუქუნა ბექანიძე, სიძეები ზურაბ მგელაძე, ავთო მეგრელიშვილი, რეზო ციციშვილი, თამაზ მესხი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თამაზ მირიანის ძე უსტიაშვილი

პანაშვიდი 30, 31 III, 4 ს. დაკრძალვა 1 IV, 4 ს. ქ. ბათუმი. ძმები ზუბალაშვილების 16.

ქ. თბილისის მს მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელობა თანაგრძნობას უცხადებს შალვა იოსელიანს

მამის

გარდაცვალების გამო.

## ხსოვნა

# გიორგი მამუჩიშვილი



ქართულმა თეატრმა მძიმე დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო თეატრის სახალხო მსახიობი გიორგი მამუჩიშვილი. იგი თითქმის სამოცი წელი ამშვენებდა ამ დიდი ტრადიციის მქონე ქალაქის თეატრალურ ცხოვრებას.

დაიბადა 1916 წელს საგარეჯოს რაიონის სოფელ ხაშმში, დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრთან არსებული სტუდია. 1933 წლიდან კი ჩაირიცხა ამავე თეატრის დასში. დიდი ქართველი რეჟისორის ალექსანდრე ახმეტელის ხელმძღვანელობით შეასრულა პირველი როლები.

1940 წლიდან დღემდე მუხლჩაუხრელად შრომობდა თელავის სახელმწიფო თეატრის სცენაზე. ამ ხნის მანძილზე მან განასახიერა 200-ზე მეტი როლი და მაყურებლის დიდი სიყვარული დაიმსახურა. მან დასამახსოვრებელი სახეები შექმნა პიესებში — ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი" და ლევან გოთუას „მეფე ერეკლე".

წარმოუდგენელია შთაგონების გარეშე შესრულებინა მსახიობს ერეკლე მეფის როლი გმირი მეფის მშობლიურ ქალაქში, მის მიერვე სათავედადებულ თეატრში, მაგრამ ეს ბარიერი გადალახა მისთვის დამახასიათებელი განუმეორებელი არტისტიზმით.

გიორგი მამუჩიშვილის სასცენო ნიჭი განსაკუთრებით გამოვლინდა ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებების დადგმებში. მაყურებელს ყოველთვის ეხსომება მისი ლუარსაბი (ლუარსაბ თათქარიძე), პეტრე (სარჩობელაზედ), მონადირე (გლახის ნაამბობი) და თვით დიდი პოეტი-მამულიშვილის ილიას როლი გ. ნახუცრიშვილის პიესაში (წიწამური).

გიორგი მამუჩიშვილმა თეატრალური მოღვაწეობის ბოლო წლებში დასამახსოვრებელი სახეები შექმნა რევაზ ინანიშვილის ნაწარმოებებში: „ჩემი წყალწაღის ხმები" და „ალალე". აქ შეხვდნენ შემოქმედი თანასოფლელები — დიდი მწერალი და სახელოვანი მსახიობი მშობლიური მიწის ყივილით შთაგონებულნი.

გიორგი მამუჩიშვილის მიერ შესრულებულმა როლებმა მაყურებლის გულში განუმეორებელი კვალი დატოვა.

კახეთის მხარის ადმინისტრაცია,
თელავის რაიონის გამგეობა,
თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო თეატრი.

## გახსენება

# ვილერი ონიანი



შვილო ვილერი, 17 მარტი ჩვენთვის საბედისწერო აღმოჩნდა. 13 დღე ებრძოლე სიკვდილს. 30 მარტს სამუდამოდ დახუჭე თვალები. ორი წელია ვეფერებით შენს საფლავს, შენს სურათებს. ასე რატომ გაგვწირა ბედმა, შენი დაკარგვით განჯღწვალებაში უშენოდ გადის დღეები, თვეები.

გონებას არ სცილდება ფიქრი და უსაზღვრო სევდა. ვილერი, შვილო, დააკლდი ყველას: შენს ოჯახს, ნათესავებს, ახლობლებს, მეგობრებს, მაგრამ შენი არ ყოფნა ყველაზე მეტად შენს დედას დააკლდა — დედას, რომელსაც შენს გარდა არავინ ჰყავს და შენც მიგვატოვე, წახვედი ისე, რომ დატოვე შენზე მოგონებები და კიდევ... ისეთი, რამიც ვერ გავრკვეულვართ, უშენოდ, შენი დახმარების გარეშე. შენ კი შორს ხარ ვილერი ონიანო. ძალიან შორს და აღარ აპირებ დაბრუნებას, ჩვენ კი ყოველდღე გელოდებით. შენს სახელზე ყოველთვის ვანთებთ შენს საფლავზე ეულ სანთელს.

იქნებ, როგორმე გვასწავლო, შვილო, როგორ ვიაროთ შენამდე, გამოგვეჩინდი ხოლმე, გეხვეწებით, არ დაგვეკარგო!

მშობლები ნორა, ჯოკია ონიანები.

# ციალა ხომიზურაშვილი

უკვე ერთი წელი გავიდა თქვენი გარდაცვალებიდან. ახლა გაზაფხულია — განახლების, სიცოცხლის ახლად დაწყების საოცარი დრო. გვახსოვხართ, გვაკლიხართ და გვინდა, რომ კვლავ ჩვენთან იყოთ.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის
უცხო ენების კათედრის თანამშრომლები.


საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა"

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ გოგიაშვილი, დავით იაკობიძე, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები — „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორები: სპარტაკ ქობულია, გურამ გოგიაშვილი.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბაში, ხოშარაულის 29.